მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

მონიტორინგი და რეკომენდაციები

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში – მონიტორინგი და რეკომენდაციები

ავტორები:
კოკა კიღურაძე
ნანა სანებლიძე

2017 წელი

ანგარიში მომზადდა და გამოიცა „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის“ პროექტის ფარგლებში - „მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის პროცესში - მონიტორინგი და რეკომენდაციები“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კვლევის ავტორებს და გამოხატავს მხოლოდ მათ პოზიციას. შესაბამისად, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

შესავალი 6

კანონმდებლობის ანალიზი 8

1. დასახლების საერთო კრება 8
1.1. საერთო კრება - ზოგადი დებულებები 8
1.2. საერთო კრების ინიცირება და ორგანიზება 14
1.3. საერთო კრების შეკრება 26
1.4. საერთო კრების რჩეული 32
1.5. საერთო კრების მდივანი 38

2. პეტიცია 39
2.1. პეტიცია-ზოგადი დებულებები 39
2.2. პეტიციის წარდგენის წესი 41
2.3. პეტიციის წარდგენა საინიციატივო ჯგუფის მიერ 46
2.4. პეტიციის წარდგენა საერთო კრების მიერ 54
2.5. პეტიციის საკითხები და მათი განხილვის წესი 55
2.6. პეტიციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი 59

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - გამგებლის/მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ანალიზი 67
3.1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - ზოგადი დებულებები 67
3.2.საბჭოს შემადგენლობა 69
3.3.საბჭოს უფლებამოსილება 71
3.4.საბჭოს სხდომის მოწვევა 74
3.5.საბჭოს თავჯდომარე 86
3.6.საბჭოს მდივანი 90

4. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა - მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ანალიზი 94
4.1 დაინტერესებულ პირთა ჩართულობა საკრებულოს წევრის (მათ შროის საკრებულოს თანამდებობის პირის) საქმიანობაში 94
4.2. დაინტერესებული პირის მონაწილეობა საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებში 97

5. საჯარო ანგარიშის წარდგენა 101
5.1. ანგარიშვალდებული პირები და მათი ვალდებულებები 101
5.2. საჯარო ანგარიშის წარდგენის ორგანიზება 102
5.3.საჯარო ანგარიშის განხილვაზე დამსწრე პირები 108

6. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - კანონქვემდებარე აქტების ანალიზი 110
6.1. ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები 110
6.2.ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმა და წესი 112
6.3.პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა 123

პრაქტიკის ანალიზი 134

1. დასახლების საერთო კრება - პროცესის ანალიზი 134
1.1. არსებული პრაქტიკა 134

1.2. საანგარიშო პერიოდში გამართულო საერთო კრებების მონიტორინგის შედეგები..... 135
1.3. ხარვეზები 138
1.4. რეკომენდაციები 139

2. პეტიცია 140
2.1. არსებული პრაქტიკა 140
2.2. ხარვეზები 142
2.3. რეკომენდაციები 143

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - პროცესის ანალიზი 143
3.1. ზოგადი მდგომარეობა 143
3.2 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ანალიზი 145
3.3. ხარვეზები 148
3.4. რეკომენდაციები 148

4. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა 149
4.1. საკრებულოს წევრის, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის და მოქალაქეთა კომუნიკაცია..... 149
4.2.დაინტერესებული პირის მონაწილეობა საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომებში..... 151
4.3.საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები..... 154

5. გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები 154
5.1. არსებული პრაქტიკა 154
5.2. ხარვეზები 156
5.3. რეკომენდაციები 156

6. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება..... 156
6.1. არსებული პრაქტიკა 156
6.2.ხარვეზები 163
6.3. რეკომენდაციები 163

ცვლილებები ორგანულ კანონში 166
რეკომენდირებული ცვლილებები ორგანული კანონისთვის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 166

შესავალი

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან უკვე 25 წელზე მეტია მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების მცდელობები. ხშირ შემთხვევაში, ეს პროცესი მიმდინარეობს ავადსახსენებელ პრინციპზე დაყრდნობით - „ნაბიჯი წინ ორი ნაბიჯი უკან“. ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული წესწყობილების საფუძველი არის ადგილობრივი თვითმმართველობა. ეს არის ქვეყნის მმართველობის განსაკუთრებული ფორმა სადაც მოქალაქეებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობა საკუთარი პასუხისმგებლობით, დამოუკიდებლად და საკუთარი, არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების საშუალებით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა იწყება არჩევნებით თუმცა არ მთავრდება არჩევნებზე. თვითმმართველობა გულისხმობს შესაძლებლობებს, რომ მოქალაქეებმა რეალური გავლენა მოახდინონ ადგილობრივი მმართველების გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, განსაკუთრებით იმ საკითხებზე რომელიც დაკავშირებულია მათი სოფლის და ქალაქის პრობლემებთან. მოქალაქეთა მონაწილეობის მიზანი არის აგრეთვე რომ მოქალაქეებმა ეფექტიანად აკონტროლონ მათ მიერ არჩეული ხელისუფლების საქმიანობა უწყვეტ რეჟიმში.

ხელისუფლება არ არის ვალდებული, მოქალაქეები აიძულოს მონაწილეობა მიიღონ თვითმმართველობის განხორციელებაში, მაგრამ ვალდებულია შეუქმნას მათ სამართლებრივად გამართული, ადვილად გასაგები და ეფექტიანი მონაწილეობის ფორმები, რომლის გამოყენებითაც მოქალაქეები შეძლებენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან პარტნიორობით განახორციელონ თვითმმართველობა.

აღნიშნული ანგარიში არის მოკრძალებული მცდელობა, დახმარება გაუწიოს როგორც საქართველოს პარლამენტს, ასევე მუნიციპალიტეტებს, და ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის მოსურნე ყველა დაინტერესებულ მხარეს.

მადლობა მინდა გადავუხადო ადგილობრივი დემოკრატიის ყველაზე დიდი მხარდამჭერს საქართველოში, ფონდ „ღია-საზოგადოება საქართველოს“, რომელის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ანგარიშის მომზადება.

კანონმდებლობის ანალიზი

დასახლების საერთო კრება

პეტიცია

სამოქალაქო მრჩევლთა საბჭო

საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა

საჯარო ანგარიშის წარდგენა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია

1. დასახლების საერთო კრება

1.1. საერთო კრება – ზოგადი დებულებები

საერთო კრების ცნება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, დასახლების საერთო კრება (შემდგომ – საერთო კრება) არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის, ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.[1]

- მუნიციპალური აქტები

მუნიციპალიტეტთა საკრებულოებს ამ დრომდე არ მიუღიათ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება ან მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული ფორმის მარეგულირებელი სხვა კანონქვემდებარე აქტი.

ბათუმი, ქუთაისი

საერთო კრების ტიპური დებულების დანართი 1 განსაზღვრავს დასახლების საერთო კრებათა ჩამონათვალს, რაც იძლევა დასახლებათა იდენტიფიცირების შესაძლებლობას, თუმცა ტიპური დებულებით დასახლების საერთო კრების ცნება განსაზღვრულია ორგანული კანონის იდენტურად.

რუსთავი

საპილოტე მუნიციპალიტეტთა უმრავლესობის კანონქვემდებარე აქტებში საერთო კრების ცნება განსაზღვრულია ორგანული კანონის შესაბამისად, კერძოდ, ტიპური დებულება იმეორებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ნორმას და არ განსაზღვრავს დასახლებათა ჩამონათვალს:

*"დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს **შესაბამის დასახლებაში** რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში ქმედით ჩართულობას"*

[1] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი;

■ ხარვეზი

ზოგადი ცნების - „შესაბამის დასახლებაში“ - მითითება არ იძლევა დასახლებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, საკრებულო დასახლებების იდენტიფიცირების ვალდებულებას უდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს, თუმცა ამ ეტაპზე გამგებლის/მერის მიერ დაკისრებული ვალდებულება ჯერ კიდევ შეუსრულებელია.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი;

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, საერთო კრების ცნებაში იყოს იდენტიფიცირებული ის დასახლებები, რომელზედაც ვრცელდება დებულების მოქმედება. შესაძლებელია, საკრებულომ დაამტკიცოს დანართი, სადაც გამიჯნავს, დასახლებებს 500-მდე, 500-2000 და 2000 მეტი ამომრჩევლის მიხედვით და საერთო კრების ცნებაში მოახდენს მითითებას აღნიშნულ დანართზე. მაგალითად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, დასახლების საერთო კრების ცნება რეკომენდირებულია განისაზღვროს შემდეგნაირად:

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის *დასახლების საერთო კრება არის* ***დანართი 2-ით განსაზღვრულ დასახლებათა*** *მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის გადაწყვეტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში ქმედით ჩართულობას.“*

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი;

საერთო კრების სახელწოდება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს საერთო კრების სახელწოდების განსაზღვრის ზოგად წესს. კერძოდ, ორგანული კანონის თანახმად, საერთო კრების სახელმწოდება შედგება შესაბამისი დასახლების კატეგორიის დასახელებისგან („სოფელი“/“დაბა“/“ქალაქი“), დასახლების სახელწოდებისგან და ზოგადი სახელწოდებისგან („საერთო კრება“)[2].

■ მუნიციპალური აქტები

საერთო კრებები იდენტიფირებული აქვს მხოლოდ რუსთავის მუნიციპალიტეტს, თუმცა შესაბამის დანართში განსაზღვრულია მხოლოდ საერთო კრებების მისამართები. დანარჩენ შემთხვევებში მუნიციპალიტეტების დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას, რომელიც ადგენს საერთო კრების სახელწოდების განსაზღვრის ზოგად წესს:

[2] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[2]-ე მუხლის მე-2 ნაწილი

„საერთო კრების სახელწოდება შედგება შესაბამისი დასახლების კატეგორიის დასახელებისგან („სოფელი“/“დაბა“/“ქალაქი“), დასახლების სახელწოდებისგან და ზოგადი სახელწოდებისგან („საერთო კრება“)“

გარდაბანი, გორი, დუშეთი, ბოლნისი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, გორი, ქ. თელავი;

■ ხარვეზი

საერთო კრების სახელწოდებას რაც შეეხება, მუნიციპალიტეტები შემოიფარგლებიან ორგანული კანონის ნორმის კანონქვემდებარე აქტში გადმოტანით.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი;

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დებულებამ არ გაიმეოროს ორგანული კანონის რეგულირება და ამ რეგულირების გათვალისწინებით, ცალკე დანართად განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებათა საერთო კრებების სახელწოდებები.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი;

საერთო კრების წევრები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის შესაბამისად, საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი[3]. საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვთ, აგრეთვე შესაბამისი დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირს.[4]

■ მუნიციპალური აქტები

საპილოტე მუნიციპალიტეტთა უმრავლესობის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება საერთო კრების წევრთა წრეს განსაზღვრავს ორგანული კანონის შესაბამისად, ამასთან, დებულებათა უმრავლესობა ადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეთა და დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებ სრულწლოვან პირთა იდენტიფიცირების პროცედურას:

„საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირებს. საერთო კრების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით პირის მონაწილეობის თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, პირი საკუთარ უფლებას ადასტურებს შესაბამის დასახლებაში ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით ან/და საერთო კრებაზე დამსწრე არანაკლებ 3 სრულუფლებიანი წევრის ხელმოწერილი სამეზობლო აქტით.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი.

---

[3] საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან (საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი)

[4] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^2-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საპილოტე მუნიციპალიტეტთა ნაწილის საერთო კრების ტიპური დებულება განსაზღვრავს მხოლოდ საერთო კრების წევრთა წრეს, ორგანული კანონის შესაბამისად:

„საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირებს.“

გორი, ქ. თელავი;

■ ხარვეზი

გორისა და ქ. თელავის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არაა განსაზღვრული საერთო კრებაში დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა და სხვა სრულწლოვან პირთა იდენტიფიცირების პროცედურა, რაც შესაძლოა, პრაქტიკაში დაკავშირებული იყოს გარკვეულ სირთულეებთან. მაგალითად, მათ კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობაზე უარი ეთქვათ იმის გამო, რომ კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული მათი იდენტიფიცირების პროცედურა.

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია გორის და ქ. თელავის მუნიციპალიტეტის დასახლების ტიპურ დებულებაში განისაზღვროს დასახლების ტერიტორიაზე უძრავი ქონების მესაკუთრეთა და ფაქტობრივად მცხოვრებ სრულწლოვან პირთა იდენტიფიცირების პროცედურა, შესაძლოა, მუნიციპალიტეტებმა გაიმეორონ სხვა მუნიციპალიტეტთა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისი ნორმა, ან დაადგინონ განსხვავებული რეგულაცია.

საერთო კრების მოწვევის წესი იმ დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს დასახლების ცალკეულ ნაწილებში, საერთო კრების ეტაპობრივად მოწვევის შესაძლებლობას იმ დასახლებებისთვის, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება. ორგანული კანონი ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს აკისრებს ვალდებულებას, განსაზღვრონ საერთო კრების დასახლების ნაწილებში გამართვისა და საქმიანობის წესი.

■ მუნიციპალური აქტები

საპილოტე მუნიციპალიტეტთა დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით საერთო კრების მოწვევის წესი იმ დასახლებაში, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება განსაზრვრულია შემდეგნაირად:

„დებულების ზოგადი წესები ვრცელდება იმ დასახლებებზე, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება.

დებულების მე-4 თავით გათვალისწინებული ნორმები ვრცელდება მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის, სადაც რეგისტრირებულია 501-2000 ამომრჩეველი. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ დასახლებაში იქმნება ერთი საერთო კრება, თითოეული დასახლება იყოფა უბნებად, რომელიც წარმოადგენს დასახლების საერთო კრების ნაწილს. დასახლების საერთო კრება ტარდება დასახლების ცალკეულ ნაწილებში, უბნის კრების სახით. ერთ დასახლებაში უბნის კრებები ერთი საერთო კრებისთვის უნდა ჩატარდეს თანმიმდევრობით ერთი კვირის ვადაში. კვორუმი და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საერთო კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა

იანვარიშება ყველა უბნის კრებების დამსწრეთა საერთო რაოდენობიდან. გამართული შეხვედრების დღის წესრიგი იდენტურია, კენჭისყრის შედეგები კი ჯამდება. უბნის კრებას წარმართავს და თავჯდომარეობს რჩეული ან თავჯდომარეობაზე უფლებამოსილი პირი. დასახლებას უბნებად დაყოფის შემთხვევაშიც ჰყავს ერთი რჩეული. რჩეული აირჩევა საერთო კრების უბნის კრებების შეჯამებული შედეგების გათვალისწინებით.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

„საერთო კრების ტიპური დებულების შესაბამისად იმ დასახლებისთვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება, შეიძლება დაწესდეს საერთო კრების დასახლების ცალკეულ ნაწილებში ეტაპობრივად მოწვევის პროცედურა. საერთო კრების დასახლების ნაწილებში გამართვისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' და ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.“

გორი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებული აქვს ცალკე კანონქვემდებარე აქტი „მცხეთის მუნიციპალიტეტში საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ დასახლებისთვის, რომელშიც რეგისტრირებულია 501-2000 ამომრჩეველი.“[5]

მცხეთა

■ ხარვეზი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით განსაზღვრულია საერთო კრების ეტაპობრივად მოწვევის შესაძლებლობა იმ დასახლებებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება, თუმცა არაა განსაზღვრული ამ შემთხვევაში, საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის წესი;

გორი

მუნიციპალიტეტს საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის წესი მოწესრიგებული აქვს, არა ერთი, არამედ რამოდენიმე კანონქვემდებარე აქტით, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ეწინააღმდგება კარგ პრაქტიკას, დაინტერესებულ პირს არ უნდა უწევდეს მოქალაქეთა მონაწილეობის ერთი ფორმის შესახებ ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა აქტებში.

მცხეთა

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დებულებაში ცალკე იყოს გამოყოფილი საერთო კრების გამართვის პროცედურა დასახლებებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ზე მეტია და 2000-ზე ნაკლებია ან გაკეთდეს მითითებითი ნორმა დებულებაში უკვე არსებულ წესზე და პროცედურებზე;

გორი

რეკომენდირებულია საერთო კრების მოწვევასთან და გამართვასთან დაკავშირებული საკითხები გაერთიანდეს ერთ ნორმატიულ აქტში, რომლის ფარგლებშიც, დასახლებებში, სადაც

[5] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3146150

რეგისტრირებულია 2000 ამომრჩეველზე მეტი, ცალკე განისაზღვრება საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის წესი.

მცხეთა

საერთო კრების მოწვევის წესი იმ დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს საერთო კრების უფლებამოსილებებს, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესს იმ დასახლებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება. იმ დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, აგრეთვე ამ დასახლებაში შექმნას რამდენიმე საერთო კრება და, ორგანული კანონის გათვალისწინებით, განსაზღვროს მათი უფლებამოსილებანი, სახელწოდებები და საქმიანობის წესი.[6]

■ მუნიციპალური აქტები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება განსაზღვრავს საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის წესს იმ დასახლებებში, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება.

ქ. გორი

საკრებულოების დადგენილებით დამტკიცებულია ცალკე დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებები იმ დასახლებებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაონდებობა 2000-ს აღემატება.

თიანეთი, მცხეთა

საპილოტე მუნიციპალიტეტთა ნაწილის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება ითვალისწინებს მხოლოდ საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობას ამ ტიპის დასახლებებში:

„იმ დასახლებებში, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დასახლებაში შექმნას რამდენიმე საერთო კრება“

გორი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი, რუსთავი

■ ხარვეზი

საერთო კრების მოწვევის და საქმიანობის წესი 2000 ამომრჩეველზე ზემოთ დასახლებულებებისთვის საკრებულოს დარეგულირებული აქვს ცალკე დადგენილებით;

მცხეთა, თიანეთი

---

[6] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^2-ე მუხლის მე-4, მე-6 ნაწილები

საპილოტე მუნიციპალიტეტთა ნაწილის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ საერთო კრების დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების მოწვევის და საქმიანობის წესი იმ დასახლებებისთვის, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 2000 ამომრჩეველს.

გორი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი, რუსთავი

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია საერთო კრების მოწვევასთან და გამართვასთან დაკავშირებული საკითხები გაერთიანდეს ერთ ნორმატიულ აქტში, რომლის ფარგლებში ცალკე განისაზღვრება საერთო კრების მოწვევისა და საქმიანობის წესი დასახლებებში, სადაც რეგისტრირებულია 2000 ამომრჩეველზე მეტი.

მცხეთა, თიანეთი, გორი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი, რუსთავი

1.2. საერთო კრების ინიცირება და ორგანიზება

საერთო კრების მოწვევა გამგებლის/მერის მიერ

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

გამგებელი/მერი იღებს გადაწყვეტილებას საერთო კრების გამართვის შესახებ, რომელსაც რეგისტრაცია არ სჭირდება. გამგებელს/მერს უფლება არ აქვს საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის არჩევის საკითხი. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ[7].

■ მუნიციპალური აქტები

საპილოტე მუნიციპალიტეტების კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად:

დასახლებაში, სადაც არჩეულია რჩეული, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ. საერთო კრების გამგებლის მიერ მოწვევის შემთხვევაში რჩეულის უფლებამოსილების ვადა ავტომატურად გრძელდება, გამგებელს არ შეუძლია დღის წესრიგში შეიტანოს რჩეულის არჩევის საკითხი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი,
თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი,
მარნეული, საგარეჯო, თელავი

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც გაიმართა საერთო კრების პირველი შეკრება. ასეთ შემთხვევაში ინფორმაცია საერთო კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, სპეციალურად საჯარო განცხადებებისთვის განკუთვნილ ადგილას და დასახლებულ პუნქტში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, ასევე ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში, რომელიც გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც და ვრცელდება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ასევე

[7] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[4]-ე მუხლის მე-12 ნაწილი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა და სხვა ინტერნეტრესურსებზე, რომლის მართვას ახორციელებს მუნიციპალიტეტი,საერთო კრების თარიღამდე 30 დღით ადრე

მცხეთა

მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის ინიციირება ხდება ამ მუხლის მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერს უფლება არ აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის არჩევის საკითხი. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ.

რუსთავი

მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც გაიმართა საერთო კრების პირველი შეკრება. ასეთ შემთხვევაში ინფორმაცია საერთო კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება ქ.გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად საჯარო განცხადებებისთვის განკუთვნილ ადგილას და დასახლებულ პუნქტში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, ასევე ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში, რომელიც გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც და ვრცელდება ქ.გორის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ასევე მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა და სხვა ინტერნეტრესურსებზე, რომლის მართვას ახორციელებს ქ. გორის მუნიციპალიტეტი,საერთო კრების თარიღამდე 30 დღით ადრე

ქ. გორი

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული გამგებლის/მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურული საკითხები.

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებაში დეტალურად განისაზღვროს გამგებლის/მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურა.

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო

საერთო კრების მოწვევა საინიციატივო ჯგუფის მიერ

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის გამგებელს მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და საერთო კრების დღის

წესრიგი. ინიციატივას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია. ინფორმაცია ინიციატივის რეგისტრაციისა და საერთო კრების დღის წესრიგის თაობაზე საჯაროდ ქვეყნდება[8].

მუნიციპალური აქტები

„საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს: ა) საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში); ბ) საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები; გ) საერთო კრების დეტალური დღის წესრიგი; დ) ინფორმაცია საერთო კრების ჩასატარებლად მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შესახებ. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის გამგებელი, საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. თელავი

„საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მერს წარუდნეს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში დეტალურად მიეთითება საინიციატივო ჯგუფის წევრთა მონაცემები , საერთო კრების დეტალური დღის წესრიგი და ინფორმაცია საერთო კრების ჩასატარებლად მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შესახებ. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს რუსთავის მერი ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელე/სტრუქტურული ერთეული, რომელიც განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გასცემს ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას. რეგისტრაციის ცნობის მიღებიდან იწყება ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგრობება. ხოლო ცნობის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში უნდა მიეთითოს საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი და შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5 %-ის ხელმოწერები.“

რუსთავი

„საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მერს წარუდნეს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს: ა) საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში); ბ) საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები; გ) საერთო კრების დეტალური დღის წესრიგი; დ) საერთო კრების ჩატარებისთვის თვითმმართველი ორგანოებიდან საჭირო ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს მერია, საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.“

[8] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[4]-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილები

ქ. გორი

„საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში). განცხადებას თან უნდა ერთოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები და საერთო კრების დღის წესრიგი. საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხები საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს გორის გამგებელი, საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.“

გორი

■ ხარვეზები

არ არის გათვალისწინებული, საინიციატივო ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის საერთო კრების ჩასატარებლად, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა.

გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია დებულებაში გაკეთდეს მითითება იმის შესახებ, რომ საინიციატივო ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, წერილობით მიმართოს გამგებელს/მერს კრების გამართვის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შესახებ.

გორი

საერთო კრების მოწვევა რჩეულის მიერ

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას გამგეობის/მერიის მიერ რეგისტრაცია არ ესაჭიროება. საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება ზოგადი წესების შესაბამისად, გარდა საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის წარდგენის პროცედურისა.[9]

■ მუნიციპალური აქტები

„რჩეული საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციტივას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს ან/და მის მიერ უფლებამოსილ მოხელეს. საერთო კრების მოწვევის შესახებ რჩეულის ინიციატივა მიიღება ცნობად და მას რეგისტრაცია არ ესაჭიროება. კრების გამართვამდე 1 თვით ადრე მაინც, რჩეული მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებაში მიეთითება, საერთო კრების მოწვევის: ა) თარიღი; ბ) დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში); გ) ინფორმაცია საერთო კრების ჩასატარებლად ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შესახებ. რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში, საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას მუნიციპალიტეტის

[9] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^4-ე მუხლის მე-12 ნაწილი

გამგებლის ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელის/სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით, უზრუნველყოფს რჩეული. რჩეული პასუხისმგებელია საერთო კრების მოწვევისა და წარმართვისათვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

„საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას რეგისტრაცია არ ესაჭიროება. აღნიშნულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება ამ მუხლის მე-8–მე- 11 პუნქტებით განსაზღვრული წესით, გარდა საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის წარდგენის პროცედურისა.“

რუსთავი

„რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას მუნიციპალიტეტის მერის/გამგებლის მიერ რეგისტრაცია არ ესაჭიროება. კრების გამართვამდე 1 თვით ადრე რჩეული მუნიციპალიტეტის მერს/გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება, საერთო კრების მოწვევის: თარიღი; დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში); საერთო კრების ჩატარებისთვის თვითმმართველი ორგანოებიდან საჭირო ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია. საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს რჩეულის მიერ განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე და არაუგვიანეს 30 დღე. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის შესახებ ცნობის მიღების შემთხვევაში. ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი/გამგებელი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია კანონის და ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.“

ქ. გორი, თიანეთი, მცხეთა

■ ხარვეზები

რჩეული არ არის ვალდებული, გამგებელს/მერს საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებასთან ერთად წარუდგინოს საერთო კრების დეტალური დღის წესრიგი.

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში სავალდებულო გახდეს კრების დღის წესრიგის წარდგენაც.

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

საერთო კრების რეგისტრაციის პროცედურა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის დადგენილებით განსაზღვრული წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები. აღნიშნული პროცედურის შემდეგ გამგებელი ან უფლებამოსილი მოხელე/სტრუქტურული ერთეული გასცემს რეგისტრაციის ცნობას ცნობას 5 სამუშაო დღის ვადაში კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობის მიღების შემთხვევაში. საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას მუნიციპალიტეტის გამგებლის ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფს საინიციატივო ჯგუფი [10]

საერთო კრების საერთო კრების რჩეულის მიერ მოწვევის შემთხვევაში რეგისტრირდება კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია.

■ მუნიციპალური აქტები

„რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის დადგენილებით განსაზღვრული წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები. რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე/სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. მუნიციპალიტეტის გამგებელი ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელე/სტრუქტურული ერთეული 2 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ამომრჩეველთა სიის ბლანკზე არსებულ ხელმოწერებს, თუ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა აღმოჩნდება დადგენილ ოდენობაზე ნაკლები, ან შემოწმების შედეგად გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, ამომრჩეველთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება საინიციატივო ჯგუფს და ეძლევა 2 სამუშაო დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. საინიციატივო ჯგუფის მიერ წამორდენილ ამომრჩეველთა სიის შესწორებულ ნაწილს კვლავ ამომწმებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელე/სტრუქტურული ერთეული ზემოაღნიშნული წესით 1 სამუშაო დღის ვადაში. თუ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა კვლავ ნაკლები აღმოჩნდა, ამომრჩეველთა სია მთლიანად ბათილდება და საინიციატივო ჯგუფს გამგებლის ბრძანებით უარი ეთქმება საერთო კრების მოწვევის განცხადების რეგისტრაციაზე.

საერთო კრების საერთო კრების რჩეულის მიერ მოწვევის შემთხვევაში, კრების გამართვამდე 1 თვით ადრე მაინც, რჩეული მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთ კრების მოწვევის: ა) თარიღი; ბ) დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში); გ) ინფორმაცია საერთო კრების ჩასატარებლად ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების შესახებ. (მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები)“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი,
ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმებს.

---

[10] ადგილიბრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[4]-ე მუხლის მე-8-მე-10 ნაწილები

გორი, ქ. რუსთავი

„რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა (ვადაში ჩითვლება დასვენების დღეები) საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის დადგენილებით განსაზღვრული წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობი სმიღების შემთხვევაში. რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. საერთო კრების საერთო კრების რჩეულის მიერ მოწვევის შემთხვევაში, კრების გამართვამდე 1 თვით ადრე მაინც, რჩეული მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთ კრების მოწვევის: ა) თარიღი; ბ) დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში); გ) საერთო კრების ჩატარებისთვის თვითმმართველი ორგანოებიდან საჭირო ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის შესახებ ცნობის მიღების შემთხვევაში , ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.“

მცხეთა, ქ.გორი

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული გამგებლის/მერის, საერთო კრების რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში დასახლების საერთო კრების რეგისტრაციის პროცედურა.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ.თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია დებულებაში დეტალურად განისაზღვროს გამგებლის/მერის საერთო კრების რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის პროცედურა.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ.თელავი

საერთო კრების მოწვევაზე ხელმოწერის შეგროვების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, საინიციატივო ჯგუფი საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას იწყებს რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან. სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა. სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრები.[11]

■ მუნიციპალური აქტები

[11] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^4-ე მუხლის მე-7 ნაწილი

„იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების ინიციატორი არის საინიციატივო ჯგუფი, ინიციატივის რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან გადაეცემა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ამომრჩეველთა სიის ფურცლები. საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას და საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან. ამომრჩეველთა სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი. საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა. სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრი, სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ : ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი; ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი); გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები); დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამ კანონით განსაზღვრულ ამომრჩეველთა სიის შედგენის ვადას; ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა; ვ) ამომრჩეველთა სიაში შეყვანილი ამომრჩეველი არ არის რეგისტრირებული ამ დასახლებაში ან რეგისტრირებულია სხვა დასახლებაში; ზ) ხელმომწერი პირი წარდგენილი განცხადებით ადასტურებს, რომ ხელმოწერა შესრულებული იყო მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით; თ) არასრულად ან არასწორად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; ი) ხელმოწერა შესრულებულია იმ ფურცელზე, რომელიც არ შეესაბამება ამომრჩეველთა სიის დადგენილ და დამოწმებულ ფორმას. ხელმოწერ(ებ)ის გაყალბებისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლავოდეხი, მარნეული, საგარეჯო

ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას.

გორი

„საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან გადაეცემა სიის ფურცლები და იწყებს საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას. სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა. სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრი.“

მცხეთა, ქ. რუთავი, ქ. გორი, ქ. თელავი,

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული გამგეობის მიერ საინიციატივო ჯგუფისთვის ხელმოწერების შესაგროვებლად საჭირო ფორმის გადაცემის ვალდებულება.

გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია დებულებაში ზუსტად მიეთითოს მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის ვალდებულება, საინიციატივო ჯგუფი უზრუნველყოს ხელმოწერების შესაგროვებლად საჭირო ფორმებით.

გორი

საერთო კრების მოწვევის თარიღი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის შესაბამისად, საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების წარდგენიდან არაუადრეს მე-15 დღე.[12]

■ მუნიციპალური აქტები

„საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირების შემთხვევაში, კრების თარიღად შეიძლება განისაზღვროს საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების წარდგენიდან არაუადრეს მე-15 დღე.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საერთო კრების მოწვევისას საერთო კრების მოწვევის თარიღად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან არაუადრეს მე-15 და არაუგვიანეს 30-ე დღე.

რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევისას კრების გამართვამდე 1 თვით ადრე მაინც, რჩეული მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას.

გორი

„საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირების შემთხვევაში, კრების თარიღად შეიძლება განისაზღვროს საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების წარდგენიდან არაუადრეს 15 და არა უგვიანეს 30 დღე.

საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს რჩეულის მიერ განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე და არაუგვიანეს 30 დღე.“

მცხეთა, ქ. გორი,

„საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირების შემთხვევაში, კრების თარიღად შეიძლება განისაზღვროს საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების წარდგენიდან არაუადრეს მე-15 დღე.“

რუსთავი

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული ცალკეულ შემთხვევებში კრების მოწვევის თარიღის განსაზღვრის წესი.

გორი, მცხეთა, ქ. რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საერთო კრების გამართვის თარიღის გამოთვლის წესი და შესაბამისი ვადები. უმჯობესია, ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საინიციტივო ჯგუფისა და რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში, მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების წარდგენიდან

[12] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^4-ე მუხლის მე-4 ნაწილი

არაუადრეს მე-15 და არაუგვიანეს 30-ე დღე, ხოლო საერთო კრების მერის მიერ მოწვევის შემთხვევაში, მერის მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუადრეს მე-15 და არაუგვიანეს 30-ე დღე.“

გორი, მცხეთა, ქ. რუსთავი

საერთო კრების დღის წესრიგი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

დღის წესრიგის არსებობა აუცილებელია საერთო კრების გამართვისთვის. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა უნდა განეკუთვნებოდეს მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებებს. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების მოწვევის ინიციატორი გამგებელი/მერია დღის წესრიგში არ უნდა იყოს გათვალისწინებული რჩეულის არჩევის საკითხი. დღის წესრიგი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ზოგადი წესების შესაბამისად საჯაროდ ქვეყნდება.

■ მუნიციპალური აქტები

„საერთო კრება მუშაობს წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, რომელსაც ადგენს კრების ინიციატორი. საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. საერთო კრებაზე დღის წესრიგის ფარგლებში საკითხის, წინადადების, ინიციატივის დასმის უფლება აქვს კრების ნებისმიერ წევრს, რომელსაც რჩეული ან კრების ინიციატორი პირი აყენებს კენჭისყრაზე. დღის წესრიგი უნდა შეიცავდეს საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთა დეტალურ ჩამონათვალს.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას.

გორი

„დღის წესრიგის არსებობა აუცილებელია საერთო კრების გამართვისთვის. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა უნდა განეკუთვნებოდეს მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებებს. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.“

მცხეთა

„დღის წესრიგის არსებობა აუცილებელია საერთო კრების გამართვისთვის. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა უნდა განეკუთვნებოდეს მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებებს. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.“

რუსთავი

დღის წესრიგის არსებობა აუცილებელია საერთო კრების გამართვისთვის. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა უნდა განეკუთვნებოდეს მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებებს. დღის წესრიგში დეტალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები. საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

ქ. გორი

■ ხარვეზები

საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, არ არის განსაზღვრული იმ საკითხის განხილვის შესაძლებლობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღის წესრიგში, თუმცა შედის მუნიციპალიტეტისა და საერთო კრების უფლებამოსილებებში.

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საერთო კრება არ შემოიფარგლოს მხოლოდ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით და იყოს შესაძლებლობა, საერთო კრებაზე განიხილონ სხვა საკითხებიც, რომელიც უკავშირდება დასახლებულ პუნქტს და შედის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებში.

საერთო კრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობისა და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია და საერთო კრების დღის წესრიგი, საჯაროდ ქვეყნდება. ინფორმაციის შესაბამის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში)

■ მუნიციპალური აქტები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით საერთო კრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი არ არის განსაზღვრული

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას

გორი

„საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია საჯარო გაცნობისთვის ქვეყნდება რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად საჯარო განცხადებებისთვის განკუთვნილ ადგილას და დასახლებულ პუნქტში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, ასევე ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში, რომელიც გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც და ვრცელდება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ასევე მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და სხვა ინტერნეტრესურსებზე, რომლის მართვას ახორციელებს მუნიციპალიტეტი. ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობა.“

მცხეთა, ქ. გორი

„საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.“

რუსთავი

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული საერთო კრების გამართვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება და პროცედურა.

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია დებულებით განისაზღვროს საერთო კრების შესახებ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, გამოქვეყნებაზე ვალდებული პირი და გამოქვეყნების წესი ან გაკეთდეს მითითება მუნიციპალიტეტში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

საერთო კრების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას შესაბამის დასახლებაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში).

■ მუნიციპალური აქტები

საინიციატივო ჯგუფის მიერ საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას მუნიციპალიტეტის გამგებელის ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფს საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი პასუხისმგებელია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებაზე, რომელიც საერთო კრების მოწვევისთვის განისაზღვრება.

რჩეულის მიერ საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში, საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას მუნიციპალიტეტის გამგებლის ან/და მის მიერ უფლებამოსილი მოხელის/სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ - ტექნიკური მხარდაჭერით, უზრუნველყოფს რჩეული. რჩეული პასუხისმგებელია საერთო კრების მოწვევისა და წარმართვისათვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე.

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

ტიპური დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას

გორი

„მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საინიციატივო ჯგუფის, ან რჩეულის მიერ წარდგენილი განცხადების შესაბამისად, გამოსცემს ბრძანებას საერთო კრების ჩატარებისთვის თვითმმართველი ორგანოებიდან საჭირო ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური

მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს გამგებლის/მერის მიერ საერთო კრების საკუთარი ინიციატივით მოწვევის შემთხვევაშიც.“

მცხეთა, ქ.გორი

„საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, მათ შორის, ინფორმაციის შესაბამის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მერია და საინიციატივო ჯგუფი, ავრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში). საერთო კრების ჩატარებისთვის საჭირო ორგანიზაციულ, ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შესაბამისი იურიდიული პირი.“

რუსთავი

■ ხარვეზები

საერთო კრების ორგანიზების ნაწილში არ არის გამიჯნული უფლებამოსილებები გამგეობას, საინიციატივო ჯგუფსა და საერთო კრების რჩეულს შორის.

გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით დეტალურად განისაზღვროს გამგებლის/მერის მიერ საერთო კრების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა და პროცედურები.

გორი

1.3. საერთო კრების შეკრება

დაინტერესებული პირების დასწრება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის რეგლამენტირებული საერთო კრებაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი უფლებამოსილებები.

■ მუნიციპალური აქტები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის რეგლამენტირებული საერთო კრებაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი უფლებამოსილებები.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

■ ხარვეზები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის რეგლამენტირებული საერთო კრებაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი უფლებამოსილებები.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საერთო კრებაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების პროცედურული საკითხები, მათი უფლებები და მოვალეობები.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

საკითხების ინიცირება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საერთო კრებაზე საკითხების ინიცირების წესი.

■ მუნიციპალური აქტები

„ინიციატივის ავტორს ეძლევა 10 წუთი თავისი ინიციატივის კრების მონაწილეთათვის გაცნობისათვის.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

„დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების არ არის განსაზღვრული საერთო კრებაზე საკითხების ინიცირების წესი.“

გორი, რუსთავი

■ ხარვეზები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრებაზე საკითხების ინიცირების წესი.

გორი, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საერთო კრებაზე საკითხების წარდგენის და ინიცირების ზოგადი დებულებები და პროცედურა.

გორი, რუსთავი

აზრის გამოთქმის ორგანიზება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის რეგლამენტირებული საერთო კრებაზე აზრის გამოთქმის ორგანიზების წესი.

■ მუნიციპალური აქტები

„ინიციატივაზე აზრის გამოთქმა შეუძლია კრების ნებისმიერ დამსწრეს, რისთვისაც მას ეძლევა 2 წუთი.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრებაზე აზრის გამოთქმის წესი

გორი, რუსთავი

■ ხარვეზები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრებაზე აზრის გამოთქმის წესი.

გორი, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს კონკრეტული რეგლამენტი, რომლითაც დარეგულირდება საერთო კრებაზე მონაწილეთა აზრის გამოთქმის პროცესი.

გორი, რუსთავი

კენჭისყრის წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს საერთო კრების თავჯდომარეობაზე უფლებამოსილი პირი. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დაწესდეს კენჭისყრის განსხვავებული ფორმა.[13]

■ მუნიციპალური აქტები

„კენჭისყრა, როგორც წესი, ღიაა. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს რჩეული, ან საერთო კრების თავჯდომარეობაზე უფლებამოსილი პირი. ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ რჩეულის არჩევის დროს. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე კენჭისყრა ტარდება საერთო კრებაზე საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ. კენჭისყრის საერთო კრებაზე კენჭი ეყრება თითოეულ საკითხს ცალ-ცალკე. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს კრებაზე დამსწრე რეგისტრირებული წევრი“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი,

„კენჭისყრა, როგორც წესი, ღიაა. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს საერთო კრების თავჯდომარე. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა. საერთო კრების ეტაპობრივად, დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა.“

გორი, რუსთავი

„კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს კრების მოდერატორი. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა.

[13] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^5-ე მუხლის მე-4 ნაწილი

ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ რჩეულის არჩევის დროს. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით. თითოეულ ბიულეტენზე ხელს აწერს საარჩევნო კომისიის სამივე წევრი. სხვა დანარჩენი საკითხების გადასაწყვეტად იმართება ღია კენჭისყრა.

თითეულ საკითხზე კენჭისყრის წინ ცხადდება რეგისტრაცია. თითოეული უბნის შეკრება კენჭისყრის პროცედურის გასამართად უფლებამოსილია, თუ რეგისტრაციას გაივლის უბანში რეგისტრირებული ამომრჩევლის 20% მაინც. თითოეულ უბანში კენჭი ეყრება თითოეულ საკითხს ცალ-ცალკე.“

მცხეთა, ქ. გორი

■ ხარვეზები

საერთო კრებას არ აქვს კენჭისყრის შესაბამისი ფორმის არჩევის შესაძლებლობა.

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი,

საერთო კრებას არ აქვს კენჭისყრის ფორმის არჩევის შესაძლებლობა რჩეულის არჩევის დროს.

მცხეთა, ქ. გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საერთო კრებამ ღია კენჭისყრით გადაწყვიტოს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში კენჭისყრის ფორმის საკითხი.

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის გენდერული ასპექტები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგნული კანონი შეიცავს ზოგად მითითებას, რომ საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

■ მუნიციპალური აქტები

საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო

საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დასახლების ცალკეულ ნაწილებში/უბნებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 20% მაინც, ისე რომ იმავდროულად უზრუნველყოფილი იყოს მთელი დასახლების საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-ის მონაწილეობა, რომელთაგან როგორც უბნებში გამართული შეკრებების, ისე საერთო კრების მონაწილეთა 30% მაინც უნდა მიეკუთვნებოდეს ერთ-ერთ სქესს.

მცხეთა, ქ. თელავი, ქ.გორი

■ ხარვეზები

დებულება შეიცავს ზოგად მითითებას, რომ საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ქალისა და მამაკაცის თანასწარი მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა არ არის განსაზღვრული აღნიშნული ჩანაწერის პრაქტიკაში განხორციელების მექანიზმი.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს ორგანული კანონის ჩანაწერი გენდერული თანასწორობის შესახებ. დებულებამ უნდა დააკონკრეტოს რა შემთხვევაშია კრება ლეგიტიმური გენდერული ნიშნით.

გარდაბანი, გორი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო

გადაწყვეტილების სტატუსი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი არ განსაზღვრავს საერთო კრების გადაწყვეტილების სტატუსს.

■ მუნიციპალური აქტები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების გადაწყვეტილების სტატუსი

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

■ ხარვეზები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების გადაწყვეტილების სტატუსი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საერთო კრების გადაწყვეტილების სტატუსი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

გადაწყვეტილების საჯაროობის უზრუნველყოფა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი არ განსაზღვრავს საერთო კრების გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესს.

■ მუნიციპალური აქტები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცედურა და ვადები.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

■ ხარვეზები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცედურა.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საერთო კრების გადაწყვეტილების პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და გამოქვეყნებაზე ვალდებული პირი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

გადაწყვეტილებაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს რეაგირება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი ამ კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს.[14]

■ მუნიციპალური აქტები

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი ამ კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს.

გორი, მცხეთა, ქ.გორი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების გადაწყვეტილებაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების რეაგირების პროცედურა და ვადები

[14] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^3-ე მუხლის მე-3 ნაწილი

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული საერთო კრების გადაწყვეტილებაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების რეაგირების პროცედურა და ვადები.

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქ თელავი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით განსაზღვრულია საერთო კრების გადაწყვეტილებაზე რეაგირების წესი, რომელიც უთითებს იმავე კანონქვემდებარე აქტსა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე, თუმცა, მითითება არ შეიცავს კონკრეტულ მუხლებს.

გორი, მცხეთა, ქ. გორი

■ რეკომენდაციები

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, კანონქვემდებარე აქტით დადგენილი რეგულაცია გასაგები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, რისთვისაც კანონქვემდებარე აქტში უნდა გაიწეროს კონკრეტული პროცედურები, ან გაკეთდეს მითითება სხვა ნორმატიული აქტის კონკრეტულ ნორმაზე;

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საერთო კრების გადაწყვეტილებაზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირების რეაგირების პროცედურები და ვადები ან გაკეთდეს კონკრეტული მითითება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებზე.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. რუსთავი, ქ.

1.4. საერთო კრების რჩეული

რჩეულის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი რჩეულის კანდიდატურის წარდგენის პროცედურის რეგლამენტაციისას შემოიფარგლება მხოლოდ საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის წარმდგენი სუბიექტის განსაზღვრით - „საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5 % -ს“ [15]

■ მუნიციპალური აქტები

საპილოტე მუნიციპალიტეტთა დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებები რჩეულის წარდგენის პროცედურას განსაზღვრავენ შემდეგნაირად:

„რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5 %-ს, საერთო კრები სმოწვევის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. რჩეულის კანდიდატად არ შეიძლება დასახელდნენ :

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ბ) მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელე;

[15] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[2]-ე მუხლის მე-7 ნაწილი

გ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან შრომით

ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

დ) მუნიციპალიტეტის 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსთან შრომით

ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

ე) პირი, რომელიც არ არის შესაბამისი დასახლების საერთო კრების წევრი.

რჩეულის კანდიდატურის რეგისტრაციის თაობაზე გამგებელთან წერილობითი განაცხადის შეტანისა და გამგეობის მიერ დადგენილი ნიმუშის ბლანკების გაცემის მოთხოვნის უფლება აქვს მუნიციპალიტეტის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველს.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. თელავი

„საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5 % -ს“

გორი

„რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5 %-ს, რჩეულის კანდიდატურის დასახელება დადასტურებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.“

მცხეთა, რუსთავი

■ ხარვეზები

ზოგიერთი საპილოტე მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება წარდგენილ იყვნენ რჩეულის კანდიდატურაზე.

გორი, მცხეთა, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია განისაზღვროს იმ პირთა ჩამონათვალი, რომელიც არ შეიძლება ასრულებდეს საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილებებს, ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის გამო.

გორი, მცხეთა, რუსთავი

რჩეულის კანდიდატურაზე ხელმოწერის შეგროვების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არ არის განსაზღვრული რჩეულის კანდიდატურაზე ხელმოწერის შეგროვების წესი

■ მუნიციპალური აქტები

„რჩეულის კანდიდატურის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში არსებული ხელმოწერების ნამდვილობა, მოწმდება გამგებლის უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ 2 სამუშაო დღის ვადაში. თუ დადგინდება, რომ ნამდვილი ხელმოწერების რაოდენობა საერთო კრების წევრთა 5%-ზე ნაკლებია, კანდიდატურის წარმდგენ პირს უარი ეთქმის რეგისტრაციაზე, საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, ლაგოდეხი, საგარეჯო. ქ. თელავი

„რჩეულის კანდიდატურის დასახელებისას მისი მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში უნდა მიეთითოს მხარდამჭერი პირის: ა)სახელი, გვარი; ბ) პირადი ნომერი; გ) მისამართი“

მცხეთა, რუსთავი, ქ.გორი

არ არის განსაზღვრული.

გორი

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული ხელმომწერ პირთა ვალდებულება ხელმოწერილ დოკუმენტში მუითითონ თავიანთი: ა)სახელი, გვარი; ბ) პირადი ნომერი; გ) მისამართი;

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, ლაგოდეხი, საგარეჯო. ქ. თელავი

არ არის განსაზღვრული ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმებაზე უფლებამოსილი ორგანო, მისი ვალდებულებები და რჩეულის კანდიდატურის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი;

მცხეთა, რუსთავი, ქ.გორი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით რჩეულის კანდიდატურაზე ხელმოწერების შეგროვების წესი საერთოდ არაა რეგულირებული.

გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით შემდეგნაირად განისაზღვროს საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვების წესი:

„რჩეულის კანდიდატურის დასახელებისას მისი მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში უნდა მიეთითოს მხარდამჭერი პირის: ა)სახელი, გვარი; ბ) პირადი ნომერი; გ) მისამართი. რჩეულის კანდიდატურის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში არსებული ხელმოწერების ნამდვილობა, მოწმდება გამგებლის უფლებამოსილი პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ 2 სამუშაო დღის ვადაში. თუ დადგინდება, რომ ნამდვილი ხელმოწერების რაოდენობა საერთო კრების წევრთა 5%-ზე ნაკლებია, კანდიდატურის წარმდგენ პირს უარი ეთქმის რეგისტრაციაზე, საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, ლაგოდეხი, საგარეჯო. ქ. თელავი, მცხეთა, რუსთავი, ქ. გორი, გორი

რჩეულის არჩევის პროცედურა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არაა რეგულირებული რჩეულის არჩევის პროცედურა.

■ მუნიციპალური აქტები

„მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილი მოხელე რჩეულის რეგისტრირებული კანდიდატების სიას წარუდგენს საერთო კრების თავმჯდომარეობაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, აცხადებს არჩევის პროცედურის დაწყებას.

რჩეული ან საერთო კრების თავჯდომარეობაზე უფლებამოსილი პირი, წარმოდგენილი კანდიდატურების დასახელების შემდეგ ითხოვს მათ თანხმობას, კენჭი იყარონ რჩეულის თანამდებობაზე. კანდიდატთა სიის დადგენის შემდეგ ცხადდება კენჭისყრა. რჩეულის არჩევნები ტარდება ღია ან ფარული კენჭისყრით, ბიულეტინების საშუალებით, რომლის ფორმასაც ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი. ბიულეტინების მომზადების, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს ხელმძღვანელობს ხმის დამთვლელი კომისია. კომისია შედგება რჩეულის კანდიდატურის წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის თითო წარმომადგენლისა და რჩეულის ან საერთო კრების საინიციატივო ჯგუფის განსაზღვრული პირისაგან. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის თავჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ხსნის კენჭისყრისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ყუთს და ითვლის ბიულეტინების რაოდენობას. ხმის დამთვლელი კომისია განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების, ავრეთვე, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა. ღია კენჭისყრა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ რჩეულად დასახელებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი. რჩეულად აირჩევა ის კანდიდატი , რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ საერთო კრების დამსწრე წევრთა უმრავლესობისა. თუ არჩევნების შედეგების მიხედვით რამდენიმე კანდიდატმა ერთნაირი შედეგები აჩვენა, არჩევნები ხელახლა ტარდება იმ ორ კანდიდატს შორის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა, გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი,
მარნეული, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი

„კანდიდატთა სიის დადგენის შემდეგ კრების მოდერატორი აცხადებს კენჭისყრას. რჩეულის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით. ბიულეტენებში შეიტანება ყველა ის დასახელებული კანდიდატურა, რომელიც თანხმობას განაცხადებს კენჭი იყაროს რჩეულის თანამდებობაზე. ბიულეტენებში კანდიდატები შეიტანება მათი დასახელების რიგითობის მიხედვით. ბიულეტენების მომზადების, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს ხელმძღვანელობს ხმის დამთვლელი კომისია. კომისია შედგება კრებაზე დამსწრე 1 უხუცესი ქალი და 1 უხუცესი კაცი წევრისა და კრების მოდერატორისგან, კომისიას თავმჯდომარეობს კრების მოდერატორი. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ხსნის კენჭისყრისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ყუთს და ითვლის ბიულეტენების რაოდენობას. ბიულეტენი ბათილად იქნება ცნობილი, თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატის რიგითი ნომერი ან შეუძლებელია დადგინდეს რომელ კანდიდატს მიეცა ხმა. ხმისდამთვლელი კომისია განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების, აგრეთვე ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის ოქმს საერთო კრებას აცნობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის ოქმი ნამდვილია თუ ხელს აწერს კომისიის სამივე წევრი. კომისიის წევრს უფლება აქვს ხელი არ მოაწეროს ოქმს თუ მიიჩნევს, რომ

ოქმი არ ასახავს კენჭისყრის შედეგებს, ხმის მიცემის პროცედურა არ შეესაბამებოდა წინამდებარე დებულებით დადგენილ პროცედურას ან/და არსებობს სხვა მიზეზი, რაც არჩევნების უკანონობაზე მიუთითებდა. ასეთ შემთხვევაში კენჭისყრის პროცედურები ხელახლა ტარდება. რჩეულად აირჩევა კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას. თუ არჩევნების შედეგების მიხედვით, რამდენიმე კანდიდატმა ერთნაირი შედეგები აჩვენა, არჩეულად ცხადდება კანდიდატი რომელიც უფრო ადრე დარეგისტრირდა. არჩევნებზე კანდიდატურის არდასახელება ან არჩევნების ჩაშლა, არ იწვევს საერთო კრების უფლებამოსილების შეჩერებას ან შეწყვეტას. საერთო კრების შესაბამის სხდომას ბოლომდე უძღვება მოდერატორი. საერთო კრების, საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვევის შემთხვევაში, არჩევნებზე კანდიდატურის არდასახელების ან არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში, საერთო კრება უფლებამოსილია, დამსწრეთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რჩეულის უფლებამოსილების შესრულება დაავალოს კრების მოდერატორს, მისი თანხმობით.“

მცხეთა, ქ.გორი

„კანდიდატთა სიის დადგენის შემდეგ ღია კენჭისყრით ტარდება რჩეულის არჩევნები და კრების წევრები ხელმოწერებით(პირადი ნომრების მითითებით) ადასტურებენ მათთვის სასურველი კანდიდატურის მხარდაჭერას. თუ არჩევნების შედეგების მიხედვით რამდენიმე კანდიდატმა ერთნირი შედეგები აჩვენა, არჩევნები ხელახლა ტარდება იმ ორ კანდიდატს შორის, რომლმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.“

რუსთავი

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული რჩეულის არჩევის პროცედურა.

გორი

■ ხარვეზები

საერთო კრებას არ აქვს რჩეულის არჩევისათვის კენჭისყრის ფორმის არჩევის შესაძლებლობა;

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო, ქ. თელავი, ქ. გორი, მცხეთა

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული რჩეულის არჩევის პროცედურა.

გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს რჩეულის არჩევის პროცედურა, როგორც ფარული, ასევე ღია კენჭისყრის შემთხვევა, ხოლო ფორმის არჩევის უფლება მიეცეს სერთო კრებას.

გარდაბანი, ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, რუსთავი, საგარეჯო, ქ. თელავი, ქ. გორი, მცხეთა

რჩეულის უფლებამოსილებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის

შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს. [16]

■ მუნიციპალური აქტები

„რჩეული: ა) უძღვება და თავმჯდომარეობს საერთო კრების მუშაობას;
ბ) ადგენს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის თანმიმდევრობას და განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას;
გ) განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას, აკონტროლებს გამომსვლელთა მიერ დროის რეგლამენტის დაცვას;
დ) ახდენს დამსწრე წევრთა რეგისტრაციას, ადასტურებს კვორუმის არსებობას, სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
ე) უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას;
ვ) უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მუნიციალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს მუშაობაში.
ზ) შესაბამისი მოწვევის შემთხვევაში, მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საერთო კრების გადაწყვეტილებების განხილვაში;
თ) საერთო კრების გადაწყვეტილებით ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.
რჩეული ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე. რჩეული საერთო კრების ყოველი შეკრებისას საერთო კრების წინაშე წარადგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.“

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი

„რჩეული:
ა) უძღვება კრების მუშაობას;
ბ) ადგენს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას;
გ) განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას, აკონტროლებს გამომსვლელთა მიერ რეგლამენტის დაცვას;
დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
ე) უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას;
ვ) ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს;
ზ) საერთო კრების გადაწყვეტილებით ასრულებს საერთო კრების ცალკეულ უფლებამოსილებებს. რჩეული ანგარიშვალდებულია კრების წინაშე.
საერთო კრების რჩეული ყოველი საერთო კრების შეკრებისას ანგარიშით წარდგება საერთო კრების წინაშე.
ა) რჩეულის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ;
ბ) რჩეულის ანგარიში მტკიცდება საერთო კრების მიერ დამსწრეთა უმრავლესობით;
გ) თუ საერთო კრება არ დაამტკიცებს რჩეულის ანგარიშს, მისი უფლებამოსილების ავტომატურად
გაგრძელება და მისი კანდიდატურის დაყენება რჩეულის კანდიდატურად არ შეიძლება მომდევნო საერთო
კრებამდე. რჩეული უფლებამოსილია, სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს შესაბამისი მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს გამგებლის მრჩეველთა საბჭოს მუშაობაში“

მცხეთა, ქ. გორი

[16] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 852-ე მუხლის მე-8 ნაწილი

„საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთ კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას , ავრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.“

გორი, რუსთავი

■ ხარვეზები

რჩეულის უფლებამოსილებათა ჩამონათვალი ზოგადია.

გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს რჩეულის კონკრეტული უფლებამოსილებები.

გორი

1.5. საერთო კრების მდივანი

მდივნის უფლებამოსილების ვადა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საერთო კრების მდივნის უფლებამოსილების ვადა.

■ მუნიციპალური აქტები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების მდივნის უფლებამოსილების ვადა.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

■ ხარვეზები

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით არ არის განსაზღვრული საერთო კრების მდივნის უფლებამოსილების ვადა.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დასახლების საერთო კრების ტიპური დებულებით განისაზღვროს მდივნის უფლებამოსილების კონკრეტული პერიოდი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, *ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი*

2. პეტიცია

2.1. პეტიცია–ზოგადი დებულებები

პეტიციის ცნება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ განმარტავს პეტიციის ცნებას.

■ მუნიციპალური აქტები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი არ განმარტავს პეტიციის ცნებას.

ბოლნისი, გორი, დუშეთი, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი,

„პეტიცია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა წერილობით ან ელექტრონულ მიმართვას.“

გარდაბანი, თეთრიწყარო, ქ. ქუთაისი

■ ხარვეზები

მუნიციპალიტეტის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზრვრული პეტიციის ცნება.

ბოლნისი, გორი, დუშეთი, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი,

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით პეტიციის ცნება განისაზრვროს შემდგენაირად: *„პეტიცია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა წერილობით ან ელექტრონულ მიმართვას.“*

ბოლნისი, გორი, დუშეთი, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი,

პეტიციის მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებელი (86-ე მუხლის 19-ე ნაწილი). სხვა პირთა მონაწილეობა ორგანული კანონით არ არის შეზღუდული

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის დარეგულირებული პეტიციის მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები.

ბოლნისი, ქ. თელავი, საგარეჯო, ლაგოდეხი,მარნეული

„საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს პეტიცია მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.“

თიანეთი, მცხეთა, ქ. გორი, ქ. ბათუმი, ქ. რუსთავი, გორი,

„საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.“

ქ. ქუთაისი

„საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას პროაქტიულად, როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური ფორმით, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

პეტიცია ქვეყნდება ბეჭდური ფორმით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამოყოფილ განცხადებების დაფაზე და დასახლებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით. ელექტრონული ფორმით პეტიცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით ან/და მის მართვაში არსებულ სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“

გარდაბანი

„საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 851 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.“

თეთრიწყარო

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს პეტიციის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად გამოქვეყნებას.“

დუშეთი

■ ხარვეზები

მუნიციპალიტეტის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული პეტიციის მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები;

ბოლნისი, ქ. თელავი, საგარეჯო, ლაგოდეხი,მარნეული

საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია მხოლოდ პეტიციის გამოქვეყნების ვალდებულება მისი რეგისტრაციის შემთხვევაში.

თიანეთი, მცხეთა, ქ. გორი, ქ. ბათუმი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, გორი, დუშეთი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით დეტალურად განისაზღვროს პეტიციის მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. შესაძლებელია, ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს პეტიციის მიღების, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობას.
2. საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს პეტიციის გამოქვეყნებას პროაქტიულად, როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური ფორმით, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში. პეტიცია ქვეყნდება ბეჭდური ფორმით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამოყოფილ განცხადებების დაფაზე და დასახლებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ელექტრონული ფორმით პეტიცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით ან/და მის მართვაში არსებულ სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დასწრებისა და სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

5. პეტიციის განხილვის შედეგების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად“.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

2.2. პეტიციის წარდგენის წესი

პეტიციის წარმდგენი სუბიექტები

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი პეტიციის წარდგენის უფლებას ანიჭებს შემდეგ სუბიექტებს: ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს; ბ) საერთო კრებას.[17] ამასთან, ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.[18]

- მუნიციპალური აქტები

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1%-ს აქვს, პეტიციის წესით – საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირების უფლება.

ბოლნისი, მარნეული, გორი, ქ. თელავი

პეტიციის წარდგენის უფლებამოსილება აქვს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ს და საერთო კრებას.

ლაგოდეხი, საგარეჯო

„პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს: ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს; ბ) დასახლების საერთო კრებას.“

გარდაბანი, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ.რუსთავი, ქ. ქუთაისი

„პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის ან საერთო კრების მიერ.“

მცხეთა

„პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს: ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ს; ბ) საერთო კრებას. მუნიციპალიტეტის

[17] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

[18] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.“

დუშეთი

„პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს: ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 000-ზე ნაკლებია; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1000 ამომრჩეველს, იმ მუნიციპალიტეტებში სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 000-ზე მეტია; გ) დასახლების საერთო კრებას.“

თეთრიწყარო

„პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს: ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს; ბ) საერთო კრებას. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.“

თიანეთი

■ ხარვეზები

პეტიციის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტთა ჩამონათვალი არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის შესაბამისად, პეტიციის წარდგენის უფლებამოსილება ასევე აქვს დასახლების საერთო კრებას.

ბოლნისი, გორი, მარნეული, ქ. თელავი

პეტიციის წარდგენის უფლებამოსილება აქვს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %-ს.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი. ქ. თელავი. ქ. რუთავი, ქ. ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია პეტიციის წარმდგენ სუბიექტთა წრე განისაზღვროს ორგანული კანონის შესაბამისად და პეტიციის წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს დასახლების საერთო კრებას.

ბოლნისი, გორი, მარნეული, ქ. თელავი

რეკომენდირებულია, პეტიციის წარმდგენ ამომრჩეველთა 1%-იანი ზღვარი შემცირდეს და განისაზღვროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით (მაგ. 10000-20000 – 1%, 20000-40000 – 0.8%, 40000-60000-0.6%, 60000-80000-0.4% და ა.შ).

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი. ქ. თელავი. ქ. რუთავი, ქ. ქუთაისი

პეტიციის რეკვიზიტები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით განსაზღვრულია პეტიციის რეკვიზიტების დეტალური ჩამონათვალი: „პეტიცია უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; გ) პეტიციის წარდგენის თარიღს; დ) იმ შემთხვევაში, თუ პეტიციის წარმდგენი სუბიექტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიტრირებულ ამომრჩეველთა 1 %-ია – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას; ე) პეტიციის წესით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენის შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო პეტიციის წესითმოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრიცი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპებისა და კონკრეტული წინადადებების წარდგენის შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს; ვ) პეტიციის სახით მუნიციპალიტეტის ანდა დასახლების საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შეესწავლის, განხილვის და გადაწყვეტის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში – კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.[19]“

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის რეკვიზიტების ჩამონათვალი.

ბოლნისი

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მიერ წარდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; გ) პეტიციის წარდგენის თარიღს; დ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, 120-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ე) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს, 120–ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ვ) კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას, 120-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;“

საერთო კრების მიერ წარდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარდგენის თარიღს; გ) დასახლების საერთო კრების რჩეულის (შემდგომში - რჩეულის) ან საერთო კრების უფლებამოსილი პირის ხელმოწერას; დ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ე) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს, ვ) კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.

გარდაბანი, ქ. ქუთაისი

---

[19] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-5 ნაწილი

„პეტიცია უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; გ) პეტიციის წარდგენის თარიღს; დ) პეტიციის ამომრჩეველთა მიერ წარდგენის შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას; ე) პეტიციის წესით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენის შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო პეტიციის წესითმოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრიცი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპებისა და კონკრეტული წინადადებების წარდგენის შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს; ვ) პეტიციის სახით მუნიციპალიტეტის ანდა დასახლების საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შეესწავლის, განხილვის და გადაწყვეტის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში – კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.“

გორი, თიანეთი, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. რუსთავი

„პეტიცია უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; გ) პეტიციის წარდგენის თარიღს; დ) იმ შემთხვევაში, თუ პეტიციის წარმდგენი სუბიექტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიტრირებულ ამომრჩეველთა 0,5 %-ია – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას; ე) პეტიციის წესით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენის შემთხვევაში – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო პეტიციის წესით მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრიცი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპებისა და კონკრეტული წინადადებების წარდგენის შემთხვევაში – მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს; ვ) პეტიციის სახით მუნიციპალიტეტის ანდა დასახლების საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შეესწავლის, განხილვის და გადაწყვეტის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში – კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.“

დუშეთი

„პეტიცია უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა, სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; გ) პეტიციის წარდგენის თარიღს; დ) შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას (თუ პეტიცია წარდგენილია თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არა ნაკლებ 1%-ის მიერ); ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს ან მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს; ვ) იმ შემთხვევაში თუ წარდგენილია მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა - კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას. (94-ე მუხლის მე-6 პუნქტი)

საერთო კრების მიერ წარდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს; ბ) პეტიციის წარდგენის თარიღს; გ) დასახლების საერთო კრების რჩეულის (შემდგომში - რჩეულის) ან საერთო კრების უფლებამოსილი პირის ხელმოწერას; დ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ე) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ვ) კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“

თეთრიწყარო

„განცხადება შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, უნდა შეიცავდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი, უნდა იყოს მითითებული ნორმატიული აქტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის სავარაუდო დრო, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი.“

ლავოდეხი, საგარეჯო

„რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არა ნაკლებ 1%–ისგანცხადება შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს საინიციატივო ჯგუფის არა ნაკლებ 10 წევრი. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ' საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი, უნდა იყოს მითითებული ნორმატიული აქტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის სავარაუდო დრო, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა.“

მარნეული

„განცხადება შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს საინიციატივო ჯგუფის არანაკლებ 5 წევრი. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს „ნორმატიული აქტების შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი, უნდა იყოს მითითებული ნორმატიული აქტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის სავარაუდო დრო, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი.“

ქ. თელავი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის რეკვიზიტთა ჩამონათვალი;

ბოლნისი

საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია საინიციატივო ჯგუფის მიერ განმარტებითი ბარათის წარდგენის ვალდებულება.

ლავოდეხი, მარნეული, საგარეჯო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, პეტიციის რეკვიზიტთა ჩამონათვალი განისაზღვროს ორგანული კანონის შესაბამისად;

ბოლნისი

რეკომენდირებულია პეტიციის რეკვიზიტთა ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს განმარტებითი ბარათის წარდგენის ვალდებულება.

ლავოდეხი, მარნეული, საგარეჯო

2.3. პეტიციის წარდგენა საინიციატივო ჯგუფის მიერ

პეტიციის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი და ამომრჩეველთა სია

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

- მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის წარდგენაზე უფლებამოსილ პირთა წრე და ამომრჩეველთა სიის შედგენის წესი.

ბოლნისი

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.“

დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ქალაქი გორი

„თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არა ნაკლებ 10-კაციან ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციით ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ. საკრებულოს აპარატი განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის საკრებულოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცელებს. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 50-მა მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სახელი, გვარი, დაბადების წელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერის თარიღი. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს, თავისი მისამართის მითითებით ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროსა ან საკრებულოს აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერების შეგროვებისათვის საკრებულოს მიერ განკარგულებით დადგენილი ნიმუშის ფურცელებს თან უნდა დაერთოს ინიციატორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ახდენს წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის, განმარტებითი ბარათის და მხარდამჭერთა ბლანკის აკინძვას აწერს განცხადების რეგისტრაციის ნომერს, გაცემის თარიღს და ადასტურებს ხელმოწერით. პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია ხელმოწერების შეგროვებისათვის საკრებულოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცელების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არა ნაკლებ 1%–ის ხელმოწერები და ჩააბარონ საკრებულოს აპარატს. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ

პეტიციას და ინიციატორებთან თანდასწრებით შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის ნამდვილობას. ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც არ არის ხელმოწერილი ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის და არ არის დამოწმებული სანოტარო ბიუროს ან საკრებულოს აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ან რომელიც არის მოცილებული ინიცირებულ დადგენილების პროექტსა და განმარტებით ბარათს.”

საგარეჯო, ლაგოდეხი

„თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არანაკლებ 5 -კაციან ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციით ინიციირების პროცედურის დაწყების შესახებ. საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ განცხადებას და განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის პეტიციის მხარდამჭერთა სიის ბლანკებს. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ი ამომრჩევლის: ა) სახელი და გვარი; ბ) დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი); გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები; დ) რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით); ე) ხელმოწერის თარიღი; ვ) ხელმოწერა.

ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, აგრეთვე ბლანკის შევსების თარიღი და დადასტურებული უნდა იყოს ამ პირის ხელმოწერით.

პეტიციის მხარდამჭერთა ბლანკს თან უნდა დაერთოს ინიციატორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ახდენს წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის, განმარტებითი ბარათის და მხარდამჭერთა ბლანკის აკინძვას , ანერს განცხადების რეგისტრაციის ნომერს, გაცემის თარიღს და ადასტურებს ხელმოწერით. პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია მხარდამჭერთა ბლანკების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვო ს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1% -ის ხელმოწერები და ჩააბარო ს საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას და ინიციატორებთან თანდასწრებით , შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანაბარმიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტისა, იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება პეტიციის ინიციატორს და ეძლევა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად. პეტიციის ინიციატორთა მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიის შესწორებულ ნაწილს დანარჩენ სიასთან ერთად კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით. თუ იმავე წესით შემოწმებული მხარდამჭერთა ხელმოწერების დადგენილ რაოდენობაზე მეტი კვლავ გაბათილდა, მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის ინიციატორს უარი ეთქმება ინიცირებაზე.

მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ: ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი; ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი); გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები); დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას; ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია

სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა; ვ) ხელმომწერი არ არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი; 8) არასრულად ან არასწორად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) მოწმობისა და პირადი ნომრები.

ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ან რომელიც არის მოცილებული ინიციირებულ დადგენილების პროექტსა და განმარტებით ბარათს.“

ქ. თელავი

„მუნიციპალიტეტის არანაკლებ 5-კაციან ჯგუფს (5 ამომრჩეველს) უფლება აქვს, მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით პეტიციის ინიციირების პროცედურის დაწყების შესახებ. საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ განცხადებას და განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის პეტიციის მხარდამჭერთა სიის ბლანკებს. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩევლის: ა) სახელი და გვარი; ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი); გ) პირადი ნომერი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) მიხედვით; დ) რეგისტრაციის ადგილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით; ე) ხელმოწერის თარიღი; ვ) ხელმოწერა.

იმ შემთხვევაში, თუ პეტიციის წარდგენის ინიციატორია დასახლების საერთო კრება მაშინ პეტიციის ინიციირების შესახებ წინასწარი განცხადების წარდგენა არ არის საჭირო, ხოლო წარდგენილი პეტიცია დადასტურებულ უნდა იყოს საერთო კრების რჩეულის (ან მინდობილი პირის) და საერთო კრებაში მონაწილე არანაკლებ 100 ამომრჩევლის ხელმოწერით. ოქმი უნდა შეიცავდეს მასზე ხელმომწერი პირების შესახებ ამ მუხლის 25-ე პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ წარსადგენი ხელმოწერების შეგროვებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი (საინიციატივო ჯგუფის წევრი). ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის (საინიციატივო ჯგუფის წევრის) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით), ხელმოწერით დადასტურების თარიღი და ხელმოწერა, აგრეთვე საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ წარსადგენი პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია მხარდამჭერთა ბლანკების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვონ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის ხელმოწერები და ჩააბარონ საკრებულოს აპარატს, წინააღმდეგ შემთხვევაში პეტიციას არ გააჩანია იურიდიული ძალა და ივი არ ექვემდებარება შემდგომ განხილავს.

ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ წარსადგენი საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანამიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტისა, იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება პეტიციის ინიციატორს და ეძლევა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად. პეტიციის ინიციატორთა მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიის შესწორებულ ნაწილს დანარჩენ სიასთან ერთად კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით. თუ იმავე წესით შემოწმებული მხარდამჭერთა ხელმოწერების დადგენილ რაოდენობაზე მეტი კვლავ გაბათილდა, მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის ინიციატორს უარი ეთქმება ინიციირებაზე.

მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ: ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი; ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი); გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები); დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას; ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა; ვ) ხელმომწერი არ არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი; ზ) არასრულად ან არასწორად არის მითითებული პირადი ნომერი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით).

ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილი წესით, ან რომელიც არის საკრებულოს აპარატის ბეჭდით დამოწმებული.“

ქ. ბათუმი

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეივსოს საკრებულოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცლებზე და უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს , დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს , რეგისტრაციის ადგილს, ხელმოწერას და ხელმოწერის თარიღს . ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ამომრჩეველთა სიას, თავისი მისამართის მითითებით ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროსა ან საკრებულოს აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ . საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას და ინიციატორებთან თანდასწრებით შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე , რეგლამენტით დადგენილი წესით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის ნამდვილობას . ბათილია ყველა ხელმოწერა , რომელიც არ არის შესრულებული საკრებულოს მიერ დადგენილ ნიმუშის ფურცელზე, არ არის ხელმოწერილი ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ და არ არის დამოწმებული სანოტარო ბიუროს ან საკრებულოს აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ან რომელიც დაცილებულია პეტიციის ინიცირებულ ტექსტს“.

ქ. რუსთავი

„საკრებულოს აპარატი, საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დადგენილი ნიმუშის მიხედვით, პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს გადასცემს, მხარდამჭერთა სიის ბლანკებს, რომელიც უნდა შეიცავდეს მხარდამჭერის სახელს და გვარს, დაბადების თარიღს (რიცხვი, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერს, რეგისტრაციის ადგილს, ხელმოწერის თარიღს და ხელმოწერას;

საკრებულოს აპარატის მიერ გაცემულ თითოეულ ბლანკზე მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის (მომხსენებლის/მომხსენებლების) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, რეგისტრაციის ადგილი (პირადობის მოწმობის მიხედვით), ხელმოწერით დადასტურების თარიღი, ხელმოწერა და შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია;

საკრებულოს აპარატის მიერ გაცემული ბლანკი დამოწმებული უნდა იყოს აპარატის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. თითოეულ ბლანკზე შესაძლებელია არაუმეტეს, 50 ხელმოწერის განხორციელება;

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტი ვალდებულია საკრებულოს მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობისა და შესაბამისი ბლანკების გადაცემიდან 45 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლევლების დადგენილი ოდენობის ხელმოწერათა შეგროვება და საკრებულოსთვის წარდგენა;

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მიერ საკრებულოში შესაბამისი ოდენობის ხელმოწერათა წარდგენის შემდეგ, საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს პეტიციას და 7 დღის ვადაში, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, ამოწმებს წარდგენილი სიის 20%-ის ნამდვილობას;

ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ: ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი; ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი); გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები); დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამ კანონით განსაზღვრულ ამომრჩეველთა სიის შედგენის ვადას; ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა; ვ) ამომრჩეველთა სიაში შეყვანილია სხვა დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი; ზ) ხელმომწერი პირი წარდგენილი განცხადებით ადასტურებს, რომ ხელმოწერა შესრულებული იყო მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით; თ) არასრულად ან არასწორად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; ი) ხელმოწერა შესრულებულია იმ ფურცელზე, რომელიც არ შეესაბამება ამომრჩეველთა სიის დადგენილ და დამოწმებულ ფორმას.

თუ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა აღმოჩნდა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, ან შემოწმების შედეგად გაბათილებული ხელმოწერების გათვალისწინებით, ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა 10%-ზე ნაკლებია, ამომრჩეველთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება საინიციატივო ჯგუფს და ეძლევა 10 კალენდარული დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. ამომრჩეველთა სიის შესწორებულ ნაწილს კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით, 5 დღის ვადაში. თუ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა კვლავ დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, ამომრჩეველთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით უარი ეთქმება პეტიციის წარდგენის შესახებ განცხადების რეგისტრაციაზე.“

ქ. ქუთაისი, გარდაბანი, თეთრიწყარო

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ამ რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესით ამოწმებს ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის ნამდვილობას.“

გორი

„საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ განცხადებას და განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის საკრებულოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცლებს. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 50-მა მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სახელი, გვარი, დაბადების წელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერის თარიღი. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს, თავისი მისამართის მითითებით ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროსა ან საკრებულოს აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

ხელმოწერების შეგროვებისათვის საკრებულოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცლებს თან უნდა დაერთოს ინიციატორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ახდენს

წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის, განმარტებითი ბარათის და მხარდამჭერთა ბლანკის აკინძვას აწერს განცხადების რეგისტრაციის ნომერს, გაცემის თარიღს და ადასტურებს ხელმოწერით.

პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია ხელმოწერების შეგროვებისათვის საკრებულოს მიერ დადგენილი ნიმუშის ფურცლების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არა ნაკლებ 1%–ის ხელმოწერები და ჩააბარონ საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას და ინიციატორებთან თანდასწრებით შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის ნამდვილობას.

ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც არ არის ხელმოწერილი ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის და არ არის დამოწმებული სანოტარო ბიუროს ან საკრებულოს აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ან რომელიც არის მოცილებული ინიცირებულ დადგენილების პროექტსა და განმარტებით ბარათს.“

მარნეული

„თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არანაკლებ 5 -კაციან ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციით ინიციირების პროცედურის დაწყების შესახებ.

საკრებულოს აპარატი დაუყოვნებლივ რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ განცხადებას და განცხადების შემომტან პირს გადასცემს ხელმოწერების შეგროვებისათვის პეტიციის მხარდამჭერთა სიის ბლანკებს. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ი ამომრჩევლის: ა) სახელი და გვარი; ბ) დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი); გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები; დ) რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით); ე) ხელმოწერის თარიღი; ვ) ხელმოწერა. ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ავრეთვე ბლანკის შევსების თარიღი და დადასტურებული უნდა იყოს ამ პირის ხელმოწერით. პეტიციის მხარდამჭერთა ბლანკს თან უნდა დაერთოს ინიციატორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ახდენს წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის, განმარტებითი ბარათის და მხარდამჭერთა ბლანკის აკინძვას , აწერს განცხადების რეგისტრაციის ნომერს, გაცემის თარიღს და ადასტურებს ხელმოწერით. პეტიციის ინიციატორთა ჯგუფი ვალდებულია მხარდამჭერთა ბლანკების გაცემიდან 30 დღის ვადაში შეაგროვო ს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1% -ის ხელმოწერები და ჩააბარო ს საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას და ინიციატორებთან თანდასწრებით , შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანამიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტისა, იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი უბრუნდება პეტიციის ინიციატორს და ეძლევა 2 დღის ვადა ხარვეზების შესავსებად. პეტიციის ინიციატორთა მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიის შესწორებულ ნაწილს დანარჩენ სიასთან ერთად კვლავ ამოწმებს საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი ზემოაღნიშნული წესით. თუ იმავე წესით შემოწმებული მხარდამჭერთა ხელმოწერების დადგენილ რაოდენობაზე მეტი კვლავ

გაბათილდა, მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და პეტიციის ინიციატორს უარი ეთქმება ინიციირებაზე.

მხარდამჭერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ: ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი; ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი); გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები); დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას; ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა; ვ) ხელმომწერი არ არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი; ზ) არასრულად ან არასწორად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) მოწმობისა და პირადი ნომრები. ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ან რომელიც არის მოცილებული ინიციირებულ დადგენილების პროექტსა და განმარტებით ბარათს.“

ქ. თელავი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფში წევრთა მინიმალური ოდენობა და ამომრჩეველთა სიის შედგენის პროცედურები;

ბოლნისი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ქ. გორი

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არანაკლებ 10 კაციან ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციით ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ;

საგარეჯო, ლაგოდეხი

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არანაკლებ 5 კაციან ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით საკრებულოს დადგენილების პროექტის პეტიციით ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ;

ქ. თელავი

საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული ამომრჩეველთა სიის შედგენის პროცედურა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რეგლამენტი ითვალისწინებს მხოლოდ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბლანკის გამოყენების ვალდებულებას;

საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, გარდაბანი, ლაგოდეხი, თეთრიწყარო, გორი, მარნეული

საკრებულოს რეგლამენტი ითვალისწინებს ბლანკის სანოტარო წესით ან/და საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დამოწმებას.

საგარეჯო, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, გარდაბანი, ლაგოდეხი, თეთრიწყარო, გორი, მარნეული

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, განისაზღვროს პეტიციის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფში წევრთა მინიმალური ოდენობა და ამომრჩეველთა სიის შედგენის პროცედურები;

ბოლნისი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ქ. გორი

რეკომენდირებულია პეტიციის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფში წევრთა მინიმალური ოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 3 წევრით;

საგარეჯო, ლაგოდეხი, ქ. თელავი

რეკომენდირებულია რეგლამენტი ითვალისწინებდეს საკრებულოს მიერ ბლანკის ფორმის დამტკიცების ვალდებულებას მაგრამ საინიციატივო ჯგუფს არ უნდა გააჩნდეს ამ ბლანკის გამოყენების ვალდებულება. საინიციატივო ჯგუფს საშუალება უნდა ჰქონდეს კანონით და რეგლამენტით დადგენილი რეკვიზიტების დაცვით, თვითონ შეადგინოს აღნიშნული ბლანკი;

საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, გარდაბანი, ლაგოდეხი, თეთრიწყარო, გორი, მარნეული

რეგლამენტით არ უნდა განისაზღვროს ბლანკის სანოტარო წესით ან/და საკრებულოს აპარატის მიერ დამოწმების აუცილებლობა.

საგარეჯო, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, გარდაბანი, ლაგოდეხი, თეთრიწყარო, გორი, მარნეული

პეტიციის რეგისტრაციის წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში არაა რეგლამენტრებული პეტიციის რეგისტრაციის დეტალური პროცედურები, ამ საკითხთან დაკავშირებით ორგანული კანონი ადგენს რეგისტრაციაზე უფლებამოსილ ორგანოს - „პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.“[20]

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის რეგისტრაციის წესი.

ბოლნისი, მარნეული, გორი, ქ. თელავი

„პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი“

თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, მცხეთა, ქ. ბათუმი, ქ. გორი,

„პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და დადგენილი წესით ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერის კანონით დადგენილი რაოდენობის ნამდვილობას“.

დუშეთი

„პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადებას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.“

ლაგოდეხი, გარდაბანი

„საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილ პეტიციას.“

---

[20] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-7 ნაწილი

ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

■ ხარვეზები

მუნიციპალიტეტის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული პეტიციის რეგისტრაციის წესი.

ბოლნისი, გორი, მარნეული, ქ. თელავი,

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს პეტიციის რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანო.

ბოლნისი,გორი, მარნეული, ქ. თელავი

2.4. პეტიციის წარდგენა საერთო კრების მიერ

პეტიციით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.[21]

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის საერთო კრების მიერ წარდგენასთან დაკავშირებული საკითხები

ბოლნისი, გორი, მარნეული, ქ. თელავი

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი

თეთრიწყარო, მცხეთა, ქ. გორი

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები ან საერთო კრების უფლებამოსილი პირი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადებას თანდართულ მასალებთან ერთად წარადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოში.“

გარდაბანი

„საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.“

დუშეთი, თიანეთი, ქ. ბათუმი, ქ. რუსთავი

„თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არა ნაკლებ 10-კაციან ჯგუფს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს აპარატს განცხადებით საკრებულოს დადგენილების პროექტის

[21] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილი

პეტიციით ინიცირების პროცედურის დაწყების შესახებ, ხოლო საერთო კრების მიერ პეტიციის დროს - საერთო კრების რჩეულს ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილ პირს“

ლაგოდეხი

„საერთო კრების უფლებამოსილი პირი განსაზღვრულ საკითხებზე პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადებას თანდართულ მასალებთან ერთად წარადგენს საკრებულოში.“

ქ. ქუთაისი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით პეტიციის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის შესაბამიდად. პეტიციის წარდგენის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა განსაზვრულ რაოდენობას. კანონქვემდებარე აქტით არ არის დარეგულირებული საერთო კრების მიერ პეტიციის წარდგენასთან დაკავშირებული საკითხები;

ბოლნისი, გორი, მარნეული, ქ. თელავი

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი.

თეთრიწყარო, მცხეთა, ქ. გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით პეტიციის წარმდგენ სუბიექტთა წრის რეგლამენტაცია მოხდეს ორგანული კანონის შესაბამისად და განისაზღვროს პეტიციის საერთო კრების მიერ წარდგენის დროს, პეტიციით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი;

ბოლნისი, გორი, მარნეული, ქ. თელავი

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგალმენტით განისაზღვროს პეტიციის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი. შესაძლებელია, შესაბამისი ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად : *„საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.“*

თეთრიწყარო, მცხეთა, ქ. გორი

2.5. პეტიციის საკითხები და მათი განხილვის წესი

პეტიციის სახით წარსადგენი საკითხები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს: ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი; ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი

პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები; გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.[22]

■ მუნიციპალური აქტები

„პეტიციის წესით შეიძლება წარდგენილ იქნას წინადადებები და ნორმატიული აქტის პროექტები.“

ბოლნისი

საკრებულოს რეგლამენტით პეტიციის სახით წარსადგენ საკითხთა ჩამონათვალი განსაზღვრულია ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრულია ორგანული კანონის შესაბამისად.

გარდაბანი , გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, ქ. ბათუმი

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, პეტიციის სახით შესაძლებელია საკრებულოს დადგენილების პროექტის წარდგენა.

მარნეული, ქ. თელავი, ქ. გორი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

■ ხარვეზები

პეტიციის სახით წარსადგენი საკითხები არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის შესაბამისად.

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, პეტიციის სახით წარსადგენ საკითხთა ჩამონათვალი განისაზღვროს ორგანული კანონის შესაბამისად, ან გაკეთდეს მითითება ორგანული კანონის 86-ე მუხლის მე-5 ნაწილზე.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განსახილველად მომზადების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.[23]

■ მუნიციპალური აქტები

„პეტიციის წესით დაყენებულ საკითხებს საკრებულო სხდომაზე განიხილავს შემოტანიდან ერთი თვის ვადაში, თუ პეტიციით საკითხის განხილვის უფრო გვიანი ვადა არა არის მითითებული.“

ბოლნისი

პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

---

[22] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-5 ნაწილი

[23] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესისის 86-ე მუხლის მე-10 ნაწილი

გარდაბანი, გორი, თეთრიწყარო, მცხეთა, ქ. გორი, ქ. ქუთაისი

„პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“

დუშეთი, თიანეთი

„საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.“

ლაგოდეხი, მარნეული

„პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, მისი დადგენილი წესით წარდგენიდან 1 თვის ვადაში.“

ქ. ბათუმი

„პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“

ქ. რუსთავი

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განსახილველად მომზადების წესი არ არის განსაზღვრული.

ქ. თელავი

■ ხარვეზები

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განსახილველად მომზადების წესი არ არის განსაზღვრული;

ქ. თელავი

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამსართლევრივი აქტის განსახილველად მომზადების წესი არასრულია, მითითებულია მხოლოდ პროექტის განხილვის ვადა.

ლაგოდეხი, მარნეული, ბოლნისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დეტალურად განისაზღვროს პეტიციით წარდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განსახილველად მომზადების წესი, ან გაკეთდეს მითითება საკრებულოს მიერ განსახილველი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის მომზადების წესის მარეგულირებელ ნორმებზე.

ქ. თელავი, ლაგოდეხი, მარნეული , ბოლნისი

მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების განსახილველად მომზადების წესი; მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების განსახილველად მომზადების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.[24]

■ მუნიციპალური აქტები

„პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, პეტიცია შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს“

გარდაბანი

აღნიშნული წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის შესაბამისად.

გორი , დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, მცხეთა, ქ. ბათუმი , ქ. გორი, ქ. რუსთავი , ქ. ქუთაისი, სავარეჯო

საკრებულოს წესით აღნიშნული წესი არ არის განსაზღვრული.

ბოლნისი, მარნეული, ქ. თელავი,

■ ხარვეზები

მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების განსახილველად მომზადების წესი მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული.

ბოლნისი, მარნეული, ქ. თელავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპების ან კოკრეტული წინადადებების განსახილველად მომზადების წესი მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამეტით განისაზრვროს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაძლებელია, საკრებულოს რეგლამენტმა გაიმეოროს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისი ნორმა, ან გაკეთდეს მითითება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-11 ნაწილზე.

ბოლნისი, მარნეული, ქ. თელავი

---

[24] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-11 ნაწილი

2.6. პეტიციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

პეტიციით წარდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

პეტიციის წესით წარდგენილ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

■ მუნიციპალური აქტები

„პეტიციის წესით დაყენებულ საკითხებს საკრებულო სხდომაზე განიხილავს შემოტანიდან ერთი თვის ვადაში, თუ პეტიციით საკითხის განხილვის უფრო გვიანი ვადა არა არის მითითებული.

წინადადების ან ნორმატიული აქტის პროექტის საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს გამოყოს მომხსენებელი, რომელიც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს საკრებულოსა და შესაბამისი კომისიის სხდომებზე ამ საკითხის განხილვაში.“

ბოლნისი

„პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილები მიღებისათვის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“

გარდაბანი, გორი, თეთრიწყარო, მცხეთა, ქ. გორი

„პეტიციის წესით წარდგენილ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“

დუშეთი, თიანეთი

„საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.“

ლაგოდეხი

საკრებულოს რეგლამენტით აღნიშნული წესი არ არის გასაზღვრული.

მარნეული

„პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, მისი დადგენილი წესით წარდგენიდან 1 თვის ვადაში.“

ქ. ბათუმი

„საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შემოტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით , მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.“

ქ. თელავი

პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

ქ. რუსთავი

„ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებულ პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“

ქ. ქუთაისი

საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

საგარეჯო

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციით წარდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.

საგარეჯო, ლაგოდეხი , მარნეული

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, განისაზღვროს პეტიციის წესით წარდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული წესი, ან მიეთითოს საკრებულოს მიერ ნორმატიული აქტის მიღებისთვის არსებულ წესზე.

საგარეჯო, ლაგოდეხი, მარნეული

პეტიციით წარდგენილი, მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე, საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

პეტიცია მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის

შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას. (მე-11 ნაწილი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას განსაზღვრული წესით მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

ბ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით აღნიშნული წესი არ არის განსაზღვრული.

ბოლნისი, მარნეული, ქალაქი თელავი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) პეტიციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე; ბ) პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე; გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე; დ) პეტიციის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გაგზავნის თაობაზე. მსგავს შემთხვევაში, საკრებულოს კომისია ან სამუშაო ჯგუფი საკითხს გაიტანს ბიუროს სხდომაზე და მუნიციპალიტეტის გამგებელს პეტიცია ეგზავნება საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით. მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის პეტიციის გაგზავნის შემთხვევაში, საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის გამგებელს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა. პეტიციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს. პეტიციის ინიციატორებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომების გამართვის თარიღი, დრო და მდებარეობა 1 კვირით ადრე მაინც უნდა ეცნობოთ. პეტიციის განხილვა „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 1 თვის ვადაში, საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელსაც საკრებულო განიხილავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით. „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. საკრებულო

პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში. „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რასაც იგი ცნობად იღებს ან არ ეთანხმება შესაბამისი კომისიის/სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას. განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ, უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გავრძელდეს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

გარდაბანი

საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს საკითხს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:˙ ა) გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;˙ ბ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. გამგებელი ვალდებულია განიხილოს საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს. საკრებულო ასევე უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის გამგებელს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა. პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში. პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. გადაწყვეტილება მიღებიდან 15 დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის ინფორმაციას ცნობად იღებს ან არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის ან სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს სხვა, შესაბამის გადაწყვეტილებას. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გავრძელდეს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია,

მუნიციპალიტეტის გამგებელს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

გორი, თეთრიწყარო, მცხეთა, ქალაქი გორი

პეტიცია, მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე, საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას განსაზღვრული წესით მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე; ბ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს. მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

დუშეთი, თიანეთი

საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს საკითხსდა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე; გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. გამგებელი ვალდებულია განიხილოს საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს. საკრებულო ასევე უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის გამგებელს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

ლაგოდეხი, საგარეჯო

საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს საკითხს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე; გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს საკითხს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) პეტიციის შესაბამისად საკრებულოს დადგენილების პროექტის

მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე; ბ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში რეგლამენტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

ქალაქი ბათუმი, ქალაქი რუსთავი

საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს საკითხს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე; ბ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის პეტიციის გაგზავნის შემთხვევაში, საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა. პეტიციის შესაბამისად, საკრებულოს ნორმატიული სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე გადაწყვებილების მიღების შემთხვევაში, 1 თვის ვადაში, საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელსაც საკრებულო განიხილავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით. პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რასაც ივი ცნობად იღებს ან არ ეთანხმება შესაბამისი კომისიის/სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს საკრებულოს ბიუროს მიერ, უფლებამოსილების შესაბამისად, გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ აცნობოს საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს. საკრებულოს/საკრებულოს კომისიის /სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

ქუთაისი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით აღნიშნული წესი არ არის განსაზღვრული;

ბოლნისი, ქალაქი თელავი, მარნეული

საკრებულოს რეგლამენტში სრულად არ არის ასახული ორგანული კანონის დებულებები.

საგარეჯო, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, განისაზღვროს პეტიციით წარდგენილი მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი;

ბოლნისი, ქალაქი თელავი, მარნეული

რეკომენდირებულია, რეგლამენტში სრულად იქნეს ასახული ორგანული კანონის დებულებები.

საგარეჯო, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი

გადაწყვეტილების საჯაროობა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს. თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენული, პეტიციის განხილვის შედეგეის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მომსახურეებმა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოს - შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს-შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

■ მუნიციპალური აქტები

გადაწყვეტილების საჯაროობის წესი საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული.

ბოლნისი, მარნეული, ქალაქი თელავი

პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის განხილვასთან დაკავშირებულ განცხადების წარმდგენ სუბიექტს, თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენილი, პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მოსამსახურეებმა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოდ – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

გარდაბანი , გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

■ ხარვეზები

გადაწყვეტილების საჯაროობის წესი საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული;

ბოლნისი, მარნეული, ქალაქი თელავი

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული პეტიციის განხილვის შედეგების გამოქვეყნების წესი;

გარდაბანი , გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

პეტიციის საერთო კრების მიერ წარდგენის შემთხვევაში, განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია საერთო კრებას წარედგინება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

გარდაბანი , გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით დეტალურად განისაზღვროს გადაწყვეტილების საჯაროობის უზრუნველყოფის პროცედურა;

ბოლნისი, მარნელი, ქალაქი თელავი გარდაბანი , გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

რეკომენდირებულია, პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია საერთო კრებას წარედგინოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

გარდაბანი , გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო – გამგებლის/მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ანალიზი

3.1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო – ზოგადი დებულებები

საბჭოს ცნება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ცნებას განმარტავს შემდეგნაირად - „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.“

■ მუნიციპალური აქტები

„საბჭო წარმოადგენს მერის სათათბირო ორგანოს. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავების და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.“

ბათუმი, ქუთაისი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.“

დუშეთი

„საბჭო არის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.“

ლაგოდეხი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად. საბჭო უშუალოდ ექვემდებარება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს.“

ქალაქი რუსთავი

„საბჭო არის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით“

ქალაქი გორი

„მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანო -სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება გამგებლის ბრძანებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86[1]-ე მუხლის შესაბამისად.“

თეთრიწყარო, თიანეთი

■ ხარვეზები

ცნება შეიცავს სიტყვებს - „მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის“, ცნებაში არაა დაკონკრეტებული მუნიციპალიტეტი.

ლაგოდეხი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განსაზღვრული საბჭოს ცნებიდან ამოღებულ იქნას „მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის” და ცნებაში დაკონკრეტდეს მუნიციპალიტეტის სახელწოდება. შესაძლებელია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ცნება განიმარტოს შემდეგნაირად:

„საბჭო არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.“

ლაგოდეხი

საბჭოსთან მიმართებით მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებები და ვალდებულებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. გამგებლის/მერის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.

■ მუნიციპალური აქტები

„მერი ვალდებულია საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.“

ბათუმი , ქუთაისი

გამგებლის/მერის ბრძანებით არ არის განსაზღვრული საბჭოსთან მიმართებით მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებები და ვალდებულებები .

თეთრიწყარო, თიანეთი, დუშეთი, რუსთავი,

„მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია: ა) საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის წარდგენამდე; ბ) საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები; გ) საბჭოსთან ერთად განიხილოს სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები; დ) საბჭოსთან ერთად განიხილოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები ე)წელიწადში ერთხელ საქმიანობის სრული ანგარიშით წარსდგეს საბჭოს წინაშე.“

ლაგოდეხი, ქ. გორი

3.2.საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს წევრთა რაოდენობა

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

- მუნიციპალური აქტები

საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან.

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, დუშეთი, ქალაქი ქუთაისი

„საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან. წევრთა რაოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.“

ლაგოდეხი

„საბჭოს მრჩეველთა საბჭო შედგება საბჭოს თავჯდომარისა და 15 წევრისგან“.

რუსთავი

„საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.“

ქალაქი გორი

- ხარვეზები

დებულებაში მეორდება ორგანული კანონის ჩანაწერი - „საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან“ - და არ არის განსაზღვრული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთა კონკრეტული რაოდენობა;

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

დებულებაში არ არის განსაზღვრული მეწარმე იურიდიული პირების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლების პროპორცია.

ბათუმი, დუშეთი, ლავოდეხი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, რუსთავი, ქალაქი გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით კონკრეტულად განისაზღვროს საბჭოს წევრთა რაოდენობა.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენელთა პროპორცია

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, ქალაქი გორი, ქუთაისი, ლავოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიწყარო

საბჭოს დაკომპლექტების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი განსაზღვრავს საბჭოს დაკომპლექტების ზოგად წესს, შემოიფარგლება მხოლოდ საბჭოს გენდერული ლეგიტიმაციის საკითხის დადგენით - „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.“

■ მუნიციპალური აქტები

საბჭოს დაკომპლექტების წესი ზოგადია, ბრძანებაში გადმოტანილია ორგანული კანონის ნორმა.

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, ქ. ქუთაისი

„საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.“

ლავოდეხი

„საბჭოს წევრთა, მათ შორის საბჭოს თავჯდომარის შერჩევას უზრუნველყოფს და საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს დუშეთის გამგებელი. საბჭოს წევრთა ნაწილი შეირჩევა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წაყენებული კანდიდატურებიდან. შერჩევის მიზნით გამგებელი უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მართავს კონსულტაციებს დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობასთან, კონსულტაციების შედეგად, ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის მიერ წამოყენებული კანდიდატურებიდან გამგებელი შეარჩევს როგორც წესი საბჭოს ერთ წევრს თითოეული ადმინისტრაციული ერთეულიდან ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა გამგებლის მიერ მიღებულ იქნეს სხვაგვარი გადაწყვეტილება, ამასთან, საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის თუ დარღვეულია ეს მოთხოვნა. გამგებელი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს რეკომენდაციით შეამციროს ან გაზარდოს საბჭოს წევრთა რაოდენობა, ასევე შეცვალოს საბჭოს შემადგენლობა.“

დუშეთი

„საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“

რუსთავი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან. წევრთა რაოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს (არანაკლებ 5 კაცის შემადგენლობით); ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს და არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს.“

ქალაქი გორი

■ ხარვეზები

საბჭოს დაკომპლექტების წესი ზოგადია, დებულება იმეორებს ორგანული კანონის ნორმას;

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, ქალაქი. ქუთაისი, ქალაქი გორი

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

ლაგოდეხი, რუსთავი, დუშეთი,

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საბჭოს წევრების შერჩევა მოხდეს კონკურსის წესით და დებულებით დეტალურად განისაზღვროს კონკურსის პროცედურა.

თეთრიწყარო, თიანეთი, ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი გორი, ლაგოდეხი, რუსთავი, დუშეთი

3.3.საბჭოს უფლებამოსილება

საბჭოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალი.

■ მუნიციპალური აქტები

„საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდეგ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს მერს. საბჭო უფლებამოსილია მერს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა: ა) იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განსახილველად გადაეცა საბჭოს; ბ) საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში და რომლის განხილვაც მიზანშეწონილად ჩათვალა საბჭომ.“

ბათუმი

„საბჭო უფლებამოსილია: ა) მისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, მოამზადოს, განიხილოს და წარუდგინოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს წინადადებები შესაბამის თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ ; ბ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ორგანოებიდან მიიღოს თავისი მუშაობისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები; გ) გამოხატოს დამოუკიდებელი პოზიცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალეობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის განხორციელების მიმართ; დ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვებისა და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში; ე) უზრუნველყოს სისტემატური ურთიერთობანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან.“

თეთრიწყარო, თიანეთი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია: ა) წინასწარ განიხილოს მუნიციპალიტეტის გამგებლის სამუშაო გეგმა და პროექტები, გამოთქვას მოსაზრებები და შეიმუშავოს რეკომენდაციები განხილულ პროექტებთან დაკავშირებით; ბ) მოითხოვოს საბჭოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი სხდომის ჩატარება სპეციალური დღის წესრიგით; გ) მოამზადოს, განიხილოს და მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტის არსებული პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ; დ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები; ე) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში; ვ) მოისმინოს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ანგარიშები; ზ) განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.“

ლაგოდეხი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების მიზნით საბჭო განიხილავს შემდეგ საკითხებს: ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს; ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს; გ) წინადადებებს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ; დ) სხვადასხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებივი აქტების პროექტებს; ე) ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს. გამგებელი უფლებამოსილია საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც უკავშირდება მუნიციპალიტეტის საკუთარი თუ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში წარმოშობილ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით განსახორციელებელ პროექტებს და ა.შ.“

დუშეთი

„საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება: 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა; 2. მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტაციის განხილვა; 3. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების წარდგენა; 4. სხვადასხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, პროექტების, ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურული ღონისძიებების განხილვა; 4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის კომპეტენციას მიკუთვნებული ცალკეულ საკითხთა შესწავლა და მერისათვის შესაბამისი წინადადებების და მოსაზრებების წარმოდგენა.“

ქალაქი რუსთავი

„საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდეგ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს მერს. საბჭო უფლებამოსილია მერს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა: ა) იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განსახილველად გადაეცა საბჭოს; ბ) საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში და რომლის განხილვაც მიზანშეწონილად ჩათვალა საბჭომ.“

ქალაქი ქუთაისი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია: ა) წინასწარ განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის სამუშაო გეგმა და პროექტები, გამოთქვას მოსაზრებები და შეიმუშავოს რეკომენდაციები განხილულ პროექტებთან დაკავშირებით; ბ) მოითხოვოს საბჭოსა და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი სხდომის ჩატარება სპეციალური დღის წესრიგით; გ) მოამზადოს, განიხილოს და მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტის არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ; დ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები; ე) მონაწილეობა

მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვებისა და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში; ვ) მოისმინოს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ანგარიშები; ზ) განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.“

ქალაქი გორი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს წევრთა უფლებამოსილება შეიმუშავონ ცალკეული ინიციატივები და განსახორციელებლად წარუდგინონ გამგებელს/მერს;

ბათუმი, დუშეთი

საბჭოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალი არასრულია.

ქალაქი ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საბჭოს უფლებამოსილებებში დაფქსირდეს საბჭოს წევრთა შესაძლებლობა, რომ გამგებლის წარდგინების გარეშეც მოამზადონ ცალკეული რეკომენდაციები და წინადადებები.

საბჭოს უფლებამოსილების ვადა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს უფლებამოსილების ვადა.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს უფლებამოსილების ვადა.

ბათუმი, დუშეთი, რუსთავი, ქუთაისი, თეთრიწყარო, თიანეთი

„საბჭო იქმნება მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადით.“

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს უფლებამოსილების ვადა.

ბათუმი, დუშეთი, რუსთავი, ქუთაისი, თეთრიწყარო, თიანეთი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს უფლებამოსილების ვადა არაუმეტეს გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადისა.

ბათუმი, დუშეთი, რუსთავი, ქუთაისი, თეთრიწყარო, თიანეთი

3.4.საბჭოს სხდომის მოწვევა

საბჭოს სხდომის მოწვევის ინიციატორები

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის მოწვევის ინიციატორ პირთა წრე.

- მუნიციპალური აქტები

„საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავჯდომარის მიერ.“

ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

„საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართავს თავჯდომარე. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს თავჯდომარის, წევრთა 1/3-ს.“

თეთრიწყარო, თიანეთი

„საბჭოს სხდომის მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ: მუნიციპალიტეტის გამგებელს საკუთარი ინიციატივით; საბჭოს თავჯდომარეს; საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3.“

ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის მოწვევის ინიციატორ პირთა წრე.

ქალაქი რუსთავი

- ხარვეზები

დებულების თანახმად, საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავმჯდომარის მიერ, არ არის რეგლამენტირებული საბჭოს წევრთა განსაზღვრული რაოდენობის მიერ სხდომის ინიცირების შესაძლებლობა;

ბათუმი, ქუთაისი

არ არის განსაზღვრული, საბჭოს სხდომის მოწვევაზე უფლებამოსილი პირები.

ქალაქი რუსთავი

- რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, სხდომის ინიცირების უფლება მიენიჭოს საბჭოს წევრთა განსაზღვრულ რაოდენობას, საბჭოს თავჯდომარეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს.

ქალაქი რუსთავი, ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

საბჭოს სხდომის მოწვევის პროცედურა

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ განსაზღვრავს საბჭოს სხდომის მოწვევის პროცედურას.

- მუნიციპალური აქტები

„საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავჯდომარის მიერ საბჭოს წევრის შესაბამისი ინფორმირების მეშვეობით.“

ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის მოწვევის პროცედურა.

თეთრიწყარო, თიანეთი

„საბჭოს პირველ სხდომას დაკომპლექტებიდან 3 დღის ვადაში იწვევს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი. რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში, ინიციატივა რეგისტრირდება გამგეობის/მერიის კანცელარიაში და სხდომა იმართება რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში.“

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

- ხარვეზები

დებულებაში არ არის რეგლამენტირებული, საბჭოს სხდომის მოწვევის დეტალური პროცედურა;

ბათუმი, ლაგოდეხი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი გორი

დებულებით არ არის განსაზღვრული სხდომის მოწვევის პროცედურა.

დუშეთი, რუსთავი, თეთრიწყარო, თიანეთი

- რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს სხდომის მოწვევის დეტალური პროცედურა;

ქალაქი ბათუმი, ლაგოდეხი, ქალაქი ქუთაისი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი, თეთრიწყარო, თიანეთი, ქალაქი გორი

საბჭოს სხდომის დღის წესრიგი

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი არ არეგულირებს საბჭოს სდომის დღის წესრიგთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

- მუნიციპალური აქტები

„საბჭოს მდივანი თავჯდომარის დავალებით ადგენს დღის წესრიგს და მას წინასწარ აწვდის საბჭოს წევრებს.”

ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

„საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს საბჭოს თავჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით.“

თეთრიწყარო, თიანეთი

დებულებით არ არის განსაზღვრული დღის წესრიგის არსებობისა და საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შესაბამისად გამართვის ვალდებულება.

ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი გორი

- ხარვეზები

საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს, არა სხდომის ინიციატორი, არამედ,საბჭოს თავჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივანი;

ქალაქი ბათუმი

საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს, არა სხდომის ინიციატორი, არამედ საბჭოს თავჯდომარე წევრების წინადადებების გათვალისწინებით.

თეთრიწყარო, თიანეთი

არ არის განსაზღვრული დღის წესრიგის არსებობისა და საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შესაბამისად გამართვის ვალდებულება.

ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს დღის წესრიგის არსებობისა და საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შესაბამისად გამართვის ვალდებულება, ამასთან, დღის წესრიგის შედგენის ვალდებულება დაეკისროს საბჭოს სხდომის ინიციატორს.

ქალაქი ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი გორი

საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრულლი საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი.

ბათუმი, ქუთაისი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო.

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი.

ბათუმი, ქუთაისი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო.

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი, შესაძლებელია ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, სხდომის თარიღის, ადგილისა და დროის მითითებით.
2. საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია საბჭოს დღის წესრიგთან ერთად ქვეყნდება სხდომის გამართვამდე 1 კვირით ადრე.

საბჭოს სხდომის მოწვევის პერიოდულობა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

■ მუნიციპალური აქტები

„საბჭო იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.“

ბათუმი, ქუთაისი

„საბჭო მოიწვევა არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც.“

თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი

„საბჭოს სხდომა იმართება თვეში ერთხელ.“

ქალაქი გორი

■ ხარვეზები

საბჭოს სხდომის მოწვევის პერიოდულობა ვერ უზრუნველყოფს საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებას და მისი ვალდებულებების სრულად შესრულებას.

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი,
ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი,
ქალაქი ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საბჭოს სხდომა გაიმართოს საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა არანაკლებ თვეში ერთხელ მაინც.

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი,
ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი რუსთავი,
ქალაქი ქუთაისი

საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერის წესი.

■ მუნიციპალური აქტები

„მერი საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართითა და სამუშაო მასალებით. კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში მერი ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო

ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში. საბჭოს კონკრეტული საქმიანობა და ინიციატივა ასევე შესაძლებელია დაფინანსებულ იქნას კერძო პირების მიერ.“

ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

„საბჭოს სხდომების საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე სამუშაო შეხვედრების ჩატარებას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა.“

თეთრიწყარო, თიანეთი

„საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახური.“

ლაგოდეხი

„საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას, საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას და გამოქვეყნებას უზრუნველყოფს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.“

დუშეთი

დებულებით არ არის განსაზღვრული შესაბამისი წესი.

ქალაქი რუსთავი

„საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახური.“

ქალაქი გორი

■ ხარვეზები

დებულება განსაზღვრავს მხოლოდ საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფის ვალდებულებას გამგებლის/მერის მიერ;

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი

დებულებით არ არის განსაზღვრული შესაბამი წესი.

რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს მერის/გამგებლის მიერ საბჭოს, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე საინფორმაციო მხარდაჭერით უზრუნველყოფის ვალდებულება.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, თიანეთი,
თეთრიწყარო, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი,
ქალაქი რუსთავი

საბჭოს საქმიანობის წესი

საბჭოს წევრის უფლებები და ვალდებულებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, რაიონის გამგებლის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის გამგებელი.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები.

ბათუმი, ქუთაისი

„საბჭოს წევრი უფლებამოსილია: ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში, უშუალოდ ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინოს თავისი წინადადება და რეკომენდაციები საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე; ბ) შეუფერხებლად შეხვდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე; გ) საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პირადი პოზიცია საბჭოს სხდომის ოქმში შეტანით და საჯაროდ.“

თეთრიწყარო, თიანეთი

„საბჭოს წევრი უფლებამოსილია: ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, მოახდინოს საკითხების ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა; ბ) შევიდეს და გადადგილდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში, ამ ორგანოს მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად; გ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის გამგეობის და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების სხდომებში. მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა; დ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ე) საბჭოს და მუნიციპალიტეტის გამგებელს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები; ვ) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.“

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

„საბჭოს წევრი უფლებამოსილია: 1. მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, ჩაერთოს საბჭოს წინაშე დასმული საკითხის განხილვის პროცესში, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები და გააკეთოს განმარტებები, წარმოადგინოს წინადადებები და რეკომენდაციები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრს უფლება აქვს გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცის საბჭოს უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე; 2. საბჭოს წევრი უფლებამოსილია საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე წერილობით მიმართოს გამგებელს.“

დუშეთი

„საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად, ინდივიდუარულად განიხილონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები და მათ მიერ მიღებული რეკომენდაციები/წინადადებები წარადგინონ საბჭოს სხდომაზე.“

რუსთავი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები;

ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

დებულებით განსაზღვრული საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალი ზოგადია.

რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს წევრთა უფლებამოსილებების დეტალური ჩამონათვალი.

ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი

საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული პირების დასწრების ორგანიზება და მათი უფლებამოსილებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი არ განსაზღვრავს საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების ორგანიზების წესსა და მათ უფლებამოსილებებს.

■ მუნიციპალური აქტები

დებულება არ განსაზღვრავს საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების ორგანიზების წესსა და მათ უფლებამოსილებებს.

ბათუმი, ქუთაისი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ ხარვეზები

გამგებლის/მერის ბრძანებით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების ორგანიზების წესი და მათი უფლებამოსილებები.

ბათუმი, ქუთაისი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების ორგანიზების პროცედურა და მათი უფლებამოსილებები.

ბათუმი, ქუთაისი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

საბჭოს სხდომის წარმართვაზე უფლებამოსილი პირები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის წარმართვაზე უფლებამოსილ პირთა წრე.

■ მუნიციპალური აქტები

„საბჭოს თავჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანებს და უფლება-ვალდებულებების შესრულებას, საბჭოს თავჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.“

ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქუთაისი

„საბჭოს სხდომას წარმართავს თავჯდომარე.“

თეთრიწყარო, თიანეთი

„სხდომას წარმართავს საბჭოს თავჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მისი დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“

ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომის წარმართვაზე უფლებამოსილ პირთა წრე.

რუსთავი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის წარმართვაზე უფლებამოსილ პირთა წრე.

რუსთავი

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზრვროს საბჭსო სხდომის წარმართვაზე უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალი.

რუსთავი

საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციის წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციის წესი.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციის წესი.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ ხარვეზები

დებულება არ არეგულირებს საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა რეგისტრაციის წესი.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მიერ აზრის გამოთქმის ორგანიზება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მიერ აზრის გამოთქმის ორგანიზების საკითხები.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მიერ აზრის გამოთქმის ორგანიზების საკითხები.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მიერ აზრის გამოთქმის ორგანიზების საკითხები.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით მოხდეს საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირების სხდომის მუშაობაში ჩართულობის რეგლამენტაცია.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომზე კენჭისყრის წესი.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის წესი.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო,

ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის წესი.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი,

დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის წესი და ფორმა.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო,

ლაგოდეხი, დუშეთი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

საბჭოს სხდომის ლეგიტიმაციის გენდერული ასპექტები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

■ მუნიციპაური აქტები

დებულებით საბჭოს სხდომის ლეგიტიმაციის გენდერული ასპექტები განსაზღვრულია ორგანული კანონის შესაბამისად.

ბათუმი, ქუთაისი, ქალაქი გორი, ლაგოდეხი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო

დებულებით არ არ არის განსაზღვრული საბჭოს სხდომის ლეგიტიმაციის გენდერული ასპექტები.

რუსთავი

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს სხდომის ლეგიტიმციის გენდერული ასპექტები.

რუსთავი

საბჭოს გადაწყვეტილების სტატუსი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების სტატუსი.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების სტატუსი.

ბათუმი, ქუთაისი, თეთრიწყარო, თიანეთი, დუშეთი, რუსთავი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შემუშავებული წინადადებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არ აქვს.“

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილების სტატუსი.

ბათუმი, ქუთაისი, თეთრიწყარო, თიანეთი, დუშეთი, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს გადაწყვეტილების სტატუსი.

ბათუმი, ქუთაისი, თეთრიწყარო, თიანეთი, დუშეთი, რუსთავი

საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესი.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო,
ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი,
დუშეთი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს გადაწყვეტილების პროაქტიულად გამოქვეყნების წესი ან მიეთითოს დებულებებზე, რომელიც არეგულირებს მუნიციპალიტეტში ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას.

ბათუმი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო,
ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი,
დუშეთი

საბჭოს გადაწყვეტილების ოფიციალურად მიწოდების პროცედურები მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერისთვის

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერისთვის მიწოდების პროცედურები.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერისთვის მიწოდების პროცედურები.

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, დუშეთი,
ქუთაისი,ქალაქი გორი,

„საბჭოს მიერ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მერს. იმ წევრებს რომლებსაც ექნებათ განსხვავებული მოსაზრებები შემუშავებულ მოსაზრებებთან ან/და რეკომენდაციებთან დაკავშირებით უფლება აქვთ მერს წარუდგინონ ალტერნატიული მოსაზრებები ან/და რეკომენდაციები.“

რუსთავი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერისთვის მიწოდების პროცედურები;

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, დუშეთი, ქუთაისი,ქალაქი გორი

დებულებით განსაზღვრული წესი ზოგადია და საჭიროებს დაკონკრეტებას.

რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, განისაზღვროს საბჭოს გადაწყვეტილების გამგებლისთვის/მერისათვის მიწოდების დეტალური წესი.

ბათუმი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, დუშეთი, ქუთაისი,ქალაქი გორი, რუსთავი

საბჭოს გადაწყვეტილებაზე მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის რეაგირების პროცედურები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილებაზე გამგებლის/მერის რეაგირების პროცედურები.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს გადაწყვეტილებაზე გამგებლის/მერის რეაგირების პროცედურები.

ბათუმი, ქუთაისი, ქალაქი გორი, დუშეთი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, რუსთავი

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილებაზე გამგებლის/მერის რეაგირების პროცედურები.

ბათუმი, ქუთაისი, ქალაქი გორი, დუშეთი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს მერის მიერ საბჭოს გადაწყვეტილებაზე რეაგირების ფორმა.

ბათუმი, ქუთაისი, ქალაქი გორი, დუშეთი, ლაგოდეხი, თიანეთი, თეთრიწყარო, რუსთავი

3.5.საბჭოს თავჯდომარე

საბჭოს თავჯდომარის სტატუსი

- ადგილობრივი თვითმმართველლობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის სტატუსი.

- მუნიციპაური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის სტატუსი.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქუთაისი

„საბჭოს თავჯდომარე უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენას.“

ქალაქი გორი

„საბჭოს თავჯდომარე: ა) წარმართავს საბჭოს საქმიანობას; ბ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს; გ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.“

თეთრიწყარო, თიანეთი

- ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის სტატუსი.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქუთაისი

- რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს თავჯდომარის სტატუსი.

ბათუმი,დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი , ქუთაისი

საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა.

- მუნიციპალური აქტები

საბჭოს თავჯდომარეს ნიშნავს გამგებელი/მერი.

ბათუმი, დუშეთი, ქუთაისი

„საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით ირჩევს საბჭო თავჯდომარეს.“

ლაგოდეხი

„საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, ირჩევს საბჭოს თავჯდომარეს.“

ქალაქი გორი

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა.

რუსთავი, თეთრიწყარო, თიანეთი

■ ხარვეზები

საბჭოს თავჯდომარეს ნიშნავს გამგებელი/მერი;

ბათუმი, დუშეთი, ქუთაისი

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა.

რუსთავი, თეთრიწყარო, თიანეთი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებული,ა საბჭოს თავჯდომარე აირჩეოდეს საბჭოს წევრების მიერ, ხოლო დებულებით განისაზღვროს საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურის წარდგენისა და არჩევის პროცედურა.

ბათუმი, დუშეთი, ქუთაისი, რუსთავი

საბჭოს თავჯდომარის არჩევის პროცედურა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის არჩევის პროცედურა.

■ მუნიციპალური აქტები

საბჭოს თავჯდომარეს ნიშნავს გამგებელი/მერი.

ბათუმი, დუშეთი, ქუთაისი

საბჭოს თავჯდომარე აირჩევა ღია კენჭისყრით.

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის არჩევის პროცედურა.

რუსთავი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

საბჭოს თავჯდომარეს ნიშნავს გამგებელი/მერი;

ბათუმი, დუშეთი, ქუთაისი

დებულებით განსაზღვრულია საბჭოს თავჯდომარის არჩევის კენჭისყრის ფორმა, თუმცა არაა განსაზღვრული არჩევის დეტალური პროცედურა;

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

დებულებით არ არის განსაზბრული საბჭოს თავჯდომარის არჩევის პროცედურა.

რუსთავი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საბჭოს თავჯდომარე აირჩეოდეს საბჭოს წევრების მიერ, ხოლო დებულებით განისაზღვროს საბჭოს თავჯდომარის კანდიდატურის წარდგენისა და არჩევის პროცედურა.

ბათუმი, დუშეთი, ქუთაისი, ლაგოდეხი, ქალაქი გორი, რუსთავი, თიანეთი, თეთრიწყარო

საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების ვადა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზრვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

დუშეთი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიეყარო

საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 2 წელს.

ბათუმი, ქუათაისი, ლაგოდეხი,

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

დუშეთი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების კონკრეტული ვადა.

დუშეთი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიწყარო

საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილებები.

■ მუნიციპალური აქტები

„საბჭოს თავჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლება-ვალდებულებების შესრულებას.“

ბათუმი

„საბჭოს თავჯდომარე ხსნის, უძღვება და დახურულად აცხადებს საბჭოს სხდომებს, ადგენს დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას, სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს, უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებათა გამგებლისათვის წარდგენას და ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. საბჭოს თავჯდომარე სარგებლობს საბჭოს წევრის ყველა უფლებამოსილებით.“

დუშეთი

„საბჭოს თავჯდომარე უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის წარდგენას და ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“

ლაგოდეხი

დებულებით არ არის განსაზრვრული საბჭოს უფლებამოსილებები.

რუსთავი

„საბჭოს თავჯდომარე უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენას და ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“

ქალაქი გორი

„საბჭოს თავჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნელყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლება-ვალდებულებების შესრულებას.“

ქუთაისი

„საბჭოს თავჯდომარე: ა) წარმართავს საბჭოს საქმიანობას; ბ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს; გ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.“

თეთრიწყარო, თიანეთი

■ ხარვეზები

საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილებათა ჩამონათვალი ზოგადია;

ბათუმი

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილებები.

რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულები დეტალურად განისაზღვროს საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილებები.

საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის გასაზღვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებთ არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.

ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი

„საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, მისივე სურვილით ან

გამგებლის ინიციატივით, ასევე ისეთი ხდომილების დადგომს შედეგად, რომელიც გამორიცხავს საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების განხორციელებას. ''

დუშეთი

„საბჭოს თავჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება თუ: ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; ბ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; გ) აღარ არის რეგისტრირებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; დ) მიმართა საბჭოს გადადგომის განცხადებით; ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა; ვ) სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ზ) გარდაიცვალა.“

ლაგოდეხი

„საბჭოს თავჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება თუ: ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; ბ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; გ) მიმართა საბჭოს გადადგომის განცხადებით; დ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა; ე) სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა; ვ) გარდაიცვალა.“

ქალაქი გორი

„საბჭოს უფლება აქვს მიმართოს გამგებელს დასაბუთებული რეკომენდაციით საბჭოდან წევრის გაყვანის ან საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის შეყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას ასეთი რეკომენდაციის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ იღებს გამგებელი. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება: ა) პირადი განცხადებით; ბ) საბჭოს წარდგინებით (საბჭოს წევრის მიერ დებულების დარღვევის შემთხვევაში). გ) გამგებლის გადაწყვეტილებით (ბრძანებით).“

თიანეთი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

დებულებით არ არის განსაზღვრული საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები;

ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი

გამგებელს/მერს საკუთაირი ინიციატივით, უფლება აქვს უფლებამოსილება შეუწყვიტოს საბჭოს თავჯდომარეს.

დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი; რეკომენდირებულია გამგებელს/მერს არ მიენიჭოს საბჭოს თავჯდომარის უფლებამოსილების ერთპიროვნულად შეწყვეტის უფლებამოსილება.

ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, დუშეთი , თიანეთი, თეთრიწყარო

3.6.საბჭოს მდივანი

საბჭოს მდივნის სტატუსი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საბჭოს მდივნის სტატუსი არ არის განსაზღვრული.

■ მუნიციპალური აქტები

„საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმების შედგენას და აღრიცხვას. მდივანი ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომებს და სხვა საქმიანობას.“

ბათუმი, ქუთაისი

დებულებით საბჭოს მდივნის სტატუსი არ არის განსაზრვრული.

დუშეთი, რუსთავი

„საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სხდომის ორგანიზებას, სხდომის ოქმის შედგენას და გაფორმებას. ასრულებს სხვა ორგანიზაციულ ფუნქციებს.“

ლაგოდეხი, ქალაქი გორი

„საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების მოსამზადებელ და საოქმო წარმოებას.“

თიანეთი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

დებულებით საბჭოს მდივნის სტატუსი არ არის განსაზრვრული.

დუშეთი, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს მდივნის სტატუსი.

დუშეთი, რუსთავი

საბჭოს მდივნის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საბჭოს მდივნის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა არ არის განსაზღვრული.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით საბჭოს მდივნის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

დებულებით საბჭოს მდივნის კანდიდატურის წარდგენის პროცედურა არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს მდივნის სტატუსი.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

საბჭოს მდივნის დანიშვნის პროცედურა

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საბჭოს მდივნის დანიშვნის პროცედურა არ არის განსაზღვრული.

- მუნიციპალური აქტები

„მდივნის ფუნქციას საბჭოს ერთ-ერთ წევრს აკისრებს საბჭო.“

ბათუმი, ქუთაისი

დებულებით საბჭოს მდივნის დანიშვნის პროცედურა არ არის განსაზრვრული.

დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიწყარო

- ხარვეზები

მდივანს ნიშნავს არა გამგებელი/მერი თავისი ბრძანებით, არამედ მდივნის ფუნქციას საბჭოს ერთ-ერთ წევრს აკისრებს საბჭო.

ბათუმი, ქუთაისი

დებულებით საბჭოს მდივნის დანიშვნის პროცედურა არ არის განსაზღვრული.

დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიწყარო

- რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს მდივნის დანიშვნის პროცედურა და ის დანიშნოს გამგებელმა/მერმა საკუთარი ბრძანებით.

დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, თიანეთი, თეთრიწყარო, ბათუმი, ქუთაისი

საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადა

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადა არ არის განსაზღვრული.

- მუნიციპალური აქტები

დებულებით საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადა არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი,თეთრიწყარო

- ხარვეზები

დებულებით საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადა არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი,თეთრიწყარო

- რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადა.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი,თეთრიწყარო

საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები არ არის განსაზღვრული.

■ მუნიციპალური აქტები

საბჭოს სხდომის ორგანიზება; სხდომის ოქმის შედგენა და გაფორმება; სხვა საქმიანობა.

ბათუმი , ქუთაისი

დებულებით საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები არ არის განსაზღვრული.

დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი

საბჭოს სხდომის ორგანიზება; სხდომის ოქმის შედგენა და გაფორმება; სხვა ორგანიზაციული ფუნქციები.

ქალაქი გორი

საბჭოს სხდომების მოსამზადებელი და საოქმო წარმოების განხორციელება; სხდომის დამთავრების შემდეგ სხდომის ოქმის საჯაროდ განდობა დამსწრე წევრთათვის.

თიანეთი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

დებულებით საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები არ არის განსაზღვრული.

დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს მდივნის უფლებამოსილებები.

დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი

საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები არ არის განსაზღვრული.

■ მუნიციპალური აქტები

დებულებით საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

დებულებით საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, დებულებით განისაზღვროს საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი.

ბათუმი, დუშეთი, ლაგოდეხი, რუსთავი, ქალაქი გორი, ქუთაისი, თიანეთი, თეთრიწყარო

4. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა – მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ანალიზი

4.1 დაინტერესებულ პირთა ჩართულობა საკრებულოს წევრის (მათ შროის საკრებულოს თანამდებობის პირის) საქმიანობაში

მოქალაქეთა მიღების წესი

■ **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი**

ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს.[25]

■ მუნიციპალური აქტები

„საკრებულოს წევრი ვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, სამ თვეში ერთხელ მაინც მოაწყოს შეხვედრები თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან. საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრა შეიძლება გაიმართოს წინასწარ შედგენილი დღის წესრიგით ან მის გარეშე. საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკრებულოს დარბაზი, სხვა შენობა ან შეხვედრა ჩატარდეს ღია ცის ქვეშ. საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დღე, ადგილი, საათები, აგრეთვე დღის წესრიგი (მისი არსებობის შემთხვევაში) რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს წევრი. ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის ვიზიტების შემდეგ ინახება საკრებულოს აპარატში.“

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი

„საკრებულოს თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად კვირაში ერთხელ მაინც მოაწყონ მოქალაქეთა მიღება. საკრებულოს წევრი ვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად თვეში ერთხელ მაინც მოაწყოს ამომრჩევლების მიღება. ამომრჩევლების

[25] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

მიღების მიზნით საკრებულოს წევრს გამოეყოფა ოთახი საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში (მაჟორიტარული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის გამგეობის რწმუნებულის ადმინისტრაციულ შენობაში). საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკი, დღე, ადგილი და საათები ამ რეგლამენტის 134-ე მუხლით დადგენილი წესით ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც. მოქალაქეთა მიღების გრაფიკში აღინიშნება საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ მოქალაქეთა მიღების დღე, მიღების საათები (არა ნაკლებ 6 საათი), შესვენების დრო, მიღების ადგილი, თითოეული მოქალაქესთვის გამოყოფილი დროის რეგლამენტი (არა ნაკლებ 10 წუთი). საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ მოქალაქეთა მიღებას, აღრიცხავს და მოქალაქეთა მიღების ოქმს ადგენს საკრებულოს აპარატის თანამშრომელი. მოქალაქეთა მიღების ოქმში აღირიცხება მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხები. მიღების საათების დამთავრების შემდეგ, საკრებულოს წევრი (საკრებულოს თანამდებობის პირი) ეცნობა და ხელს აწერს მოქალაქეთა მიღების ოქმს. მოქალაქეთა მიღების ოქმი ინახება საკრებულოს აპარატში.“

მცხეთა

„საკრებულოს თანამდებობის პირები და საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან თვეში ერთხელ მაინც მოაწყონ მოქალაქეთა მიღება. მოქალაქეთა მიღების მიზნით საკრებულოს წევრს გამოეყოფა ოთახი საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში (მაჟორიტარული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით მერიის რწმუნებულის ადმინისტრაციულ შენობაში). საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკი, დღე, ადგილი და საათები ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც. მოქალაქეთა მიღების გრაფიკში აღინიშნება საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ მოქალაქეთა მიღების დღე, მიღების საათები (არა ნაკლებ 6 საათი), შესვენების დრო, მიღების ადგილი, თითოეული მოქალაქისთვის გამოყოფილი დროის რეგლამენტი (არა ნაკლებ 10 წუთი). საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ მოქალაქეთა მიღებას აღრიცხავს და მოქალაქეთა მიღების ოქმს ადგენს საკრებულოს აპარატის თანამშრომელი. მოქალაქეთა მიღების ოქმში აღირიცხება მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხები. მიღების საათების დამთავრების შემდეგ საკრებულოს წევრი (საკრებულოს თანამდებობის პირი) ეცნობა და ხელს აწერს მოქალაქეთა მიღების ოქმს. მოქალაქეთა მიღების ოქმი ინახება საკრებულოს აპარატში.“

ბათუმი

■ ხარვეზები

საკრებულოს წევრი ვალდებულია, საკრებულოს თავჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, მხოლოდ სამ თვეში ერთხელ შეხვდეს თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობას

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, თვეში ერთხელ მაინც შეხვდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

საკრებულოს წევრის (საკრებულოს თანამდებობის პირის) ვალდებულებები დაინტერესებულ პირებთან შეხვედრისას

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს.

■ მუნიციპალური აქტები

საპილოტე მუნიციპალიტეტთა უმრავლესობის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია მხოლოდ საკრებულოს წევრის ვალდებულება, მოაწყოს შეხვედრები თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან, საკრებულოს თავჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტი განსაზღვრავს მხოლოდ შეხვედრის ვალდებულებას. კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული საკრებულოს წევრთა ვალდებულებების დეტალური ჩამონათვალი დაინტერესებულ პირებთან შეხვედრისას.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით დეტალურად განისაზღვროს საკრებულოს წევრთა ვალდებულებების ჩამონათვალი დაინტერესებულ პირებთან შეხვედრისას.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

დაინტერესებული პირების უფლებები საკრებულოს წევრთან (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირთან) შეხვედრისას

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

არ არის განსაზღვრული.

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს მუნიციპალიტეტის რეგლამენტით არ არის განსაზღვრული დაინტერესებული პირების უფლებები საკრებულოს წევრთან (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირთან) შეხვედრისას.

ბათუმი, ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ ხარვეზები

შესაბამის კანონქვემდებარე აქტში არ არის რეგლამენტირებული დაინტერესებულ პირთა უფლებების ჩამონათვალი საკრებულოს წევრთან (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირთან) შეხვედრისას.

ბათუმი, ბოლნისი, გრდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს დაინტერესებულ პირთა უფლებაბი საკრებულოს წევრთან (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირთან) შეხვედრისას.

ბათუმი, ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

საკრებულოს წევრის (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ დაინტერესებულ პირთა ინიციატივებზე რეაგირების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით საკრებულოს წევრის (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ დაინტერესებულ პირთა ინიციატივებზე რეაგირების წესი არ არის განსაზღვრული.

■ მუნიციპალური აქტები

მუნიციპალური აქტებით საკრებულოს წევრის (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ დაინტერესებულ პირთა ინიციატივაზე რეაგირების წესი არ არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, ბოლნისი, გრდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ ხარვეზები

მუნიციპალური აქტებით საკრებულოს წევრის (მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ დაინტერესებულ პირთა ინიციატივაზე რეაგირების წესი არ არის განსაზღვრული.

ბათუმი, ბოლნისი, გრდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, შესაბამისი მუნიციპალური აქტით განისაზღვროს დაინტერესებულ პირთა ინიციატივებზე რეაგირების წესი.

ბათუმი, ბოლნისი, გრდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

4.2. დაინტერესებული პირის მონაწილეობა საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებში

სხდომის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი (თარიღი, დრო, ადგილი, დღის წესრიგი და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების პროექტები)

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონი არ განსაზღვრავს სხდომის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესს.

■ მუნიციპალური აქტები

„საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს ცნობა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ - შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.“

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

მუნიციპალური აქტებით სხდომის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი არ არის განსაზღვრული.

ბათუმი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტი ითვალისწინებს სხდომის შესახებ ინფორმაციის მხოლოდ პროაქტიულ გამოქვეყნებას, რაც ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა დიდი ნაწილის ინფორმირებას, მათ მიერ ელექტრონული რესურსების გამოუყენებლობის გამო;

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი არ არის განსაზღვრული.

ბათუმი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. *ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ - შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.*
2. *ინფორმაცია ქვეყნდება ელექტრონული ფორმით - მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ელექტრონულ რესურსებზე და ბეჭდური ფორმით - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საჯარო თავშეყრის ადგილებში.*
3. *ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებსა და ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, ხოლო ინფორმაციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში გავრცელებაზე პასუხისმგებელია საკრებულოს წევრი, მისი სამოქმედო ტერიტორიის გათვალისწინებით.*

სხდომაზე დაინტერესებული პირის მიერ აზრის გამოთქმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს.

■ მუნიციპალური აქტები

„ნებისმიერ პირს უფლება აქვს საკრებულოს აპარატს მიაწოდოს თავის წინადადებები თუ შენიშვნები საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ცნობაში მითითებულ მოსაზრებების წარდგენის ვადაში.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციებს, იურიდიულ პირებს და მოქალაქეთა ჯგუფებს უფლება აქვთ საკრებულოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოყონ მომხსენებელი, რის შესახებაც უნდა აცნობონ საკრებულოს აპარატს, საკრებულოს მორიგი სხდომის გახსნამდე 2 დღით ადრე მაინც. საკრებულოს აპარატი ახდენს შემოსული წერილების სისტემატიზაციას, წინადადებების ინიციატორებთან შეთანხმებით ახდენს ერთგვაროვან წინადადებათა გაერთიანებას და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩევლის, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირებისა და მოქალაქეთა ჯგუფების მიერ წარმოდგენილ საკრებულოს სხდომაზე გამომსვლელთა სიას.

კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვისას წინადადებების შემოტანის უფლება აქვთ, როგორც კომისიის წევრებს, ასევე კომისიის სხდომაზე მოწვეულ და დამსწრე პირებს; კომისიის სხდომის თავმჯდომარის ნებართვით .“

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი,
მარნეული, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი,

საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე პირს წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით უფლება აქვს რეგლამენტით დადგენილი სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობის დაცვით დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება, ინფორმაცია ან მიმართვა. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელს უფლება აქვს გამოვიდეს მომხსენებლად ან თანამომხსენებლად; აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხის განხილვის დებატებში. ამ უფლების გამოსაყენებლად თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი,

საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელი ვალდებულია სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც წერილობით მიმართოს საკრებულოს აპარატს.

მცხეთა, ქ. ბათუმი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული დაინტერესებული პირის სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობა და სიტყვით გამოსვლის წესი;

ბათუმი, ბათუმი, ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია აზრის გამოთქმის კონკრეტული ფორმა და დამატებითი წინაპირობები.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს დაინტერესებული პირების მიერ სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, საკრებულოს,საკრებულოს კომისიისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე. შესაძლებელია ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. *საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე პირს წინასწარი ნებართვის გარეშე უფლება აქვს საკრებულოს თავჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობის დაცვით დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება, ინფორმაცია ან მიმართვა, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს.*
2. *სხდომაზე დამსწრე ნებისმიერ პირს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს, საკრებულოს კომისის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხის განხილვის დებატებში.*
3. *თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელს უფლება აქვს გამოვიდეს მომხსენებლად ან თანამომხსენებლად. ამ უფლების გამოსაყენებლად თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელი ვალდებულია სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც წერილობით მიმართოს საკრებულოს აპარატს. აღნიშნული ვალდებულება არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სხდომის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესის დარღვევით, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებილია სხდომამდე გონივრული ვადით ადრე წერილობით მიმართოს საკრებულოს აპარატს.*

დაინტერესებული პირის გამოთქმული მოსაზრებების /წინადადებების/ ინიციატივების ასახვისა და მათზე რეაგირების მექანიზმი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არ არის რეგლამენტირებული დაინტერესებული პირის გამოთქმული მოსაზრებების/ წინადადებების/ ინიციატივების ასახვისა და მათზე რეაგირების წესი.

■ მუნიციპალური აქტები

საკრებულოს რეგლამენტით არ არის განსაზღვრული დაინტერესებული პირის გამოთქმული მოსაზრებების/წინადადებების/ინიციატივების ასახვისა და მათზე რეაგირების მექანიზმი.

ბათუმი, ბოლნისი, გორი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგალმენტით არ არის რეგლამენტირებული დაინტერესებული პირის გამოთქმული მოსაზრებების/წინადადებების/ინიციატივების ასახვისა და მათზე რეაგირების წესი.

ბათუმი, ბოლნისი, გორი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს დაინტერესებული პირის გამოთქმული მოსაზრებების/წინადადებების/ინიციატივების ასახვისა და მათზე რეაგირების წესი.

ბათუმი, ბოლნისი, გორი, გარდაბანი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ.გორი, ქ.თელავი, რუსთავი, ქუთაისი

5. საჯარო ანგარიშის წარდგენა

5.1. ანგარიშვალდებული პირები და მათი ვალდებულებები

საჯარო ანგარიშის წარდგენაზე ვალდებული პირების ჩამონათვალი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საჯარო ანგარიშის წარდგენაზე ვალდებულ პირებად განსაზღვრას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს და გამგებელს/მერს.[26]

■ მუნიციპალური აქტები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება გამგებლის/მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ საჯარო ანგარიშის წარდგენაზე ვალდებულ პირებად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს წევრებს.

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქ. თელავი,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ აქვს დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც განსაზღვრავდა გამგებლის/მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის

[26] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

წარდგენის წესს, თუმცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საჯარო ანგარიშის წარდგენაზე ვალდებული პირია საკრებულოს წევრი.

გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ. გორი, ქ. ქუთაისი

საკრებულოს რეგლამენტით საჯარო ანგარიშის წარდგენაზე ვალდებულ პირად განსაზღვრულია საკრებულოს წევრი, მერიის მიერ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება განსაზღვრულია ცალკე კანონქვემდებარე აქტით - „მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის წესი.“

ქ. ბათუმი

■ ხარვეზები

კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრულია მხოლოდ საკრებულოს წევრის მიერ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება/წესი; არ არსებობს კანონქვემდებარე აქტი, რომელიც განსაზღვრავს მერის/გამგებლის მიერ საჯარო ანგარიშის წარდგენის წესს;

გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ.გორი, ქუთაისი

საჯარო ანგარიშის წარდგენის ვალდებულება აქვს გამგებელს/მერს და საკრებულოს წევრებს, თუმცა გამგებლის/მერისა და საკრებულოს წევრის მიერ საჯარო ანგარიშის წარდგენის წესი რეგლამენტირებულია სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებში.

ბათუმი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის მიერ საჯარო ანგარიშის წარდგენის წესი განისაზღვროს ერთი კანონქვემდებარე აქტით. რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღოს დადგენილება- „გამგებლის/მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ.“

ბათუმი, გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ. გორი, ქ. ქუთაისი

5.2. საჯარო ანგარიშის წარდგენის ორგანიზება

საჯარო ანგარიშის დადგენილი ფორმა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ განსაზღვრავს საჯარო ანგარიშის რეკვიზიტებს და მისი დადგენილი ფორმით წარდგენის აუცილებლობას.

■ მუნიციპალური აქტები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ აქვს მიღებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც განსაზღვრავს საჯარო ანგარიშის ფორმას.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, მცხეთა, ქ. ბათუმი, ქ.გორი, ქ. თელავი, ქ.რუსთავი, ქ.ქუთაისი

ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე აქტით.[27]

საგარეჯო, ლაგოდეხი

■ ხარვეზები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ აქვს მიღებული კანონქვემდებარე აქტი, რომელიც განსაზღვრავს საჯარო ანგარიშის წარდგენის ფორმას.

ბათუმი, ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, ქ.გორი, ქ. თელავი, ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცოს საჯარო ანგარიშის ფორმა.

ბათუმი, ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, მცხეთა, რუსთავი, ქ.გორი, ქ. თელავი, ქუთაისი

საჯარო ანგარიშის მოსმენის გამართვის წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.[28]

■ მუნიციპალური აქტები

იმ მუნიციპალიტეტებში სადაც არაა დამტკიცებული შესაბამისი წესი საკრებულოს რეგლამენტით შემდეგნაირადაა განსაზღვრული საკრებულოს წევრის მიერ საჯარო მოსმენის გამართვის წესი:

„საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომის დარბაზში (მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიში შესაძლებელია მოსმენილი იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულის საჯარო დაწესებულების დარბაზში). საკრებულოს

---

[27] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის დადგენილება N 41 „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 სექტემბრის დადგენილება N 41 „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“

[28] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები

წევრის ანგარიშს ესწრება საკრებულოს თავმჯდომარე და/ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ავრეთვე საკრებულოს იმ ფრაქციის თავმჯდომარე, რომელ ფრაქციასაც წარმოადგენს საკრებულოს წევრი. საკრებულოს ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და ინახება საკრებულოს აპარატში. საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტი, ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათი რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და ინახება საკრებულოს აპარატში.“

გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ. გორი,

იმ მუნიციპალიტეტებში სადაც დამტკიცებული შესაბამისი კანონქმედებარე აქტი საკრებულოს წევრის მირ საჯარო მოსმენის გამართვის წესი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

„მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა, მოაწყოს საჯარო შეხვედრები და წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ შესაბამისი მაჟორიტარული ოლქის ამომრჩეველს. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული საკრებულოს წევრი უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრები მოაწყოს და წარუდგინოს მათ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ნებისმიერ დროს, შეუზღუდავი რაოდენობით, არანაკლებ კანონით გათვალისწინებული ოდენობისა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა, მოაწყოს საჯარო შეხვედრები და წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ გარდაბნის მუნიციპალიტეტის რომელიმე დასახლებულ პუნქტის ამომრჩეველს, საკუთარი შეხედულებისამებრ. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, არჩეული საკრებულოს წევრი უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრები მოაწყოს და წარუდგინოს მას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ნებისმიერ დროს, შეუზღუდავი რაოდენობით, არანაკლებ კანონით გათვალისწინებული ოდენობისა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამომჩეველთან საჯარო შეხვედების ტექნიკურ ორგანიზებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მუნიციპალიტეტი გამგეობის შესაბამისი სამსახურების დახმარებით. მუნიციპალიტეტის გამგებლის საჯარო შეხვედრების ტექნიკურ ორგანიზებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურები. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების ამომრჩეველთან შეხვედრისას დგება ამომრჩეველთან შეხვედრის ოქმი. ოქმში მითითებული უნდა იქნეს ამომრჩეველთან შეხვედრის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოკლე მიმოხილვა და, საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია. ოქმის შედგენა შესაძლებელია აუდიო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებით.“

ბოლნისი, გარდაბანი, მცხეთა,

„საჯარო შეხვედრების მოწყობის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ან გამოცხადდეს საჯაროდ. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის წარდგენისას სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. სხდომის მიმდინარეობისას ფორმდება სხდომის ოქმი. საჯარო შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო ადგილას. სხდომის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ან გამგეობა.“

დუშეთი

„მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის შესახებ ცნობა გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, 7 დღით ადრე მაინც. საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, რასაც ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.“

ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი

„საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრა შეიძლება გაიმართოს წინასწარ შედგენილი დღის წესრიგით ან მის გარეშე. საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებთან შეხვედრის მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საკრებულოს დარბაზი, სხვა შენობა ან შეხვედრა ჩატარდეს ღია ცის ქვეშ. საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებთან შეხვედრის დღე, ადგილი, საათები, აგრეთვე დღის წესრიგი (მისი არსებობის შემთხვევაში) ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს წევრი. ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის ვიზირების შემდეგ ინახება საკრებულოს აპარატში.

საჯარო შეხვედრების მოწყობისა და მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მომზადების მიზ-ნით მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია იწყებს მუშაობას და ამზადებს ანგარიშს ყოველი წლის სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია ვალდებულია მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურიდან და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირებიდან არაუგვიანეს ყოველი წლის 15 სექტემბრისა გამოითხოვოს ინფორმაცია განხორციელებული, მიმდინარე და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ანგარიშის სახით.

მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა სამსახურების და იურიდიული პირებიდან გამოთხოვილი ანგარიშების სისტემატიზაციისა და ანალიზის საფუძველზე მოამზადოს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი (განსახორციელებელი) ღონისძიებების შესახებ და წარუდგინოს მერს განსახილველად. მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია მერიის შენიშვნების გათვალისწინებით არაუგვინეს ყოველი წლის 5 ოქტომბრისა ამზადებს ანგარიშის საბოლოო სახეს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გეგმავს საჯარო შეხვედრების გრაფიკს (არაუგ-ვიანეს 1 ნოემბრისა) და უზრუნველყოფს საჯარო შეხვედრების შესახებ ინფრმაციის შემუშავებას, გამოქვეყნებასა და ხელმისაწვდომობას. საჯარო შეხვედრის მოწყობის ორგანიზაციულ მხარეს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია, ხოლო საჯარო შეხვედრებს წარმართავს მუნიციპალიტეტის მერი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი. საჯარო შეხვედრებს ესწრებიან მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახურის და იურიდიული პირების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე საჭიროებისას სხვა თანამშრომლები, რომლებიც ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის დროს ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, რასაც მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.“

ქ. ბათუმი

საჯარო ანგარიშის მოსმენის გამართვის წესი კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული.

ქ. ქუთაისი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია საკრებულოს წევრის მიერ საჯარო მოსმენის გამართვის წესი, ანალოგიური წესი არ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის გამგებელთან/მერთან მიმართებით;

გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ.გორი

მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული საჯარო ანგარიშის მოსმენის გამართვის წესი.

ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, განისაზღვროს გამგებლის/მერის მიერ საჯარო ანგარიშის მოსმენის გამართვის წესი;

გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ.გორი

რეკომენდირებულია, განისაზღვროს გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის მიერ საჯარო ანგარიშის მოსმენის გამართვის წესი.

ქუთაისი

საჯარო ანგარიშის გამოქვეყნების წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები აგრეთვე ვალდებული არიან, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.[29]

■ მუნიციპალური აქტები

მუნიციპალიტეტის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული ანგარიშის გამოქვეყნების წესი, თუმცა საკრებულოს წევრის ანგარიშის გამოქვეყნების წესი განსაზღვრულია საკრებულოს რეგლამენტით.

ბოლნისი, გარდაბანი

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება.“

გორი

„მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.“

დუშეთი

„საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს საკრებულოს თავჯდომარის და საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტი, ანგარიშის წარდგენის დღადგილი და საათი-ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც; გამგებლის, გამგეობის სამსახურის უფროსების და

[29] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85^1-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი

გამგეობის ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელების წლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ - წადგენიდან 5 დღის ვადაში.“

თეთრიწყარო, მარნეული

„საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის დღეს, ადგილს და საათს – ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში.“

თიანეთი

„მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, კანონით დადგენილ ვადაში.“

ლაგოდეხი, საგარეჯო

„მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ, კანონით დადგენილ ვადაში. საკრებულოს წევრის მიერ წარდგენილი ანგარიში ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ, კანონით დადგენილ ვადაში.“

მცხეთა

„საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტი, ანგარიშის წარდგენის დღე, ადგილი და საათიამ რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც.“

რუსთავი

„მუნიციპალიტეტის მერის წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.“

ბათუმი

„მუნიციპალიტეტის მერის წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. „

ქ. გორი

„მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.“

ქ. თელავი

„საკრებულოს წევრის ანგარიში ქვეყნდება ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.“

ქუთაისი

■ ხარვეზები

საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია საკრებულოს წევრის მიერ საჯარო მოსმენის გამართვის წესი, ანალოგიური წესი არ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის გამგებლთან/მერთან მიმართებაში;

გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, მარნეული, რუსთავი, ქ.გორი,

წესი არ არის განსაზღვრული, არც საკრებულოს წევრზე და არც მერზე.

5.3.საჯარო ანგარიშის განხილვაზე დამსწრე პირები

ანგარიშის განხილვაზე დასწრების უფლებამოსილების მქონე პირები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.[30]

■ მუნიციპალური აქტები

საპილოტე მუნიციპალიტეტთა კანონქვემდებარე აქტებით საჯარო ანგარიშის განხილვაზე უფლებამოსილების მქონე პირთა წრე განსაზღვრულია შემდეგნაირად:

საჯარო ანგარიშის განხილვაზე შეუზღუდავად დასწრების უფლება აქვს :

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს.*

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. ქუთაისი

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობას

რუსთავი

■ ხარვეზები

ნორმა იძლევა შესაძლებლობას საჯარო ანგარიშის განხილვაზე დასწრება შეეზღუდოთ არაამომრჩეველ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც არ არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

■ რეკომენდაცია

[30] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილი

რეკომენდირებულია, საჯარო ანგარიშის განხილვაზე დასწრების უფლებამოსილების მქონე პირთა განმსაზღვრელი ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის საჯარო ანგარიშის განხილვაზე შეუზღუდავად დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.“*

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

დამსწრე პირების უფლებამოსილებები

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ განსაზღვრავს დამსწრე პირების უფლებამოსილებებს.

■ მუნიციპალური აქტები

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს ანგარიშების განხილვას, დასვას შეკითხვა, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.“

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, მცხეთა

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს წევრების საჯარო ანგარიშების განხილვას. საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.“

დუშეთი, ქ. თელავი

„ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომაში მონაწილე ამომრჩევლებს ეძლევათ საშუალება გამოთქვან თავის შენიშვნები და წინადადებები და შეაფასონ საკრებულოს წევრის საქმიანობა.“

თეთრიწყარო , თიანეთი, მარნეული,

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს გამართულ საჯარო ანგარიშების განხილვას. საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.“

ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. გორი, ქ. ქუთაისი

„საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს გამართულ საჯარო ანგარიშების განხილვას.“

„მერის ანგარიშის მოსმენა- საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები“

ბათუმი

დამსწრე პირთა უფლებამოსილებები კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული

რუსთავი

■ ხარვეზები

მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს აქვს უფლება ანგარიშის წარდგენის შემდეგ დასვას შეკითხვა, გამოთქვას შენიშვნა და წინადადება.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, ანგარიშის წარდგენის შემდეგ შეკითხვის დასმის, შენიშვნისა და წინადადების გამოთქმის უფლებამოსილება მიენიჭოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და დებულებით განისაზღვროს კონკრეტული რეგლამენტაცია.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი. ქ. ქუთაისი

6. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – კანონქვემდებარე აქტების ანალიზი

6.1. ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები

ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა ჩამონათვალი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა ჩამონათვალი.

■ მუნიციპალური აქტები

ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხიმგებელი პირი განსაზღვრულია გამგებლის/მერის და საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებით.

ბოლნისი, გორი, დუშეთი, ქალაქი თელავი, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, ქალაქი რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი ბათუმი

ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა ჩამონათვალი არ არის განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტებით.

გარდაბანი, თეთრიწყარო

■ ხარვეზები

არ არის განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები საკრებულოს თავჯდომარის და გამგებლის/მერის შესაბამისი ბრძანებით.

გარდაბანი, თეთრიწყარო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის და გამგებლის/მერის ბრძანებით განისაზღვროს ინფორმაციის გამოქვეყნებაზე და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთა ჩამონათვალი.

გარდაბანი, თეთრიწყარო

ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის უფლებამოსილების გამიჯვნა ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესში

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის გამიჯნული უფლებამოსილებები ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პაუსიხმგებელ პირთა შორის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესში.

■ მუნიციპალური აქტები

კანონქვემდებარე აქტით არ არის გამიჯნული უფლებამოსილებები ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესში.

ბოლნისი, გორი, დუშეთი, , ქალაქი თელავი, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, ქალაქი რუსთავი, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქ ბათუმის მერია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეა ბათუმის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისხმგებელი საჯარო მოსამსახურეა ბათუმის საკრებულოს აპარატის მასმედიასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ქალაქ ბათუმის საკრებულო

■ ხარვეზები

ინფორმაციია შეგრობა, დამუშავებასა და გამოქვეყნებაზე, ასევე ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია საკრებულოს და გამგეობის/მერიის მხოლოდ ერთი თანამშრომელი.

ბოლნისი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ლაგოდეხი, ქალაქ ბათუმის მერია, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი, ქალაქი თელავი, საგარეჯო

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, ინფორმაციის გამოქვეყნებაზე და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებლად განისაზღვროს სხვადასხვა პირი, ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე და გაიმიჯნოს მათ შორის უფლებამოსილებები.

ბოლნისი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ლაგოდეხი, ქალაქ ბათუმის მერია, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი რუსთავი, ლაგოდეხი, ქალაქი თელავი, საგარეჯო

6.2.ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმა და წესი

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვნების წესი.

- მუნიციპალური აქტები

„მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ელექტრონული ფორმით დადგენილებით [31] განსაზღვრული წესით. „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასური ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ნუსხით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე. ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ან/და მათ მართვაში არსებული სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით .

მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. აღნიშნული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს მისი განახლების თარიღი.

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება, ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. „

ბოლნისი

[31] ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 მარტის დადგენილება #25 „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“

„მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ელექტრონული ფორმით, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

„მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირე(ბი)ს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 იანვრის N5 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა“ (შემდგომ - ნუსხა) განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ნუსხით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით:

ა) ელექტრონული ფორმით - მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე;

ბ) ან ბეჭდური ფორმით - მუნიციპლიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტრიულ ერთეულებში განთავსებულ საჯარო განცხადებების დაფაზე.

ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ან/და მათ მართვაში არსებული სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით. (www.gardabani.ge; https://www.facebook.com/გარდაბნის-მუნიციპალიტეტი და სხვ.)“

გარდაბანი

„გორის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით. გორის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ნუსხით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას : ა) ელექტრონული ფორმით - გორის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსებზე; ბ) ბეჭდური ფორმით - გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განთავსებულ საჯარო განცხადებების დაფაზე. ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება გორის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო განცხადებების დაფების გამოყენებით, რომელიც უნდა განთავსდეს დასახლებების უბნების მიხედვით, უბანში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე არანაკლებ ერთი საინფორმაციო განცხადების დაფის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადებების დაფაზე ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელია შესაბამის დასახლებაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი. თუ პროაქტოულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და მისი სრულად გამოქვეყნება ვერ ხერხდება შესაბამის ადგილას, აუცილებელია

აღნიშნულ ადგილებში მიეთითოს დოკუმენტის შესაბამისი რეკვიზიტები (სათაური, მიმღები ორგანო, მიღების თარითი, დოკუმენტის ნომერი) და ადგილი, სადაც შესაძლებელია დოკუმენტის სრული ვერსიის გაცნობა და ასლის გადაღება.“

გორი

„მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია ქვეყნდება როგორც პროაქტიულად, ასევე ბეჭდური ფორმით. საჯარო ინფორმაცია ნებისმიერ პირისტვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომიბის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ნუსხით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებას : ა) ელექტრონული ფორმით – მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე; ბ) ბეჭდური ფორმით – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განთავსებულ საჯარო განცხადებების დაფაზე.

ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდებზე ან/და საჯარო დაწესებულებების მართვაში არსებული სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო განცხადებების დაფების გამოყენებით, რომელიც უნდა განთავსდეს დასახლებების უბნების მიხედვით, უბანში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე არანაკლებ ერთი საინფორმაციო განცხადების დაფის ოდენობით. მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადების დაფაზე ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელია შესაბამის დასახლებაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და მისი სრულად გამოქვეყნება ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების და იურიდიული პირების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას ან/და მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადებების დაფებზე, აუცილებელია აღნიშნულ ადგილებში მიეთითოს დოკუმენტის შესაბამისი რეკვიზიტები (სათაური, მიმღები ორგანო, მიღების თარიღი, დოკუმენტის ნომერი) და ადგილი, სადაც შესაძლებელია დოკუმენტის სრული ვერსიის გაცნობა და ასლის გადაღება.“

დუშეთი

„მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ელექტრონული ფორმით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტითა და ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

დადგენილებით [32] განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის

[32] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის დადგენილება N 148 “თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ

მიღებაზე საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ნუსხით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ დადგენილ ელექტრონულ რესურსზე/რესურსებზე; ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - http://www.tetritskaro.ge, აგრეთვე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის ვებგვერდებზე ან/და მათ მართვაში არსებული ელექტრონული რესურსების გამოყენებით (https://www.facebook.com/თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, https://www.facebook.com/თეთრიწყაროს კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური, https://www.facebook.com/თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და სხვა)“

თეთრიწყარო

„ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილებით [33] გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსზე (www.telavi-gov.ge).

დადგენილებით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციასთან ერთად მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.“

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ”

[33] ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 აგვისტოს დადგენილება N18 „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

ქალაქი თელავი

კანონქვემდებარე აქტით აღნიშნული წესი არ არის რეგლამენტირებული.

თიანეთი, მცხეთა

„მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების, დაწესებულებების და იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ელექტრონული ფორმით ამ დადგენილებით[34] განსაზღვრული წესით.

ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს, დაწესებულებებს და იურიდიულ პირებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების, დაწესებულებების და იურიდიული პირების მიერ წინასწარ განსაზღვრული პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (შემდგომში – შესაბამისი პასუხისმგებელი პირი).

მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები, დაწესებულებები და იურიდიული პირები უზრუნველყოფენ ამ დადგენილების დანართი №4-ით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ელექტრონული ფორმით ქვეყნდება მუნიციპალიტეტის შესაბამის ვებგვერდზე, ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების (ელექტრონული ფორმით) სტანდარტის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები, დაწესებულებები და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. აღნიშნული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს მისი განახლების თარიღი.

პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: ა) გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი ორგანოს სრულ დასახელებას და მის საკონტაქტო ინფორმაციას; ბ) ინფორმაციის სრულ დასახელებას (სათაურს); გ) ძირითად ინფორმაციას ან ძირითადი ინფორმაციის რეკვიზიტებს, გაცნობის ადგილს და ფორმას, თუ ინფორმაცია დიდი მოცულობისაა; დ) მონაცემებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის შესახებ (სახლი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა).

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები, დაწესებულებები და იურიდიული პირები საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსზე პროაქტიულად გამოქვეყნებისას ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი კრიტერიუმები, კერძოდ ელექტრონული რესურსი: ა) უნდა განთავსდეს იმ დომეინზე, რომელიც შეესაბამება არსებულ სტანდარტებს და აპრობირებული

[34] ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება N22 „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

სახელმწიფო/მუნიციპალური ორგანოებისთვის; ბ) იყოს ნაწილობრივ მულტიენოვანი და იძლეოდეს ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობას ინგლისურ/რუსულ ან საჭიროების შემთხვევაში სხვა ენებზეც; გ) თავსებადი უნდა იყოს ძირითად ოპერაციულ სისტემებთან და გააჩნდეს გახსნის შესაძლებლობა როგორც კომპიუტერულ მოწყობილებებში, ასევე მობილური ტელეფონის ფორმატში; დ) უნდა შეიცავდეს ინფორმაციის ძიების ინსტრუმენტს; ე) უნდა შეიცავდეს ახალი ამბების გამოწერის ტექნიკურ შესაძლებლობას; ვ) უნდა იძლეოდეს უკუკავშირის, კომენტარის დატოვების და გამოკითხვის ორგანიზების საშუალებას; ზ) ტექნიკურად დაკავშირებული უნდა იყოს სოციალური მედიის საშუალებებთან.“

ლაგოდეხი

„ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიასა და საკებულოში ამისათვის განსაზღვრული პასუხსიმგებელი პირები, ხოლო ვებგვერდზე დროულ და შესაბამის განყოფილებაში განთავსებასა და მიწოდებულლი ინფორმაციის რედაქტირებაზე-ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ვებგვერდზე იქმნება შესაბამისი განყოფილება „პროაქტიული გამოქვეყნება“, რომელშიც განთავსდება განსაზღვრული ინფორმაცია. პროაქტიული ინფორმაციის განთავსებაზე კონტროლს ახორციელებს საკრებულოს აპარატის უფროსი და მერიის ადმინისტრაციის უფროსო. პროაქტიული ინფორმაცია ვებგვერდზე განთასდება პდფ ფორმატში.“

რუსთავი

„მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია ქვეყნდება როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით ამ დადგენილებით[35] განსაზღვრული წესით.

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან/და ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.“

საგარეჯო

„ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში ამისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი (პირები), ხოლო ვებგვერდზე დროულ და შესაბამის განყოფილებაში განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე - ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით,

---

[35] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 25 მარტის N8 დადგენილების „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კენძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდზე იქმნება შესაბამისი განყოფილება - „პროაქტიული გამოქვეყნება“, რომელშიც განთავსდება წინამდებარე წესის[36] მე-4 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია. პროაქტიული ინფორმაციის განთავსებაზე კონტროლს ახორციელებს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. პროაქტიული ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსდება PDF ფორმატში.“

ქალაქი გორი

„პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე იქმნება შესაბამისი გვერდი ‘პროაქტიული გამოქვეყნება“, რომელშიც განთავსდება განსაზღვრული ინფორმაცია.

პროაქტიული ინფორმაციის განთავსებაზე კონტროლს ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულის აპარატის უფროსი და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. პროაქტიულად ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავდება პდფ ფორმატში.“

ქალაქი ქუთაისი

„თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილების[37] დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (www.batumi.ge) ელექტრონულ რესურსზე/ საკუთარი საქმიანოვისა და კომპეტენციის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილია , საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხლმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად მოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ქალაქ ბათუმის მერია

„თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (www.batumicc.ge) ელექტრონულ რესურსზე. თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულო უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ქ. ბათუმის საკრებულოს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.“

ქალაქ ბათუმის საკრებულო

■ ხარვეზები

[36] (ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N58 ადგენილების „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

[37] თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის დადგენილება „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“

კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი;

თიანეთი, მცხეთა

კანონქვემდებარე აქტით განსაზრვრული წესი ზოგადია.

ქალაქი რუსთავი, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, კანონქვემდებარე აქტით განისაზღვროს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების დეტალური წესი.

თიანეთი, მცხეთა, ქალაქი რუსთავი, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი

6.1. საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და მათ საფუძველზე მიღებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით (85[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

■ მუნიციპალური აქტები

კანონქვემდებარე აქტებით არ არის განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, ქალაქი თელავი, მცხეთა, ქალაქი რუსთავი

„საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით და ვადებში. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა: ა) დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელფოსტაზე გაგზავნით; ბ) გამცხადებლის მიერ წარმოდგენილ მეხსიერების ბარათზე ჩაწერით; გ) კომპაქტურ დისკზე ჩაწერით; დ) წერილობითი ფორმით, ქსეროასლების სახით ან პრინტერზე ამობეჭდილი სახით.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების, დაწესებულებების და იურიდიული პირების ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელვანცხადება მიღებისთანავე გადაეგზავნება შესაბამის განყოფილებას რეგისტრაციისათვის და შემდგომში დაევალება შესაბამის პასუხისმგებელ პირს, რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის მომზადება.

ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

წერილობით მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით, ინფორმაცია გადაეცემა მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების, დაწესებულებების და იურიდიული პირების შესაბამის განყოფილებას, რის შესახებ ეცნობება განმცხადებელს განცხადებაში მის მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით.

საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით. მოთხოვნილი ელექტრონული და წერილობითი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების, დაწესებულებების და იურიდიული პირების შესაბამის განყოფილებაში მისი ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.“

ლავოდეხი

***„ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი** : საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ-განცხადება რეგისტრირდება და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, აღნიშნული ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან*

***წერილობითი ფორმით მოთხოვნილი** საჯარო ინფორმაცია გაიცემა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.“*

საგარეჯო

***„ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი** : ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ-განცხადება მიღებისთანავე გადაეგზავნება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას რეგისტრაციისათვის და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.*

ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, აღნიშნული ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

***წერილობითი ფორმით მოთხოვნილი** საჯარო ინფორმაცია გაიცემა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.“*

ქალაქი გორი

საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ/ნებისმიერმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, ადმინისტრაციულმა ორგანომ/ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებით მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ, განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, მაშინ საჯარო

ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იტოვებს უფლებას მხარის თანხმობის შემთხვევაში, განახორციელოს მისი კომპაქტურ დისკზე ჩაწერა და მხარეს გადაახდევინოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული ოდენობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე/ელექტრონულ ფოსტაზე/შემოსული ელ.განცხადება, მიღებისთანავე გადაეგზავნება შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს რეგისტრაციისთვის და შესრულება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს, რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება-მომზადების შემდგომ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი წერილობითი სახით ადასტურებს ინფორმაციის გაცემას ან უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ვადების დაცვით მოთხოვნილი ელექტრონული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

ქალაქი ქუთაისი

განსაზღვრულია მხოლოდ ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის წესი.

ქალაქ ბათუმის მერია

„პასუხიმსგებელი პირი ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს ინფორმაციის მოთხოვნის მე-2 დღისა). ინფორმაციის გაცემის 10 დღიანი ვადა გამოიყენება გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) საჯარო დაწესებულების სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების; მოძიებას და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პასუხისმგებელი პირი ამზადებს გასაცემ ინფორმაციას განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად. განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს, ინფორმაციის გაცნობა როგორც დედანში, ისე მისი ასლების მიღება. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს დოკუ-მენტის ზედამხედ-ველობის ქვეშ გაცნობა. ასლის მოთხოვნის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ასლის გადაღებას განმცხადებლის ხარჯებით და ასლების წესით დამოწმებას. დაუშვებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე რაიმე სახის საფასურის დაწესება, ასლის გადაღების საფასურის გარდა, თუ ეს კანონმდებლობით არ არის დადგენილი. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი უსასყიდლოდ გადასცემს განმცხადებელს იმ პერსონალური მონაცემების ასლებს, რომელიც განმცხადებლის შესახებ არსებობს საჯარო დაწესებულებაში. „

ქალაქ ბათუმის საკრებულო

■ ხარვეზები

კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი,

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, ქალაქი თელავი, თიანეთი, მცხეთა, *ქალაქი რუსთავი*

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, კანონქვემდებარე აქტით განისაზღვროს ელექტრონული და წერილობითი ფორმით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის წესი, ან შესაბამის აქტში გაკეთდეს მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებზე.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, ქალაქი თელავი, თიანეთი, მცხეთა, *ქალაქი რუსთავი*

ინფორმაციის გამოქვეყნების თვითშეფასების მექანიზმი

■ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

ორგანული კანონით არ არის განსაზღვრული პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის თვითშეფასების წესი.

■ მუნიციპალური აქტები

კანონქვემდებარე აქტებით არ არის განსაზღვრული პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის თვითშფასების წესი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, მარნეული, მცხეთა, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი თელავი, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი რუსთავი

■ ხარვეზები

კანონქვემდებარე აქტებით არ არის განსაზრვრული პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის თვითშფასების წესი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, მარნეული, მცხეთა, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი თელავი, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი რუსთავი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, კანონქვემდებარე აქტით განისაზღვროს ინფორმაციის გამოქვეყნების თვითშეფასების მექანიზმი, რომლის დახმარებითაც საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები ადვილად შეაფასებენ მათი მოვალეობის შესრულების ხარისხსა და სიზუსტეს.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, მარნეული, მცხეთა, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი თელავი, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი რუსთავი

6.3.პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის ორგანოები აგრეთვე ვალდებული არიან, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ: ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში; ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში; გ) დასახლების საერთო კრების ოქმები, გამგეობის/მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში; დ) ამ კანონის შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ; ე) საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში; ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი; ზ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში; თ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში; ი) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში; კ) პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში; ლ) წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში . (85^1-ე მუხლის მე-3 პუნქტი)

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შესაბამისი გადაწყვეტილებით გააფართოოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ან/და საჯაროდ გამოსაცხადებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა. (85^1-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

- მუნიციპალური აქტები

პროაქტიულად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესახებ: 1.1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში); 1.2. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების და მათი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება, წესდება, შინაგანაწესი) (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.3. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში (ქვეყნდება ყოველწლიურად) 1.4. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.5. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.6. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მათი სტრუქტურული ერთეულების. ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის

ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში)

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი : 2.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.3. ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.4. მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში (ქვეყნდება ყოველწლიურად) 2.5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად)

3. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფის შესახებ: 3.1 მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 3.2. ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტში კონკურსის ჩატარების წესებს (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 3.3. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში (ქვეყნდება კვარტალურად).

4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების და იურიდიული პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული შესყიდვების და ქონების პრივატიზების შესახებ: 4.1. მუნიციპალიტეტის შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება კვარტალურად); 4.2. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვების ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად) 4.3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ (ქვეყნდება კვარტალურად) 4.4. რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები (ქვეყნდება კვარტალურად) 4.5. მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა (მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში 4.6. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა (მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში).

5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ: 5.1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი (მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში) 5.2. მუნიციპალიტეტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი (ქვეყნდება კვარტალურად) 5.3. ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით) (ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად) 5.4. საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში) 5.5. ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად_ და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად) 5.6. ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით) (ქვეყნდება კვარტალურად) 5.7. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.8. ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესაბამისად ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.9 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.10 მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს ბალანსზე რიცხული უძრავი

ქონების ჩამონათვალი (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.11. ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.12 მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.13. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის, მიზნობრიობა და გრანტის მოცულობა (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.14. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფროონდებიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია (ქვეყნდება კვარტალურად) 5.15 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალიწინებული ფონდებიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია (ქვეყნდება კვარტალურად) 5.16 სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შესახებ (ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში).

6. სამართლებრივი აქტები : 6.1. ნორმატიული აქტები, რომლები საშუალოდ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში); 6.2. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, მუნიციპალიტეტის ორგანოების შეფასებით, საზოვადოებრივი ინტერესის შემცველია (ქვეყნდება ძალაში შვლიდან 10 დღეში)

7. საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია : 7.1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შესახებ (შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში) 7.2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები (შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში) 7.3. დასახლების საერთო კრების ოქმები (გამგეობის, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში 7.4 ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ (ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში) 7.5 მუნიციპალიტეტის გამგებლის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ გათვალისწინებული ანგარიშები (შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში) 7.6. პეტიცია (მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში: 7.7 მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერილობითი ინიციატივა გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადები შესახებ (მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში).

8. სხვა საჯარო ინფორმაცია: 8.1 მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების სერვისების შესახებ ინფორმაცია (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 8.2. ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურის შესახებ, რომელიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინება ხდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების მიერ (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში)

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი

„ვებვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება: ა) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა (განახლდება ცვლილების შემთხვევაში); ბ) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები (განახლდება ცვლილების შემთხვევაში); გ) ინფორმაცია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების შესახებ: სახელი, გვარი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლდება ცვლილების შემთხვევაში); დ) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების მისამართები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ფაქსის ნომრები, ტელეფონის ნომრები

(განახლდება ცვლილების შემთხვევაში); ე) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი (განახლდება ცვლილების შემთხვევაში); ვ) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შემოსული და ასევე გაცემული განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად); ზ) ინფორმაცია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (განახლდება ცვლილების შემთხვევაში); თ) სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესებს (განახლდება ცვლილების შემთხვევაში); ი) მუნიციპალური შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება ყოველწლიურად); კ) ინფორმაცია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული მუნიციპალური შესყიდვების შესახებ - მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალებისა და ხელშეკრულების ღირებულების მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად); ლ) ინფორმაცია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ (ქვეყნდება კვარტალურად); მ) ინფორმაცია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებზე გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად); ნ) ინფორმაცია თანამშრომელთა სამივლინებო ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ცალკე - ქვეყნის შიგნით და ცალკე - ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებებისათვის) (ქვეყნდება კვარტალურად); ო) ინფორმაცია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ მოდელის მითითებით (ქვეყნდება ყოველწლიურად); პ) ინფორმაცია საწვავის მოხმარებისათვის გაწეული ხარჯის შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება ყოველწლიურად); ჟ) ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება ყოველწლიურად); რ) ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტები.“

ქალაქი თელავი

„საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს: ა) ცნობა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ – შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც; ბ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები – სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში; გ) ბიუჯეტის პროექტი, ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე გამგებლის (მერის) დასკვნა და ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი (შესწორების შემთხვევაში) – საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოში წარდგენიდან 2 დღის ვადაში; დ) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს – საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში; ე) საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით – ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ვ) საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკის – გრაფიკის დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში; ზ) პეტიცია მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში; თ) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს – შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში; ი) საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩეველთა მიღების დღეს, ადგილს და საათებს – მიღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც; კ) საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დღეს, ადგილს, საათებს და დღის წესრიგს (მისი არსებობის შემთხვევაში) – შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც; ლ) საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის დღეს, ადგილს და საათს – ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში; მ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის მუშაობის წლიურ ანგარიშს – წარდგენიდან 5 დღის ვადაში; ნ) გამგებლის (მერის), გამგეობის (მერიის) სამსახურების უფროსების და გამგეობის (მერიის) ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელების

წლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ – წარდგენიდან 5 დღის ვადაში; ო) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველ სხვა დოკუმენტებს – საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში; პ) გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების წერილობითი ინიციატივა მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში; ჟ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები განთავსებული უნდა იქნეს თვითმმართველი ერთეულის ვებგვერდზე, „თვითმმართველი ერთეულის ვებგვერდის დებულებით" დადგენილი წესით.

„ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“ და „მ“ პუნქტებით დადგენილი დოკუმენტები აგრეთვე უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში. თუ დოკუმენტი დიდი მოცულობისაა გაზეთში ქვეყნდება მხოლოდ ამ დოკუმენტის დასახელება, მოკლე შინაარსი და მითითება, რომ მისი გაცნობა შესაძლებელია საკრებულოს აპარატში.“

თიანეთი, მცხეთა

„ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს აწვდიან შემდეგ ინფორმაციას: 1. ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა; 2. ადმინისტრაციული ორგანოს და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმინაობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 3. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ ანგარიში; 4. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეპციები და სამოქმედი გეგმები; 5. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები; 6. ადმინოსტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორჰანოების მისამართი, ელექტრონნული ფოსტის მისამართი დატელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი; 7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ზოგადი წლიური სტატისტიკა; 8. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი; 9. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა; 10. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია; 11. ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“

ქალაქი რუსთავი

„საკრებულოს აპარატი ვალდებულია გამოაქვეყნოს: ა) ცნობა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ - შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც; ბ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები - ხელმოწერიდან 2 დღის ვადაში; გ) ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე გამგებლის დასკვნა და ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი (შესწორების შემთხვევაში) - საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოში წარდგენიდან 2 დღის ვადაში. დ) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს - რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში; ე) საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით - ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა; ვ) საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკის - გრაფიკის დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში; ზ) დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებას - დასახლების საერთო კრების ჩატარებიდან ხუთი დღის ვადაში. თ) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს - შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში; ი)

საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩეველთა მიღების დღეს, ადგილს და საათებს - მიღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც; კ) საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დღეს, ადგილს, საათებს და დღის წესრიგს (მისი არსებობის შემთხვევაში) – შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც; ლ) საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრის ანგარიშის ტექსტს, ანგარიშის წარდგენის დღეს, ადგილს და საათს - ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც. მ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის მუშაობის წლიურ ანგარიშს - წარდგენიდან 5 დღის ვადაში; ნ) გამგებლის, გამგეობის სამსახურების უფროსების და გამგეობის ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელების წლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ - წარდგენიდან 5 დღის ვადაში; ო) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის ამსახველ სხვა დოკუმენტებს - საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში.“

საგარეჯო

„ვებგვერდზე ქვეყნდება შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში; ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში; გ) დასახლების საერთო კრების ოქმები, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში; დ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ; ე) საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში; ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი; ზ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში; თ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში; ი) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში; კ) პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში; ლ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში; მ) ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა; ნ) ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები), რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებულ ინფორმაციას (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში); ო) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში). პ) ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების/ ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში); ჟ) ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების /ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების/ხელმძღვანელების მისამართი, ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის (არსებობის შემთხვევაში) ნომერი(განახლებადია ცვლილების შემთხვევაში). რ) საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ზოგადი წლიური სტატისტიკა; ს) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი; (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში); ტ) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება კვარტალურად); უ) ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ; ფ) ინფორმაცია ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში).

შენიშვნა: კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასასრულიდან 1 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.“

ქალაქი გორი

პროაქტიულად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ჩამონათვალი:

„1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეის საკრებულოს ფრაქციების, კომისიების დროებითი სამუშაო ჯგუფების ფუნქციების აღწერა; 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებლოს აპარატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, დებულება, შინაგანაწესი; 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის შესახებ ანგარიში; 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები; 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების უფროსების/მერის წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები; 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი 7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ზოგადი წლიური სტატისტიკა; 8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი; 9. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა; 10. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია; 11. ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურის შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.“

ქალაქი ქუთაისი

პროაქტიულად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნუსხა:

„1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ: 1.1 თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.2 თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება/შინაგანაწესი) (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.3 თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში (ქვეყნდება ყოველწლიურად) 1.4. თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.5. თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.6 ქ.ბათუმის მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების/ ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში).

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი: 2.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის

ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.3 საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში (ქვეყნდება ყოველწლიურად) 2.4 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად).

3. ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ: 3.1. გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 3.2 ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 3.3 დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში (ქვეყნდება კვარტალურად).

4. ინფორმაცია განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ: 4.1 სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება კვარტალურად) 4.2 სახელმწიფო შესყიდების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვების ობიექტის, შესყიდვების საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად) 4.3 ინფორმაცია თვითმმართველობის ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ(ქვეყნდება კვარტალურად) 4.4 რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები (ქვეყნდება კვარტალურად).

5. ინფორმაცია ქ. ბათუმის მერიის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ: 5.1 დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი (ქვეყნდება კვარტალურად) 5.2 ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით) (ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად) 5.3 ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად) 5.4 ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზირებაზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)(ქვეყნდება კვარტალურად) 5.5. ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.6. ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.8 ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.9. ინფორმაცია განხორცილებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.10 უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.11. ინფორმაცია გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.12 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია (ქვეყნდება კვარტალურად) 5.13 სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ (ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში).

6. *სამართლებრივი აქტები: 6.1. ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში) 6.2 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადმინისტრაციული*

ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში).

7. სხვა საჯარო ინფორმაცია: 7.1 ქ. ბათუმის მერიის სერვისების შესახებ ინფორმაცია (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 7.2 ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინება ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში).“

ქალაქ ბათუმის მერია

„პროაქტიულად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნუსხა:

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ: 1.1 თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.2 თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს, მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება/შინაგანაწესი) (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.3. თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს თავჯდომარის, საკრებულოს თავჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია : სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 1.4. ქ. ბათუმის საკრებულოს მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკრებულოს სამდივნოს ტელეფონის ნომერი (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში)

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი: 2.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ტელეფონის ნომერი (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 2.3 საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში (ქვეყნდება ყოველწლიურად).

3. ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ: 3.1. გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებული პირების ვინაობა) (განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში) 3.2. ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საკრებულოში კონკურსის ჩატარების წესებს 3.3. დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში (ქვეყნდება ყოველწლიურად).

4. ინფორმაცია განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და ქონების პრივატიზების შესახებ: 4.1. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება კვარტალურად) 4.2. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვების ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად).

5. ბათუმის საკრებულოს დაფინანსების და ხარჯთაღრიცხვის შესახებ: 5.1. დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის ასიგნებით (ქვეყნდება კვარტალურად) 5.2. ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომელზე (ჯამურად (ქვეყნდება კვარტალურად) 5.3. ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით (ქვეყნდება კვარტალურად) 5.4. ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელების მითითებით (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.5. ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.6. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.7. ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი (ქვეყნდება ყოველწლიურად) 5.8. ინფორმაცია

განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად (ქვეყნდება ყოველწლიურად).

6. სამართლებრივი აქტები: 6.1. საკრებულოს ნორმატიული აქტები (დადგენილებები) (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღის განმავლობაში) 6.2. საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები (განკარგულებები) (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღის განმავლობაში) 6.3. საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებები (ქვეყნდება ძალაში შვლიდან 10 დღის განმავლობაში)

7. ანგარიშები: 7.1. საკრებულოს წევრის ანგარიში.“

ქალაქ ბათუმის საკრებულო

■ ხარვეზები

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი არასრულია.

ბათუმი, ქ. თელავი, თიანეთი, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქუთაისი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი გაფართოვდეს, მთავრობის დადგენილების გათვალისწინებით რომელიც არ ვრცელდება მუნიციპალიტეტებზე.

ბათუმი, ქ. თელავი, თიანეთი, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, ქ. გორი, ქუთაისი

პრაქტიკის ანალიზი

დასახლების საერთო კრება

პეტიცია

სამოქალაქო მრჩევლთა საბჭო

საკრებულოს სა ქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა

გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

1. დასახლების საერთო კრება – პროცესის ანალიზი

1.1. არსებული პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი აკვირდებოდა საპილოტე მუნიციპალიტეტებში დასახლების საერთო კრებების გამართვის ინტენსივობას და მიმდინარეობას. ამ მიზნით, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი, აქტიურად გამოითხოვდა და ამუშავებდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტების გამგეობიდან/მერიიდან[38].

მონიტორინგის შედეგები:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დასახლების საერთო კრება 2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე არ გამართულა.

გორის მუნიციპატეტი

გორის მუნიციპალიტეტში, დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია დასახლების საერთო კრების ორი საინიციატივო ჯგუფი (კარალეთი N1, ტირძნისი N1), თუმცა, მუნიციპალიტეტის გამგეობას საერთო კრებების გამართვის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტში, მაღაროსკარის საერთო კრება გაიმართა 2016 წლის 16 ივნისს, , საანგარიშო პერიოდში (2016 წლის 27 ივლისიდან - 2017 წლის 20 აპრილამდე) აღნიშნულ მუნიციპალიტეტში საერთო კრება არ გამართულა.

თიანეთის მუნიციპალიტეტი

თიანეთი მუნიციპალიტეტში, გამგებლის ინიციატივით 2016 წლის პირველ ნახევარში გაიმართა სამოცდახუთი დასახლების საერთო კრება; საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ მუნიციპალიტეტში საერთო კრება არ გამართულა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება 2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე არ გამართულა. საერთო კრების გამართვის მცდელობა ჰქონდა სოფელ წინწყაროს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს, თუმცა საერთო კრება ვერ გაიმართა, რადგან მას არ ესწრებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 20 %.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დღემდე გაიმართა ორი დასახლების საერთო კრება -2016 წლის 30 ივნისს, ლელიანის ადმინისტრაციული ერთეულის „ლელიანის“ დასახლების საერთო კრება

[38] მონიტორინგის პერიოდში ვერ შეფასდა ქ. ბათუმისა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტები, რადგან მუნიციპალიტეტების საკრებულოს მიერ არ არის დამტკიცებული დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება. ასევე, ვერ შეფასდნენ გარდაბნის, მცხეთის, საგარეჯოს, ქ. თელავის, ქ. გორის მუნიციპალიტეტები, რადგან მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის არაერთი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, მუნიციპალიტეტებმა არ მოგვაწოდეს სასურველი ინფორმაცია.

და 2016 წლის 7 ივლისის, ლელიანის ადმინისტრაციული ერთეულის „ბებურიანის“ დასახლების საერთო კრება; აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა გამგეობიდან მიღებული საჯარო ინფორმაციას.

საერთო კრების გადაწყვეტილებაზე, გამგებლის რეაგირების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

2016 წლის 21 ივლისს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მალაოღლში ინიცირებული საერთო კრება არ გაიმართა, რადგან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეგისტრაციის ფურცლის შესაბამისად, საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობამ არ შეადგინა დასახლების ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების 20 %. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამიაში 2016 წლის 26 ივლისს გაიმართა დასახლების საერთო კრება, რომლის მონიტორინგის შედეგები განხილულია შემდეგ თავში.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

2016 წლის პირველ ნახევარში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულების დიდ ნაწილში გაიმართა დასახლების საერთო კრებები. საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში საერთო კრებები არ გამართულა, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში შეუძლებელი იყო რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრებების მონიტორინგი.

1.2. საანგარიშო პერიოდში გამართულო საერთო კრებების მონიტორინგის შედეგები

2016 წლის 26 ივლისს, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამიაში გამართულ დასახლების საერთო კრებას. კრებას ესწრებოდა დასახლების ტერიტორიაზე რეგისტრირებული 276 ამომრჩევლიდან 55 ამომრჩეველი.

დასახლების საერთო კრება შეფასდა მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების მეთოდოლოგიით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. საერთო კრების საქმიანობის პრინციპები

- საჯაროობა - საერთო კრების გამართვის შესახებ ინფორმაციის (ადგილი, თარიღი, დრო და დღის წესრიგი) გამოქვეყნება.

საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საერთო კრების გამართვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, თარიღი, დრო და დღის წესრიგი) უნდა გამოქვეყნდეს სრულად, წერილობითი ფორმით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ელექტრონული ფორმით - სოციალურ მედიის მეშვეობით და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე - კრების გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც.

ამ შემთხვევაში, საერთო კრების გამართვის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

- თანასწორობა

საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საერთო კრებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეთნიკური (ენობრივი), გენდერული, ასაკობრივი ნიშნით განსხვავებულ საერთო კრების წევრთა თანაბარი მონაწილეობა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამიას დასახლების საერთო კრებაში, თანასწორობის პრინციპი სრულად იყო რეალიზებული. საერთო კრებაზე წარმოდგენილნი იყვნენ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებით განსხვავებული წევრები - თითოეულ მათგანს ჰქონდა უფლება მიეღო მონაწილეობა საერთო კრების მუშაობაში.

- კანონიერება

საერთო კრების მოწვევისას, სრულად უნდა იყოს დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები, რაც გულისხმობს საერთო კრების კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად ინიცირებას, დარეგისტრირებასა და მოწვევას. მნიშვნელოვანია, საერთო კრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც.

დამიას დასახლების საერთო კრების მოწვევის დროს, უმეტეს შემთხვევაში დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები. კრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად იყო ინიცირებული, დარეგისტრირებული და მოწვეული, თუმცა კრების გამართვის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

- დამოუკიდებლობა

საერთო კრება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სრულიად უნდა იყოს დამოუკიდებელი, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ერთი რომელიმე ვიწრო ინტერესთა ჯგუფის გავლენებისგან.

დამიას დასახლების საერთო კრება დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებას. კრებას ესწრებოდა გამგებლის წარმომადგენელი; თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამგებლის წარმომადგენლის მხრიდან არ განხორციელებულა ჩარევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. დასახლების საერთო კრების უფლებამოსილებები

- დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის შესაბამისობა ორგანული კანონისა და საერთო კრების დებულების ნორმებთან

აუცილებელია, დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები სრულად შეესაბამებოდეს ორგანული კანონისა და დასახლების ტიპური დებულების ნორმებს.

ამ შემთხვევაში, დამიას საერთო კრების დღის წესრიგის შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ მოგვაწოდა საჭირო ინფორმაცია.

- საერთო კრების განხილული საკითხების შესაბამისობა საერთო კრების დღის წესრიგთან

საერთო კრების დღის წესრიგი არ იყო ხელმისაწვდომი, შესაბამისად, შეუძლებელია შეფასდეს რამდენად შეესაბამებოდა საერთო კრების მიერ განხილული საკითხები დღის წესრიგს.

3. საერთო კრების ორგანიზება

- საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის პროცედურა

საერთო კრების რეგისტრაციის პროცედურა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ორგანული კანონისა და დასახლების საერთო კრების დებულების ნორმებს, რეგისტრაციის პროცესი უნდა იყოს მარტივი და წარიმართოს დამატებითი ბარიერების გარეშე.

სოფელ დამიას დასახლების საერთო კრება ამ სტანდარტს აკმაყოფილებს. საერთო კრებაზე რეგისტრაციის პროცედურა მიმდინარეობდა დაბრკოლებების გარეშე, კანონმდებლობის შესაბამისად: პროცესში არ გამოვლენილა ხარვეზები და სირთულეები. კრების ინიციატორმა

თანმიმდევრულად გამოაცხადა კრებაზე დამსწრე წევრთა სახელი, გვარი, და გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა სარეგისტრაციო ფურცელზე.

- საერთო კრების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

დასახლების საერთო კრება, კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლებისგან სრულად უნდა იყოს მხარდაჭერილი ტექნიკურად, ორგანიზაციულად და ფინანსურად.

კრების ინიციატორთა განცხადებით, კრების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მოახერხეს ფონდ „ტასოს“ მხარდაჭერით და ადგილობრივი ხელისუფლებისგან მსგავსი დახმარება არ მოუთხოვიათ.

- კენჭისყრის პროცედურის ორგანიზება კანონმდებლობის შესაბამისად

კენჭისყრის პროცედურა ორგანიზებული უნდა იყოს, ხმების დათვლა და მომხრე/მოწინააღმდეგეთა იდენტიფიცირება იოლად, მცირე დროში უნდა იყოს შესაძლებელი.

სოფელ დამიას საერთო კრებაზე ამ მიმართულებით პრობლემები არ გამოვლენილა. საერთო კრებაზე გაიმართა ღია კენჭისყრა, კრების წევრებმა აზრი დააფიქსირეს ხელის აწევით, ხოლო ხმები დაითვალა კრების თავჯდომარემ.

- საერთო კრებაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების ორგანიზება

საერთო კრებაზე დასწრება უნდა შეეძლოს ნებისმიერ პირს, დამატებითი ბარიერების გარეშე.

სოფელ დამიას დასახლების საერთო კრებაზე, დასწრება შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, დამატებითი ბარიერების გარეშე. დარბაზში მათთვის გამოყოფილი იყო ადგილები.

- საერთო კრების რჩეულის არჩევის პროცედურები

საერთო კრება უნდა ირჩევდეს საერთო რჩეულს არჩევის წესისა და პროცედურების დაცვით. ამ შემთხვევაში, საერთო კრებას არ ჰქონია დღის წესრიგით გათვალისწინებული რჩეულის არჩევის საკითხი, შესაბამისად საერთო კრება ამ კრიტერიუმით ვერ შეფასდება.

4. საერთო კრების წევრების ჩართულობა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში

- საერთო კრების წევრთა/დამსწრე პირთა ჩართულობა ინიცირების პროცესში

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ინიციატივის ავტორმა თავისი ინიციატივა უნდა გააცნოს კრების წევრებს, ინიციატივაზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა უნდა მიეცეს ყველა დაინტერესებულ პირს.

ამ შემთხვევაში, მართალია ინიციატივის ავტორმა თავისი ინიციატივა გააცნო კრების წევრებს, თუმცა მათ არ ჰქონდათ აზრის გამოთქმის სურვილი.

- საკითხის განხილვის პროცესში საერთო კრების წევრების ჩართულობა

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საერთო კრების წევრთა უმრავლესობა ჩართული უნდა იყოს საკითხის განხილვის პროცესში, ისინი თავისუფლად უნდა გამოხატავდნენ აზრს და მსჯელობდნენ საკითხის ირგვლივ.

დამიას საერთო კრების წევრებს შეუზღუდავად შეეძლოთ ჩართულიყვნენ საკითხის განხილვის პროცესში და გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები, თუმცა საერთო კრების წევრთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახდენდა აღნიშნული უფლების რეალიზებას.

- გადაწყვეტილების მიღების პროცესი

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საერთო კრების წევრთა უმრავლესობა უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყო კრების ყველა დამსწრე წევრი, ისინი ღია კენჭისყრის გზით აფიქსირებდნენ თავის გადაწყვეტილებას.

5. საერთო კრების გადაწყვეტილება

- ოქმის გაფორმება

საერთო კრებაზე უნდა ფორმდებოდეს ოქმი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და შეიცავდეს ყველა საჭირო რეკვიზიტს.

აღნიშნული კრიტერიუმით საერთო კრების შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრმა ვერ მიიღო ინფორმაცია საერთო კრების ოქმის შესახებ.

- დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილების გაცნობა მუნიციპალიტეტისთვის და მოსახლეობისთვის

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საერთო კრების გადაწყვეტილება დადგენილი პროცედურების დაცვით უნდა მიეწოდოს მუნიციპალიტეტს, გამოქვეყნდეს როგორც ელექტრონული, ისე წერილობითი ფორმით და ხელმისაწვდომი იყოს დასახლების მაცხოვრებლებისთვის.

მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი მუდმივად აკვირდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ელექტრონულ რესურსებს, სადაც ინფორმაცია საერთო კრების გადაწყვეტილების შესახებ არ გამოქვეყნებულა. აღნიშნული ინფორმაცია არ გავრცელებულა წერილობითი ფორმით დასახლების ტერიტორიაზე.

- ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რეაგირება საერთო კრების გადაწყვეტილებაზე

საერთო კრების გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება და აღნიშნულის შესახებ პასუხი საჯაროდ უნდა ეცნობოს საერთო კრებას.

სოფელ დამიას საერთო კრების გადაწყვეტილებაზე გამგებლის რეაგირების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

1.3. ხარვეზები

საპილოტე მუნიციპალიტეტების გამგეობიდან/მერიიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შეინიშნება ტენდენცია, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული ფორმა საკმაოდ იშვიათად გამოიყენება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მიერ.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არ არის წახალისებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები საერთო კრების, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის, აქტიური გამოყენებისთვის.

მუნიციპალურ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული მოქალაქეთა მონაწილეობის პროგრამა, რაც ართულებს საერთო კრების გამართვის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფინანსურ უზრუნველყოფას.

მუნიციპალიტეტებში, რომლის დასახლებებში (მათ შორის ქალაქებში) რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 2000, ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს

შესაძლებლობა დაადგინოს ორგანული კანონისგან განსხვავებული პროცედურები ან მნიშვნელოვნად გაამარტივოს ისინი, რაც პრაქტიკაში არსად გვხვდება.

ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა ხელი შეუწყოს მოსახლეობას კრების უკეთ ორგანიზებაში (მაგ: შესთავაზოს სარეგისტრაციო ფურცლის, კრების ოქმის და სხვა შაბლონები), რაც მათი მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი.

ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს კრების გამართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით, რაც ხშირ შემთხვევაში არ ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველი არ არის ვალდებული ზედმიწევნით იცოდეს საერთო კრების შესახებ ორგანული კანონით და ტიპური დებულებით დადგენილი რეგულირებები, შესაბამისად, გამგეობის/მერიის თანამშრომელი ვალდებულია დაინტერესებულ პირებს გაუწიოს შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაცია. დღეისათვის, გამგეობა/მერია თითქმის ვერ უზრუნველყოფს საერთო კრების ინიციატორთა საკონსულტაციო მხარდაჭერას.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები სრულად უნდა შეესაბამებოდეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

ხშირ შემთხვევაში საერთო კრებები ტექნიკურად არ არის მხარდაჭერილი გამგეობის/მერიის მიერ, გართულებულია შეკრების ადგილის მოძიება, სხდომის უზრუნველყოფა საჭირო ტექნიკური და საკანცელარიო საშუალებებით (მიკროფონი, ხმის გამაძლიერებელი, ფურცლები, პრინტერი და ა.შ)

1.4. რეკომენდაციები

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტებმა გაანალიზონ და აღმოფხვრან ის მიზეზები, რომელთა გამო შეინიშნება დაბალი აქტივობა საერთო კრებების გამართვის მიმართულებით. პრობლემის სავარაუდო მიზეზები განხილულია კვლევის ხარვეზების ნაწილში.

რეკომენდირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდეს საერთო კრებების შესახებ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა.

რეკომენდირებულია მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს მოქალაქეთა მონაწილეობის პროგრამა, რომელიც გაამარტივებს საერთო კრების გამართვის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისა და საგანმანათლებლო, საინფორმაციო ინიციატივების ფინანსურ უზრუნველყოფას.

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტებმა, რომელთა დასახლებებში (მათ შორის ქალაქებში) რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 2000, დაადგინოს ორგანული კანონისგან განსხვავებული პროცედურები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს საერთო კრების მოწვევის, გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს.

რეკომენდირებულია ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობას კრების უკეთ ორგანიზებაში (მაგ: შესთავაზოს სარეგისტრაციო ფურცლის, კრების ოქმის და სხვა შაბლონები).

რეკომენდირებულია ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს კრების გამართვის, კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება, როგორც წერილობით, დასახლების ტერიტორიაზე, ისე ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ელექტრონული რესურსების გამოყენებით.

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბრძანებით განსაზღვროს დასახლებებში საერთო კრების გამართვის მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაინტერესებულ პირებს უზრუნველყოფს საკონსულტაციო მხარდაჭერით, ან აღნიშნული უფლებამოსილებით აღჭურვოს გამგებლის/მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში. გამგეობამ/მერიამ საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს გამგეობის/მერიის შესაბამისი თანამშრომლის გადამზადება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და პროცედურებში.

რეკომენდირებულია საერთო კრებას მიეცეს შესაძლებლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გარდა განიხილოს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხებიც, რომლებიც შედის მის უფლებამოსილებაში. შედეგად, საერთო კრება საშუალებას მისცემს მის ყველა მონაწილეს დააყენოს კრებაზე მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის გამგეობამ/მერიამ უზრუნველყოს საერთო კრების ტექნიკური მხარდაჭერა, დაეხმაროს საერთო კრებას შეკრების ადგილის მოძიებაში და უზრუნველყოს საჭირო ტექნიკური, საკანცელარიო საშუალებებით. (მიკროფონი, ხმის გამაძლიერებელი, ფურცლები, პრინტერი და ა.შ.).

2. პეტიცია

2.1. არსებული პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი პეტიციის წარდგენისა და განხილვის პროცესის მონიტორინგის მიზნით, საპილოტე მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან გამოითხოვდა ინფორმაციას 2015 წლის 22 ივლისიდან წარდგენილი პეტიციების, მათი განხილვის პროცესისა და საკრებულოს გადაწყვეტილების შესახებ.

მონიტორინგის შედეგები:

ბოლნისი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ არის რეგისტრირებული.

გარდაბანი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

დუშეთი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

გორი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

თიანეთი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

ლაგოდეხი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

მარნეული

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის 21 აპრილს რეგისტრირებულია პეტიცია (N330, 21.04.2017) - სოფელ არაშენდას დასახლების საერთო კრების მოთხოვნა - სოფელ არაშენდას გზის რეაბილიტაციის საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-11 ნაწილისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის N50 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 94-ე მუხლის თანახმად, განხილულ იქნა საკრებულოს ბიუროს მიერ და მათი გადაწყვეტილებით, პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს. [39]

საგარეჯო

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

ქ. ბათუმი

2015 წლის 22 ივლისიდან ქალაქ ბათუმის საკრებულოში დარეგისტრირებულია 9 პეტიცია (2016 წლის 7 ივლისს - 6 პეტიცია, ხოლო 2016 წლის 31 ოქტომბერს - 3 პეტიცია) შემდეგ საკითხებზე:

1. ქალაქში ცენტრალური ქუჩების გზაჯვარედინებზე სასმელი წყლის შადრევნების მოწყობის შესახებ;
2. ქუჩებსა და საკვანძო ადგილებზე ავტომანქანის მოძრაობის სისწრაფის განმსაზღვრელი რადარებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის შესახებ;
3. ქ. ბათუმში, გონიოს დასახლებაში, სვიმონ კანანელის ქუჩაზე მდებარე 30-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის (გონიოს ციხე) არსებულ მონაკვეთებზე ქვეითთა ბილიკის ან ტროტუარის მოწყობის შესახებ;
4. გარე ვაჭრობის ფორმით ქ. ბათუმის ტერიტორიაზე პიროტექნიკის რეალიზაციის აკრძალვის შესახებ;
5. ქ. ბათუმში, ადლიის დასახლების მთავარი შესასვლელისა და აეროპორტის გზატკეცილის კვეთაში ქვეითთა ფეხით გადასასვლელი კაპიტალური კონსტრუქციის ან შუქნიშნის მოწყობის შესახებ;
6. ქ. ბათუმში ხანდაზმულთა თავშესაფრის ახალი შენობის მოწყობის და ფუნქციონირების შესახებ;

[39] პეტიციის შესახებ გადაწყვეტილების შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან, მიღებული იქნება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ.

7. ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასასრულიდან აეროპორტის გზატკეცილამდე (აეროპორტის ასაფრენი ზოლის პარალელურად მდებარე) არსებული გზის მონაკვეთისთვის ქუჩის სტატუსის მინიჭების სახელდების შესახებ;
8. ქ. ბათუმში, ნურეთინ ჩარმიქლის სახელობის ქუჩისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ;
9. ოსმალთა სამას წლოვანი ბატონობისგან აჭარის განთავისუფლების და დედა სამშობლო საქართველოსთან დაბრუნებისათვის თავდადებულ გმირთა მემორიალის დადგმის შესახებ.

1-ლი პუნქტიდან მე-6 პუნქტის ჩათვლით აღნიშნული პეტიციები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით განსახილველად გადაეგზავნა ქ. ბათუმის მერიას, ხოლო მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტით განსაზღვრული პეტიციები განსახილველად გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას.

კანონმდებლობის[40] თანახმად, შესაბამისი კომისია ვალდებულია 15 დღის ვადაში წარუდგინოს ბიუროს შესაბამისი წინადადებები განსახილველ პეტიციებთან დაკავშირებით, ხოლო მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

ამ დრომდე მერიასა და კომისიას არ შეუსრულებია კანონით დაკისრებული ვალდებულება, შესაბამისად, წარდგენილი პეტიციები კვლავ განხილვის ეტაპზეა.

ქ. გორი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა

ქ. თელავი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა

ქ. რუსთავი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა

ქ. ქუთაისი

2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა

2.2. ხარვეზები

პეტიცია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე იშვიათად გამოყენებული ფორმაა. პეტიციები დარეგისტრირებულია მხოლოდ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და კვლავ განხილვის ეტაპზეა, მუნიციპალურ ორგანოებს არ მიუღიათ შესაბამისი გადაწყვეტილებები, რაც წარმოადგენს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

[40] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-12 და მე-18 ნაწილები

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არ არის წახალისებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები პეტიციის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის, აქტიური გამოყენებისთვის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველი არ არის ვალდებული ზედმიწევნით იცოდეს პეტიციის შესახებ ორგანული კანონით და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი რეგულირებები, შესაბამისად, საკრებულოს თანამშრომელი ვალდებულია დაინტერესებულ პირებს გაუწიოს შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაცია. დღეისათვის, საკრებულო თითქმის ვერ უზრუნველყოფს პეტიციის ინიციატორთა სათანადო საკონსულტაციო მხარდაჭერას.

2.3. რეკომენდაციები

რეკომენდირებულია პეტიციაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაქსიმალურად იქნას დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები, პეტიციის განხილვის პროცესი და შედეგები იყოს მაქსიმალურად საჯარო, რაც გულისხმობს პეტიციის ავტორთა პერიოდულ ინფორმირებას და ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

რეკომენდირებულია ადგილობრივმა ხელისუფლებამ წაახალისოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები პეტიციის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის გააქტიურებისთვის.

რეკომენდირებულია საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებით განისაზღვროს საკრებულოს თანამშრომელი, რომელიც დაინტერესებულ პირებს გაუწევს შესაბამისი სამართლებრივ კონსულტაცია პეტიციის ინიცირების, რეგისტრაციის და განხილვის პროცედურების შესახებ, ამასთან, უზრუნველყოფს პეტიციის ინიციატორთა ინფორმირებას განხილვის შედეგებთან დაკავშირებით. საკრებულომ საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს საკრებულოს შესაბამისი თანამშრომლის გადამზადება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და პროცედურებში.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო – პროცესის ანალიზი

3.1. ზოგადი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი აკვირდებოდა საპილოტე მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების გამართვის ინტენსივობასა და მათ მიმდინარეობას. ამ მიზნით, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი აქტიურად გამოითხოვდა და ამუშავებდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტების გამგეობიდან/მერიიდან.[41]

მონიტორინგის შედეგები[42]:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

გამგებელს 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული აქვს ბრძანება N1372 „ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, ხოლო გამგებლის 2015 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა

[42] მონიტორინგის დროს ვერ შეფასდა ქალაქ თელავისა და მცხეთის მუნიციპალიტეტები, რადგან ჩვენი არაერთი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად მუნიციპალიტეტის მერიიდან/გამგეობიდან არ მოგვაწოდეს საჭირო ინფორმაცია.

საბჭოს შექმნის შესახებ“ - განსაზღვრულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები გაიმართა 2016 წლის 21 იანვარსა და 18 აპრილს, ბოლნისში საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები არ გამართულა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის გამგებელს ამ დრომდე არ მიუღია ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, შესაბამისად, 2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე გარდაბანში არ გამართულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები.

გორის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის გამგებელს ამ დრომდე არ მიუღია ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ, შესაბამისად, 2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე გორში არ გამართულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

გამგებელს 2016 წლის 2 აგვისტოს მიღებული აქვს ბრძანება N484 „დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, საბჭოს დებულებისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“. მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა 2016 წლის 14 მაისს, საანგარიშო პერიოდში დუშეთში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები არ გამართულა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს 2015 წლის 11 ნოემბერს მიღებული აქვს ბრძანება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. ბრძანებაში ცვლილებები შევიდა 2016 წლის 9 სექტემბერს და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტდა სრულიად განსხვავებული შემადგენლობით. მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები გაიმართა 2015 წლის 11 ნოემბერს, 2016 წლის 27 ივნისს 17 სექტემბერს (სხდომა ქვემოთ შეფასებულია მმართველობითი სისტემების ცენტრის მიერ შექმნილი შეფასების კრიტერიუმებით) და 12 ნოემბერს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ბოლო სხდომის შემდეგ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ნებაყოფლობით დატოვა მისმა თავჯდომარემ, რის შემდეგაც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში აღარ გამართულა.

თიანეთის მუნიციპალიტეტი

თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, 2016 წლის 23 თებერვალს მიღებული აქვს ბრძანება N 140 თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, ხოლო გამგებლის 2016 წლის 25 თებერვლის N141 ბრძანებით -„თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ შექმნის შესახებ“ - დაკომპლექტებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. მიუხედავად ამისა, თიანეთის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები დღემდე არ გამართულა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებული აქვს ბრძანება N2/1395 „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე“, თუმცა, ამ დრომდე გამგებელს არ მიუღია შესაბამისა ინდივიდუალური აქტი, რომლითაც დაამტკიცებდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას. აქედან გამომდინარე, 2015 წლის 22 ივნისიდან დღემდე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები არ გამართულა, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევას.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

მარნეულის მუნიციპალიტეტს გამგებელს ამ დრომდე არ მიუღია ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, შესაბამისად, 2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მარნეულში არ გამართულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამგებელს ამ დრომდე არ მიუღია ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, შესაბამისად, 2015 წლის 22 ივლისიდან დღემდე მარნეულში არ გამართულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 02 მარტის N206 ბრძანების შესაბამისად შექმნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია საბჭოს დებულება. 2015-2016 წლების პერიოდში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიკრიბა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტების განხილვის დროს. საბჭოს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის არ წარუდგენია ინიციატივა ან რეკომენდაცია რეაგირებისათვის. შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. ამასთან, ირღვევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მოწვევის პერიოდულობის განმსაზღვრელი ნორმები.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი

ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერს 2016 წლის 27 იანვარს მიღებული აქვს ბრძანება N1-032 „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. მერის 2016 წლის 11 მარტის N1-128 ბრძანებით - „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ დაკომპლექტებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები გაიმართა 2016 წლის 17 მარტს და 31 მაისს, საანგარიშო პერიოდში ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები არ გამართულა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს მიღებული აქვს ბრძანება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მერის 2015 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაც. მუნიციპალიტეტში 2016 წლის 18 მარტს გაიმართა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა, რომელიც იყო გაცნობითი ხასიათის. საანგარიშო პერიოდში რუსთავის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები არ გამართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ქუთაისის მერს 2016 წლის 4 აგვისტოს მიღებული აქვს ბრძანება N 2858 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. მუნიციპალიტეტში 2016 წლის 4 აგვისტოს გაიმართა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა, რომელიც იყო გაცნობითი ხასიათის, სხდომაზე აირჩიეს საბჭოს მდივანი.

3.2 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ანალიზი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - ზოგადი დებულებები

■ სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, თარიღი, დრო და დღის წესრიგი) უნდა ქვეყნდებოდეს სრულად, საჯაროდ წერილობითი და ელექტრონული ფორმით სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

■ საბჭოს დაკომპლექტება დადგენილი წესის შესაბამისად

აუცილებელია, საბჭოს დაკომპლექტებისას სრულად იყოს დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. საბჭოს წევრთა რაოდენობა შეადგენს 23-ს. საბჭოს ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის 1/3-ზე ნაკლები.

■ საბჭოს სხდომის მოწვევა

საბჭოს მოწვევისას სრულად უნდა იყოს დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, საბჭოს მოწვევისას ძირითადად დაცულია კანონმდებლობის მოთხოვნები, თუმცა სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა.

2. საბჭოს უფლებამოსილება

■ საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შესაბამისობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებასთან

საბჭოს სხდომის დღის წესრიგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებას. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო 4 საკითხი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა;
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრების წარდგენა;
3. ქ. თეთრიწყაროს განვითარებისათვის საჭირო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრების შესახებ ცნობა;
4. ქ. თეთრიწყაროში, თანამონაწილეობით დაგეგმვის პროცესში შემუშავებული საპროექტო წინადადებების განხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები სრულად შეესაბამება საბჭოს დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საბჭოს საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს და მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საბჭოს უფლება-მოვალეობებს.

■ საბჭოს მიერ განხილული საკითხების შესაბამისობა დღის წესრიგთან

საბჭოს მიერ განხილული საკითხები სრულად უნდა შეესაბამებოდეს დღის წესრიგს. ამ შემთხვევაში, საბჭო საკითხებს განიხილავდა თანმიმდევრულად, დღის წესრიგის შესაბამისად.

3. საბჭოს სხდომის ორგანიზება

■ კენჭისყრის პროცედურის ორგანიზება

კენჭისყრის პროცედურა კარგად უნდა იყოს ორგანიზებული, რაც გულისხმობს ხმების დათვლასა და მომხრე/მოწინააღმდეგეთა იდენტიფიცირებას იოლად, მცირე დროში. 2016 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე კენჭისყრის პროცედურა კარგად იყო ორგანიზებული, ხმების დათვლისა

და მომხრე/მოწინააღმდეგეთა იდენტიფიცირების პროცესში არ გამოვლენილა ხარვეზები. წევრები საკუთარ აზრს აფიქსირებდნენ ხელის აწევით.

■ საბჭოს სხდომაზე დაინტერესებულ პირთა დასწრების ორგანიზება

საბჭოს სხდომაზე დასწრება უნდა შეეძლოს ნებისმიერ პირს, დამატებითი ბარიერების გარეშე.

ამ შემთხვევაში, სხდომას ესწრებოდა 6 დაინტერესებული პირი, რომელთაც სხდომაზე დასასწრებად არ დასჭირდათ რაიმე წინაპირობის გავლა.

■ საბჭოს თავჯდომარის არჩევის პროცედურები

საბჭოს თავჯდომარე უნდა აირჩეოდეს საბჭოს მიერ, არჩევის წესისა და პროცედურების დაცვით. მოცემულ შემთხვევაში, საბჭო ამ კრიტერიუმით ვერ შეფასდება, რადგან სხდომაზე საბჭოს თავჯდომარის არჩევა არ მომხდარა.

4. საბჭოს წევრების ჩართულობა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში

■ საბჭოს წევრთა/დამსწრე პირთა ჩართულობა საკითხების ინიცირების პროცესში

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ინიციატივის ავტორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავისი ინიციატივა გააცნოს საბჭოს, ინიციატივაზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ყველა დამსწრე პირს. თეთრიწყაროს გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე აღნიშნული მოთხოვნა სრულად იყო დაცული, ინიციატივის ავტორმა ინიციატივა წარუდგინა საბჭოს, ხოლო დამსწრე პირებმა, სურვილის შესაბამისად, გამოხატეს აზრი ინიციატივაზე.

■ გადაწყვეტილების მიღების პროცესი

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საბჭოს დამსწრე წევრთა სრული შემადგენლობა უნდა იღებდეს მონაწილეობას გადაწვეტილების მიღების პროცედურაში, ღია კენჭისყრის გზით. ამ შემთხვევაში, საბჭოს ესწრებოდა 12 წევრი, თითოეული მათგანი ჩართული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ღია კენჭისყრით იღებდა გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხზე.

5. საბჭოს გადაწყვეტილებები

■ სხდომის ოქმი

საბჭოს სხდომის ოქმი უნდა ფორმდებოდეს დადგენილ ვადებში, დადგენილი წესის შესაბამისად და შეიცავდეს ყველა საჭირო რეკვიზიტს. მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოაწოდა საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც გაფორმდა საბჭოს სხდომაზე, ოქმი შეიცავს ყველა საჭირო რეკვიზიტს.

■ საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება

საბჭოს გადაწყვეტილება დადგენილი პროცედურების დაცვით უნდა მიეწოდოს მუნიციპალიტეტს და გამოქვეყნდეს როგორც ელექტრონულად, ისე წერილობითი ფორმით. ამ შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება მიეწოდა მუნიციპალიტეტის გამგებელს დადგენილი პროცედურების დაცვით, თუმცა არ გამოქვეყნებულა პროაქტიულად.

■ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის რეაგირება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებაზე

საბჭოს გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან, გონივრულ ვადაში და აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს.

2016 წლის 17 სექტემბრის სხდომის ოქმში აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გამგებლის თანადგომით, 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 20000 (ოცი ათასი) ლარი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

3.3. ხარვეზები

არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკმაოდ არაპოპულარული მექანიზმია, რასაც ადასტურებს საპილოტე მუნიციპალიტეტებში მისი გამართვის ინტენსივობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ინტერესი მონაწილეობის ამ ფორმისადმი.

აგრეთვე, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არ მოიწვევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული პერიოდულობის დაცვით, რაც წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მიზნით ნაკლებად გამოიყენება და მისი ფუნქციონირება ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ბოლნისი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ქ. გორი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

მუნიციპალიტეტები, რომელთაც არ მიუღიათ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება ან/და არ დაუმტკიცებიათ საბჭოს შემადგენლობა არღვევენ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს. ვინაიდან, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სავალდებულო ფორმას.

გარდაბანი, გორი, მარნეული

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არ არის წახალისებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის, აქტიური გამოყენებისთვის.

3.4. რეკომენდაციები

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების გაძლიერებისა და ეფექტიანობის ხარისხის გაზრდის მიზნით, რეკომენდირებულია იმ მუნიციპალიტეტმა, სადაც დღემდე არ გამართულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები, მიიღონ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, დააკომპლექტონ და მოიწვიონ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.

რეკომენდირებულია საბჭოს სხდომები გაიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობის დაცვით და საბჭოს სხდომებისა და მისი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პროაქტიულად და გავრცელდეს წერილობითი ფორმით მუნიციპალიტეტის დასახლებებში.

რეკომენდირებულია ადგილობრივი ხელისუფლებამ წაახალისოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის, გააქტიურების მიზნით.

4. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა

[43]

4.1. საკრებულოს წევრის, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის და მოქალაქეთა კომუნიკაცია

საკრებულოს წევრის, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის მიერ მოქალაქეთა მიღების წესი

- არსებული პრაქტიკა

წესი დამტკიცებულია საკრებულოს აქტით, ხელმისაწვდომია პროაქტიულად, თუმცა მისი გამოყენება პრაქტიკაში არ ხდება. საკრებულოს წევრები მოქალაქეებს ხვდებიან მათ მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ყოველთვიურად.

გარდაბანი

საკრებულოს აღნიშნული წესი არ გააჩნია, საკრებულოს წევრები მოქალაქეებს ხვდებიან დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საჭიროებიდან გამომდინარე.

მცხეთა, ლაგოდეხი, ქ. გორი

- ხარვეზები

საკრებულოს წევრები, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირები, მოქალაქეებთან შეხვედრის პროცესში არ იყენებენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ სამართლებრივ რეგულირებებს.

გარდაბანი

საკრებულოს წევრების, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირების, მოქალაქეებთან შეხვედრის პროცესი არ არის რეგლამენტირებული.

ლაგოდეხი, მცხეთა, ქ. გორი

- რეკომენდაციები

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, რეკომენდირებულია საკრებულოს წევრების, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირების, მიერ მოქალაქეთა მიღების წესი დამტკიცებული იყოს საკრებულოს ნორმატიული აქტით. წესი უნდა გამოქვეყნდეს პროაქტიულად. საკრებულოს წევრები, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირები, მოქალაქეებთან კომუნიკაციისას უნდა ხელმძღვანელობდნენ დადგენილი წესით.

ლაგოდეხი, მცხეთა, ქ. გორი

რეკომენდირებულია მოქალაქეთა მიღება მოხდეს საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი შევიდეს ცვლილებები შესაბამის დადგენილებაში პრაქტიკაში არსებული ხარვეზების და საკრებულოს წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით.

გარდაბანი

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური აქტით განისაზღვროს საკრებულოს წევრების, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირების , მიერ

[43] მონიტორინგის პერიოდში შეფასდნენ მცხეთის, ლაგოდეხის, გარდაბნისა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტები

მოქალაქეთა მიღების განრიგი (მიღების დღის, დროის, ადგილის და სხვა პროცედურების მითითებით).

გარდაბანი, ლაგოდეხი, მცხეთა, ქ. გორი

საკრებულოს წევრთან, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირთან შეხვედრისას მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხების ასახვა საკრებულოს მიერ დამტკიცებული ოქმების გამოყენებით და განხილვის შედეგებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმის არსებობა

■ არსებული პრაქტიკა

მოქალაქეებთან შეხვედრისას არ ხდება მათ მიერ დასმული საკითხების ასახვა ოქმების გამოყენებით, განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არ არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმი.

ქ. გორი

მოქალაქეებთან შეხვედრისას ნაწილობრივ უზრუნველყოფილია საკითხების ასახვა ოქმის გამოყენებით, განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების დამკვიდრებული პრაქტიკა.

ლაგოდეხი, მცხეთა, გარდაბანი

■ ხარვეზები

მოქალაქეებთან შეხვედრისას არ ხდება მათ მიერ დასმული საკითხის ასახვა ოქმების გამოყენებით, განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არ არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმი.

ქ. გორი

მოქალაქეებთან შეხვედრისას არ ხდება შეხვედრაზე დასმული სრულად ასახვა ოქმების გამოყენებით, განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არ არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმი.

ლაგოდეხი, მცხეთა, გარდაბანი

■ რეკომენდაციები

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, რეკომენდირებულია საკრებულოს წევრებთან, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირთან, შეხვედრისას უზრუნველყოფილი იყოს საკითხების ასახვა საკრებულოს მიერ დამტკიცებული ოქმების გამოყენებით, ხოლო განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არსებობდეს მოქალაქეთა ინფორმირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმი .

ქ. გორი, ლაგოდეხი, მცხეთა, გარდაბანი

4.2. დაინტერესებული პირის მონაწილეობა საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომებში

საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომაზე მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხების ასახვა სხდომის ოქმების გამოყენებით და განხილვის შედეგებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმის არსებობა

■ არსებული პრაქტიკა

მოქალაქეები საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებს არ ესწრებიან, შესაბამისად მუნიციპალიტეტის შეფასება აღნიშნული კრიტერიუმით შეუძლებელია.

მცხეთა, ლავგოდეხი, გარდაბანი

საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმებში საკითხების ასახვა ნაწილობრივ უზრუნველყოფილია, განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არ არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმი.

ქ. გორი

■ ხარვეზი

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა ჩართულობის დონე მინიმალურია, მოსახლეობა არ ესწრება სხდომებს.

მცხეთა, ლავგოდეხი, გარდაბანი

არ არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმი მათი წინადადებებისა და ინიციატივების განხილვის შედეგებთან დაკავშირებით.

ქ. გორი

■ რეკომენდაცია

რეკომენდირებულია ადგილობრივმა ხელისუფლებამ წაახალისოს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა ჩართულობა, შექმნას სხდომებში მოქალაქეთა ჩართულობის მყარი სამართლებრივი მექანიზმი, რაც გულისხმობს მოქალაქეებისთვის სხდომებში მონაწილეობის დამატებითი ბარიერების მოხსნას, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების სრულად ასახვას სხდომის ოქმებში და მათ მიერ დაყენებულ ინიციატივებზე რეაგირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმის შექმნას.

მცხეთა, ლავგოდეხი, გარდაბანი

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, რეკომენდირებულია საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომაზე უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების სრულად ასახვა სხდომის ოქმებში და მათ მიერ დაყენებულ ინიციატივებზე რეაგირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმის არსებობა.

ქ. გორი

საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის გამართვის თარიღის, ადგილის და განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაციის (განსახილველი საკითხების პროექტების ჩათვლით) ხელმისაწვდომობა.

■ არსებული პრაქტიკა

ინფორმაცია ქვეყნდება არასრულად, არ ქვეყნდება ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის გამართვის თარიღის, ადგილის და განსახილველი საკითხების შესახებ, არ

არის ხელმისაწვდომი განსახილველი საკითხების პროექტები, ამასთან, ინფორმაცია ქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით.

მცხეთა, ლაგოდეხი, გარდაბანი, ქ. გორი

■ ხარვეზები

ინფორმაცია ქვეყნდება არასრულად, არ ქვეყნდება ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის გამართვის თარიღის, ადგილის და განსახილველი საკითხების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი განსახილველი საკითხების პროექტები, ამასთან, ინფორმაცია ქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით.

მცხეთა, ლაგოდეხი, გარდაბანი, ქ. გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის სხდომის გამართვის თარიღის, ადგილის, დროის, დღის წესრიგის და განსახილველი საკითხების) კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით გამოქვეყნება.

მცხეთა, ლაგოდეხი, გარდაბანი, ქ. გორი

საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომების ორგანიზება

■ არსებული პრაქტიკა

სხდომაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს, დამატებითი ბარიერის გარეშე, სხდომათა დარბაზში გამოყოფილია საკმარისი ადგილები, მოთხოვნის შემთხვევაში რიგდება დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების პროექტების ასლები, თუმცა ადგილების სიმცირის შემთხვევაში, საკრებულოს ვერ უზრუნველყოფს სხდომის ტრანსლაციას სხდომის დარბაზის გარეთ.

მცხეთა, ლაგოდეხი

სხდომაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს, გარკვეული ფორმალური ბარიერის (საკრებულოს თავჯდომარის ნებართვა) გავლით, სხდომათა დარბაზში გამოყოფილია საკმარისი ადგილები, მოთხოვნის შემთხვევაში რიგდება დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების პროექტების ასლები, თუმცა ადგილების სიმცირის შემთხვევაში საკრებულო ვერ უზრუნველყოს სხდომის ტრანსლაციას სხდომის დარბაზის გარეთ.

გარდაბანი

სხდომაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს, დამატებითი ბარიერების გარეშე, სხდომათა დარბაზში გამოყოფილია არასაკმარისი ადგილები, მოთხოვნის შემთხვევაში რიგდება დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების პროექტის ასლები, თუმცა ადგილების სიმცირის შემთხვევაში საკრებულო ვერ უზრუნველყოფს სხდომის ტრანსლაციას სხდომის დარბაზის გარეთ, სხდომის დარბაზში არასათანადო აკუსტიკაა და შესაბამისი აუდიო ტექნიკის გაუმართაობის გამო მოქალაქისთვის შეუძლებელია სრულყოფილად ჩაერთოს საკითხების განხილვის პროცესში.

ქ. გორი

■ ხარვეზები

ადგილების სიმცირის შემთხვევაში საკრებულო ვერ უზრუნველყოფს სხდომის ტრანსლირებას სხდომის დარბაზის გარეთ.

მცხეთა, ლაგოდეხი, გარდაბანი, ქ. გორი

სხდომაზე დასწრება შესაძლებელია გარკვეული ფორმალური ბარიერების გავლით

გარდაბანი

■ რეკომენდაციები

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, რეკომენდირებულია საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომა ისე იყოს ორგანიზებული, რომ მასზე დასწრება შეეძლოს ნებისმიერ პირს დამატებითი ბარიერების გარეშე. სხდომის დარბაზში გამოყოფილი უნდა იყოს საკმარისი ადგილები, დარბაზი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკით (საჭიროების შემთხვევაში ხმის გამაძლიერებელი, ტრანსლაციისთვის აუცილებელი ტექნიკა).

მცხეთა, ლაგოდეხი, ქ. გორი

რეკომენდირებულია სხდომაზე დასწრება შეეძლოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დამატებითი ბარიერების გარეშე.

გარდაბანი

საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომაზე დამსწრე პირების მიერ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა

■ არსებული პრაქტიკა

სხდომაზე დამსწრე პირს ეძლევა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა საკრებულოს თავჯდომარის თანხმობით.

გარდაბანი, ლაგოდეხი, მცხეთა

სხდომაზე დამსწრე პირს არ ეძლევა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. აზრის გამოთქმისთვის მოქალაქე წინასწარ უნდა დარეგისტრირდეს საკრებულოს სხდომამდე 2 დღით ადრე.

ქ. გორი

■ ხარვეზი

სხდომაზე დამსწრე პირს არ ეძლევა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. აზრის გამოთქმისთვის მოქალაქე წინასწარ უნდა დარეგისტრირდეს საკრებულოს სხდომამდე 2 დღით ადრე.

ქ. გორი

■ რეკომენდაციები

რეკომენდირებულია საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომაზე დამსწრე პირს მიეცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა დამატებითი ბარიერების გარეშე.

ქ. გორი

4.3. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები

საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების გამოყენების პრაქტიკაარსებული პრაქტიკა

- არსებული პრაქტიკა

საკრებულოს აქტით განსაზღვრულია საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები, აღნიშნული ფორმების გამოყენება ქმნის მოქალაქეთა მონაწილეობის ფართო შესაძლებლობებს, თუმცა ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი პროაქტიულად და აღნიშნული ფორმები პრაქტიკაში არ გამოიყენება.

გარდაბანი, ლავოდეხი, მცხეთა, ქ. გორი

- ხარვეზები

ინფორმაცია მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი პროაქტიულად და აღნიშნული ფორმები პრაქტიკაში არ გამოიყენება.

გარდაბანი, ლავოდეხი, მცხეთა, ქ. გორი

- რეკომენდაციები

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების შესახებ, რისთვისაც აუცილებელია ინფორმაცია გამოქვეყნდეს პროაქტიულად და გავრცელდეს წერილობითი ფორმით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხელი შეუწყოს საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების პრაქტიკაში აქტიურ დანერგვას.

გარდაბანი, ლავოდეხი, მცხეთა, ქ. გორი

5. გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები

5.1. არსებული პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი აკვირდებოდა ანგარიშვალდებული პირების მიერ 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიშების წარდგენისა და საჯარო მოსმენების გამართვის პროცესს, ამ მიზნით, მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებ-გვერდების მუდმივი მონიტორინგი, ამასთან, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი გამოითხოვდა საჯარო ინფორმაციას საქმიანობის ამსახველი ანგარიშების წარდგენისა და საჯარო მოსმენების გამართვის შესახებ.

მონიტორინგის შედეგები:

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

გორის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

თიანეთის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

გამგებლის 2016 წლის საქმიანობის ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროაქტიულად, კერძოდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია ვიდეო ჩანაწერის ფრაგმენტები, რომლის მიხედვით, გამგებლის 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიშის საჯარო მოსმენა გაიმართა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებებში, მოსმენას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები, რომელიც თავისუფლად გამოხატავდნენ აზრს ანგარიშთან დაკავშირებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი საჯარო ანგარიშის ტექსტი და საჯარო მოსმენის ოქმები. ინფორმაცია (თარიღი, დრო, ადგილი) საჯარო მოსმენის გამართვის შესახებ წინასწარ არ გამოქვეყნებულა.

საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

მცხეთის მუნიციპალიტეტი

გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

გამგებლის 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად ხელმისაწვდომია, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, თუმცა არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

მერის 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად ხელმისაწვდომია, თუმცა არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ანგარიში პროაქტიულად არაა ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი

მერის და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი

მერის და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

პროაქტიულად ხელმისაწვდომია მერისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, თუმცა არ გამართულა ანგარიშების საჯარო მოსმენა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

მერის და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი, არ გამართულა ანგარიშის საჯარო მოსმენა.

5.2. ხარვეზები

მუნიციპალიტეტები, რომელთაც არ გამოუქვეყნებიათ ანგარიშვალდებული პირების საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, არღვევენ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ნორმებს, ვინაიდან, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება.

ანგარიშვალდებული პირები, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუმართავთ წარდგენილი ანგარიშის საჯარო მოსმენა, არღვევენ ადილობრივი თვითმართველობის კოდექსს, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.[44]

5.3. რეკომენდაციები

რეკომენდირებულია საქმიანობის ამსახველი ანგარიშები გამოქვეყნდეს პროაქტიულად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ვადების დაცვით.

რეკომენდირებულია ანგარიშვალდებულმა პირებმა შეასრულონ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სავალდებულო მოთხოვნა და ყოველწლიურად, საანგარიშო წლის 1 ნოემბრამდე, გამართონ ანგარიშის საჯარო მოსმენა.

6. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

6.1. არსებული პრაქტიკა

[44] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საანგარიშო პერიოდში მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრმა შეაფასა საპილოტე მუნიციპალიტეტთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა, რისთვისაც განხორციელდა საპილოტე მუნიციპალიტეტთა ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგი:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტი - www.bolnisi.gov.ge
- გარდაბანის მუნიციპალიტეტი - www.gardabani.gov.ge
- გორის მუნიციპალიტეტი– www.gori.mun.ge
- დუშეთის მუნიციპალიტეტი - www.dusheti.gov.ge
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის - www.tetritskaro.gov.ge
- თიანეთის მუნიციპალიტეტი- www.tianeti.org.ge
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - www.lagodekhi.gov.ge
- მარნეულის მუნიციპალიტეტი - www.marneuli.gov.ge
- მცხეთის მუნიციპალიტეტი - www.mtskheta.org.ge
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - www.sagarejo.gov.ge
- ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი - www.gori.gov.ge
- ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი - www.telavi.gov.ge
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი - www.rustavi.gov.ge
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - www.batumi.ge ; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - www.batumicc.ge
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის - www.kutaisi.gov.ge

თითოეული მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი აკვირდებოდა შემდეგი ინფორმაციის არსებობასა და სისრულეს:

- ინფორმაცია გამგებლის/მერის, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების შესახებ;
- ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროს, ფრაქციებისა და აპარატის შესახებ;
- გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრების 2016 წელს გაწეული საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, მათი საჯარო მოსმენის ოქმები;
- 2017 წლის ბიუჯეტი;
- ინფორმაცია დარეგისტრირებული პეტიციებისა და მათი განხილვის შედეგების შესახებ;
- საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები;
- ინფორმაცია დაგეგმილი საკრებულოს, საკრებულოს კომისიების სხდომების გამართვის შესახებ;
- საერთო კრების სხდომის ოქმები;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;
- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საკონტაქტო ინფორმაცია

მონიტორინგის შედეგებში ასახავს 2017 წლის 1 მაისამდე არსებული მდგომარეობას.

ინფორმაცია გამგებლის/მერის, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის/მერის წარმომადგენლების შესახებ

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგებლის/მერის, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების,

გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის/მერის წარმომადგენლების შესახებ.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგებლის/მერის, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის/მერის წარმომადგენლების შესახებ.

ბოლნისი, გარდაბანი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგებლის, გამგეობის სამსახურებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების შესახებ, არაა სრულად ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგეობის თანამდებობის პირების შესახებ.

გორი, თიანეთი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგებლისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების შესახებ, არასრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგეობის თანამდებობის პირების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების შესახებ.

დუშეთი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგებლის შესახებ, არასრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგეობის თანამდებობის პირების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების შესახებ.

თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მერის, მერიის თანამდებობის პირების, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების შესახებ.

ქალაქი თელავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მერის, მერიის სამსახურებისა და მერიის თანამდებობის პირების შესახებ, არაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების შესახებ.

ქალაქი ქუთაისი

ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროს, ფრაქციებისა და აპარატის შესახებ

კარგი პრაქტიკის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროს, ფრაქციებისა და აპარატის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროს, ფრაქციებისა და აპარატის შესახებ.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, მცხეთა, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არასრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროს, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს აპარატის შესახებ.

ლაგოდეხი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროსა და ფრაქციების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს აპარატის შესახებ.

მარნეული

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირებისა და ფრაქციების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს წევრების, კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს აპარატის შესახებ.

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირებისა და წევრების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს კომისიების, ბიუროს და საკრებულოს აპარატის შესახებ

ქალაქი თელავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს თანამდებობის პირებისა და წევრების შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკრებულოს კომისიების, ბიუროს, ფრაქციებისა და საკრებულოს აპარატის შესახებ.

ქალაქი ქუთაისი

გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ანგარიშები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიშისა და საჯარო მოსმენის შესახებ.

ბოლნისი, გარდაბანი, დუშეთი, გორი, თიანეთი,
მარნეული, მცხეთა, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი,
ქალაქი ქუთაისი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომის გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის შესახებ

ქალაქი რუსთავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომის გამგებლის 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში, არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის შესახებ, არ არის ხელმისაწვდომი საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიში და ინფორმაცია საკრებულოს წევრების ანგარიშის საჯარო მოსმენის შესახებ

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი გამგებლისა და საკრებულოს წევრების 2016 წლის საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია საკრებულოს წევრების ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის შესახებ, ხელმისაწვდომია ვიდეო ჩანაწერი გამგებლის ანგარიშის საჯარო მოსმენის შესახებ

ლაგოდეხი

2017 წლის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროაქტიული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ორგანოების მეტ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. აუცილებელია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფდნენ ბიუჯეტის გამოქვეყნებას.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, მარნეული, მცხეთა, ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ.

თიანეთი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქალაქი თელავი

ინფორმაცია დარეგისტრირებული პეტიციებისა და მათი განხილვის შედეგების შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა, შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ამ კრიტერიუმით ვერ შეფასდება.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის სრულად ხელმისაწვდომი ინფორმაცია დარეგისტრირებული პეტიციებისა და მათი განხილვის შედეგების შესახებ.

ბათუმი, მცხეთა

საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია 2016 წელს გამართული საკრებულოს სხდომის ოქმები, არ არის ხელმისაწვდომი საკრებულოს კომისიის და 2017 წელს გამართული საკრებულოს სხდომის ოქმები.

მარნეული

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები.

ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს კომისიების სხდომების გამართვის შესახებ;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი უნდა უზრუნველყოფდეს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე საკრებულოს, საკრებულოს კომისიების სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, სხდომის გამართვის თარიღის, ადგილისა და დროის მითითებით. ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების პროექტები. ინფორმაცია კანონმდებლობის თანახმად ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს კომისიების სხდომის გამართვის შესახებ ქვეყნდება სხდომამდე 7 დღით ადრე.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ ქვეყნდება ინფორმაცია სხდომების გამართვის შესახებ.

ბოლნისი, დუშეთი, გორი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი თელავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე საკრებულოს სხდომის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომის გამართვის დღეს ან სხდომის გამართვამდე ერთი დღით ადრე. პერიოდულად ქვეყნდება სხდომის დღის წესრიგი, არ ქვეყნდება განსახილველი საკითხების პროექტები.

გარდაბანი, მარნეული, ქალაქი რუსთავი , ქალაქი გორი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით ქვეყნდება ინფორმაცია საკრებულოს სხდომის თარიღის, ადგილის და დროის შესახებ, არ ქვეყნდება ინფორმაცია საკრებულოს კომისიის სხდომის შესახებ, ხელმისაწვდომია საკრებულოს სხდომების დღის წესრიგი, არ არის ხელმისაწვდომი განსახილველი საკითხების პროექტები.

ქალაქი ბათუმი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამართული საერთო კრების ოქმები

არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ ინფორმაცია, არ არის ხელმისაწვდომი საერთო კრების ოქმი.

თიანეთი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი , მარნეული, მცხეთა

ხელმისაწვდომია დასახლების ტერიტორიაზე გამართული საერთო კრების სხდომის ოქმები.

რუსთავი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები.

თეთრიწყარო, ქალაქი გორი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

---

[45] ვერ შეფასდნენ მუნიციპალიტეტები, სადაც არ გამართულა დასახლების საერთო კრება ან საკრებულოს არ დაუმტკიცებია დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება.

[46] ვერ შეფასდნენ მუნიციპალიტეტები, სადაც არ გამართულა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა ან მუნიციპალიტეტის მერს/გამგებელს არ გამოუცია შესაბამისი ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ.

არ არის ხელმისაწვდომი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

თიანეთი, ლაგოდეხი

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;

ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა ვებ-გვერდზე უნდა განათავსონ ყველა სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას. ასეთი აქტებია :

- საკრებულოს რეგლამენტი
- დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება
- საკრებულოს წევრების, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და გამგებლის/მერის მიერ მოქალაქეთა მიღების წესი
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

დუშეთი, მცხეთა, ქალაქი რუსთავი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

ბოლნისი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ქ. თელავი,

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის სრულად ხელმისაწვდომი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

გორი, მარნეული, ქალაქი გორი, ქალაქი ქუთაისი

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საკონტაქტო ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის/მერიის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სპეციალურად გამოყოფილ კატეგორიაში „კონტაქტი“ ან „საკონტაქტო ინფორმაცია“. საკონტაქტო ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მისამართი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი.

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საკონტაქტო ინფორმაცია.

ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქალაქი ბათუმი, ქალაქი გორი, ქალაქი თელავი, ქალაქი რუსთავი, ქალაქი ქუთაისი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საკონტაქტო ინფორმაცია.

ბოლნისი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული ადგილობრივი ხელისუფლების რგოლი.

დუშეთი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არასრულადაა ხელმისაწვდომი საკონტაქტო ინფორმაცია, არ არის მითითებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელ-ფოსტა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მისამართი

თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულადაა ხელმისაწვდომი მხოლოდ გამგეობის საკონტაქტო ინფორმაცია.

თიანეთი, გორი

6.2. ხარვეზები

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაცია ქვეყნდება არასრულად, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

მუნიციპალიტეტის მიერ რეგულარულად არ ხორციელდება გამოქვეყნებული ინფორმაციის სრულად განახლება.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

მუნიციპალიტეტის მიერ მუდმივ რეჟიმში არ მიმდინარეობს გამოქვეყნებული ინფორმაციის სისრულის მონიტორინგი.

ბოლნისი, გარდაბანი, გორი, დუშეთი, თეთრიწყარო, თიანეთი, ლაგოდეხი, მარნეული, მცხეთა, საგარეჯო, ქ. ბათუმი, ქ. გორი, ქ. თელავი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი

6.3. რეკომენდაციები

რეკომენდირებულია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა სრულად გამოაქვეყნონ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ინფორმაცია, მითითებული ვადების დაცვით.

მნიშვნელოვანია, რომ პროაქტიულად ინფორმაცია ქვეყნდებოდეს ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას. მაგალითად: მაკედონიის კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, მუნიციპალურ ორგანოებს განუსაზღვრავს ალტერნატივას ინტერნეტის მოხმარების დაბალი მაჩვენებლის მქონე დასახლებებში ინფორმაცია გაავრცელონ საჯარო შეტყობინებების ან საინფორმაციო დაფების საშუალებით. კარგი პრაქტიკის შესაბამისად, რეკომენდირებულია, მუნიციპალური ორგანოები დარწმუნდნენ რომ პროაქტიული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის,

რისთვისაც ყოველთვის არაა საკმარისი ინფორმაციის გავრცელება მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ელექტრონულ რესურსებზე.

რეკომენდირებულია, პროაქტიული ინფორმაცია უნდა იყოს კარგად ორგანიზებული, რაც ნიშნავს, რომ ინფორმაცია დაყოფილი უნდა იყოს შინაარსის მიხედვით, რათა დაინტერესებულ პირს ყოველ ჯერზე არ უწევდეს საძიებო სისტემის გამოყენება სასურველი ინფორმაციის მოძიებისთვის.

რეკომენდირებულია ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა რეგულარულად განაახლონ გამოქვეყნებული ინფორმაცია. შესაძლებელია, კანონქვემდებარე აქტით დამტკიცდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციია გამოქვეყნების/განახლების მონიტორინგს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ შემუშავდეს კარგი პრაქტიკა.

ცვლილებები ორგანულ კანონში

რეკომენდირებული ცვლილებები ორგანული კანონისთვის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

რეკომენდირებული ცვლილებები ორგანული კანონისთვის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

I – რეკომენდირებული ცვლილება – ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები

მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. შესაბამისი პირების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება შეიძლება გახდეს საკრებულოს განხილვის საგანი.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

ა) დასახლების საერთო კრება;

ბ) პეტიცია;

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

დ) თანამონაწილეობითი ბიუჯეტი;

ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

ვ) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

II რეკომენდირებული ცვლილება – დასახლების საერთო კრება

საერთო კრების სახელწოდება შედგება შესაბამისი დასახლების კატეგორიის დასახელებისგან („სოფელი“/„დაბა“/„ქალაქი“), დასახლების სახელწოდებისგან და ზოგადი სახელწოდებისგან („საერთო კრება“). მუნიციპალიტეტის საერთო კრების დასახელებები მტკიცდება კრების დებულებასთან ერთად

დასახლების საერთო კრება, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ფორმა განსაზღვრულია დასახლებული პუნქტებისთვის სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება

დასახლებაში ერთზე მეტი საერთო კრების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, დასახლების საერთო კრების ინიციატივის საფუძველზე

საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის, კრების ცალკეული დავალების შესრულების და მისი ხელშეწყობის მიზნით, შეარჩიოს კრების მეურვე

საერთო კრება უფლებამოსილია კრების მეურვედ შეარჩიოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მისი თანხმობით ან ცალკეული დავალების შესრულება კრების ოქმის საფუძველზე მიანდოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (გარდა მუნიციპალიტეტის დაფუძნებული პირებისა) ამ პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობით

კრების მეურვე შეირჩევა დავალების შესრულების ვადით და მისი შერჩევის ფორმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება

საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20 %-ს;

ბ) მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით

გ) ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარმომადგენელს

საერთო კრების გამართვის ინიციატივის დაყენების უფლება აქვს დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, ინიციატივის განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

ა) განცხადება კრების გამართვის შესახებ

ბ) დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 20 %-ის თანხმობა და ხელმოწერები სადაც დასტურდება მათი თანხმობა კრების გამართვის და კრების გამართვის თარიღზე ინფორმირების შესახებ

გ) კრების დღის წესრიგი

განცხადება წარედგინება მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარმომადგენელს იმ ადმინისტრაციულ ერთეულში სადაც შედის დასახლება

ამომრჩეველთა მოთხოვნით და გამგებლის/მერის წარმომადგენლის მიერ კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის/მერის წარმომადგენელი გამგებელთან/მერთან შეთანხმებით. გადაწყვეტილება მიიღება ცნობის სახით

გამგებელი/მერი საკუთარი ინიციატივით ან საკრებულოს შუამდგომლობით საერთო კრებას იწვევს საკუთარი ბრძანებით

კრება იმართება გამგებლის/მერის და გამგებლის/მერის წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუადრეს ერთი კვირისა და არაუგვიანეს ორი კვირისა

საერთო კრების მოწვევაზე უარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) განსახილველი საკითხები არ შედის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებში

ბ) მოწვეულია არაუფლებამოსილი პირის მიერ

გ) განაცხადი ინიციატივის შესახებ წარმოდგენილია ამ კანონის და საკრებულოს დადგენილი წესების დარღვევით.

საერთო კრების მოთხოვნის რეგისტრაციაზე უარი საჩივრდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

გამგებლის/მერის წარმომადგენელი ვალდებულია საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის გამოაქვეყნოს საჯაროდ

საერთო კრების სხდომას წარმართავს კრების ინიციატორი

საერთო კრების წევრია დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით კრებას ესწრება დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრები და უძრავი ქონების მფლობელი პირები. კრება ღიაა სხვა დაინტერესებული პირებისთვის

კრება გადაწყვეტილება უნარიანია თუ მისი მოწვევა დადასტურებულია დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 20%-ის მხარდაჭერით და მას ესწრება დასახლებაში რეგისტრირებულ პირთა არანაკლებ 5%

კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით

საერთო კრება უფლებამოსილია გამგებელს/მერს წარუდგინოს მონაწილეობითი ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივა

საერთო კრების გადაწყვეტილება წარედგინება გამგებელს/მერს რომელიც ვალდებულია კრების ოქმის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში კრებას გასცეს დასაბუთებული პასუხი, ოქმში დასმული თითოეული საკითხის მიხედვით. გამგებელი/მერის მიერ პასუხის გაუცემლობა, ვადის დარღვევა ან არასრული პასუხი შეიძლება გახდეს საკრებულოს განხილვის საგანი

III რეკომენდირებული ცვლილება – პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) ამომრჩეველთა 1% - ს მუნიციპალიტეტებში სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაა 10000-20000 ამომრჩეველი

ბ) ამომრჩეველთა 0.8% - ს მუნიციპალიტეტებში სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაა 20000-40000 ამომრჩეველი

გ) ამომრჩეველთა 0.6% - ს მუნიციპალიტეტებში სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაა 60000-80000 ამომრჩეველი

დ) ამომრჩეველთა 0.4% - ს მუნიციპალიტეტებში სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაა 80 000-100000 ამომრჩეველი

ე) ამომრჩეველთა 0.2 % - ს მუნიციპალიტეტებში სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაა 100000 ამომრჩეველზე მეტია.

ბ) საერთო კრებას ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანიზაციას, პირს, პირთა ჯგუფს.

IV რეკომენდირებული ცვლილება – გამგებლის/მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

გამგებლის/მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის რაოდენობრივი ბალანსი უნდა იყოს თანაბარი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 12 წევრით

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები შეირჩევიან კონკურსის წესით, კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს ამტკიცებს საკრებულო

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს მონაწილეობითი ბიუჯეტის საერთო კრების ან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საპროექტო ინიციატივების პირველადი გადარჩევა და შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება

გამგებლის/მერის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრთაგან. არჩევის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით.

საბჭოს მდივანს ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.

V რეკომენდირებული ცვლილება – მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს კომისიის ყოველ ღია სხდომაზე, სხდომის ბოლოს არანაკლებ 15 წუთი ეთმობა მოქალაქეთა მიერ ინიციატივების და მოსაზრებების წარდგენას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს კომისიის სხდომა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის, დაუშვებელია ამ უფლების შეზღუდვა გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

VI რეკომენდირებული ცვლილება – მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმას და ანგარიშის საჯარო მოსმენის წესს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოამზადოს საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად.

VII რეკომენდირებული ცვლილება – მონაწილეობითი ბიუჯეტი

მონაწილეობითი ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა შესაძლებლობას ამ კანონით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესით დაგეგმონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არანაკლებ 1 %.

მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს მონაწილეობითი ბიუჯეტისთვის გაითვალისწინოს ბიუჯეტის შემოსულობების არანაკლებ 1 %.

მონაწილეობითი ბიუჯეტის საშუალებით ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა პირს.

მონაწილეობითი ბიუჯეტისთვის საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია დასახლების საერთო კრებას. ხოლო მუნიციპალიტეტების იმ დასახლებებში სადაც საკრებულოს დადგენილებით არ არის განსაზღვრული საერთო კრება აგრეთვე საინიციატივო ჯგუფებს.

მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების პირველად გადარჩევას ახორციელებს გამგებლის/მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და დასაფინანსებელი პროექტების შესახებ რეკომენდაციას წარუდგენს გამგებელს/მერს.

მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროექტებს გამგებლის/მერის წარდგინებით საბოლოოდ ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.